

საქმეაქტო დაჯები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანუყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2016, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2016, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2016, №11

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2016, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. წესდების ცვლილება

საწარმოს წესდების ცვლილება

განჩინება

№ას-1235-1158-2015

4 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა-ა“ [შემდეგში მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი, ასევე, საწარმო ან საზოგადოება] წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, საიდენტიფიკაციო ნომერი – ... [„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 5].

2. საზოგადოების პარტნიორები შესაბამისი ნილობრივი მონაწილეობით არიან: მ.ა. 22%-იანი წილი, ს.ა. – 22%-იანი წილი, ლ. თ. – 36%-იანი წილი, დ.დ. – 20%-იანი წილი. [„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი].

3. საწარმოს რეგისტრირებული წესდების შესაბამისად (№5/4-311; რეგ. 08/01/1996წ), საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა – პარტნიორთა კრება, რომლის კომპეტენციაცადაც განისაზღვრება წესდებაში ცვლილების შეტანა, უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 50%-ზე მეტი საწესდებო კაპიტალის მფლობელი პარტნიორები, ხოლო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია, მას მხარი დაუჭიროს პარტნიორებმა, რომლებიც ფლობენ ხმების საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტს.

4. 2014 წლის 15 იანვარს მოწვეული საწარმოს პარტნიორთა კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენდა წესდების ახალი რედაქციის მიღება. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული კრება არ იყო გადაწყვეტილებაუნარიანი, 2014 წლის 3 თებერვალს პარტნიორთა კრება მოწვეული იქნა ხელახლა/განმეორებით, რომელსაც ესწრებოდნენ 100% კაპიტალის მქონე პარტნიორები პირადად ან

რწმუნებული პირების სახით.

5. 2014 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა კრებაზე საზოგადოების კაპიტალში 20% წილის მესაკუთრე პარტნიორი დ.დ. (შემდეგში: მესამე პირი) არ დაეთანხმა კრებაზე წარმოდგენილი წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებას.

6. წესდების ახალი რედაქციით შეიცვალა პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი, კერძოდ, ახალი წესდების მე-14 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განისაზღვრა, რომ კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარტნიორთა უმრავლესობა, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება 51%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორების მიერ.

7. 2014 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა კრებაზე საზოგადოების კაპიტალის 80% წილის მფლობელ პარტნიორთა მიერ მიღებულ იქნა წესდების ახალი რედაქცია, რომელიც სარეგისტრაციოდ წარედგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს [შემდეგში: მოპასუხე, მარეგისტრირებელი ორგანო].

8. მარეგისტრირებელი ორგანოს 2014 წლის 14 აპრილის №B14014516/3 გადაწყვეტილებით სანარმოს დირექტორ დ. მის [შემდეგში: დირექტორი] განცხადებაზე, სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და დაინტერესებულ პირს, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, დაევალა სანარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი, სათანადო წესით შედგენილი და დამონმებული წესდებისა და კრებაზე გადაწყვეტილების მიმღებ პარტნიორთა წარმომადგენლების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების მარეგისტრირებული ორგანოსთვის წარდგენა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი]. ხარვეზის დადგენილ ვადაში აღმოუფხვრელობის გამო აღნიშნულ განცხადებაზე შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება.

9. მოპასუხის 2014 წლის 14 აპრილის №79357 გადაწყვეტილებით საზოგადოების დირექტორის საჩივარი მარეგისტრირებული ორგანოს №14014516/3 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

10. 2014 წლის 03 ოქტომბერს მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხის 2014 წლის 14 თებერვლის №14014516/3 და 14 აპრილის №79357 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

11. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სასამართლოში წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი შემდეგი დასაბუთებით:

11.1. მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი და დაცული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდების ახალი რედაქციით იცვლება საზოგადოების მოქმედი წესდებით განსაზღვრული პარტნიორთა კრების უფლებამოსილებები/გადაწყვეტილების მიღების წესი. ასეთი შინაარსის ცვლილება წარმოადგენს პარტნიორის რეგისტრირებული უფლების ცვლილებას, რისთვისაც კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ პარტნიორთა თანხმობის აუცილებლობას, რომლის რეგისტრირებულ უფლებაზეც იგი ახდენს პირდაპირ და უშუალო გავლენას [„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5² პუნქტი]. პარტნიორთა კრებაზე წესდების ახალი რედაქციით დამტკიცებას არ დაეთანხმა საზოგადოების კაპიტალის 20%-იანი წილის მფლობელი მესამე პირი, შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოს შედავებული გადაწყვეტილებები კანონიერია.

11.2. სადავო განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების ეტაპზე მარეგისტრირებელ ორგანოში არ იქნა წარდგენილი პარტნიორთა წარმომადგენლების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 06 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5² პუნქტი, მე-5¹ და მე-5³ მუხლები.

13. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით:

საწარმოს მოქმედი წესდების მე-5 მუხლი არეგულირებს საზოგადოების მართვის საკითხებს, რომლის თანახმადაც, პირველ კრებაზე კვორუმის არარსებობის შემთხვევაში, მეორე კრება ტარდება პირველი კრების მოწვევიდან (ჩატარებიდან) 15 დღის შემდეგ. ამ შემთხვევაში, კრებაზე დამსწრე პარტნიორებს უფლება აქვთ, გადაწყვეტილება მიიღონ კვორუმის მიუხედავად დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში მოქმედი წესდების მე-5 მუხლის თანახმად, კრება უფლებამოსილი იყო, ემსჯელა წესდების მიღების თაობაზე. სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა და განმარტა სადამფუძნებლო დოკუმენტის 12.8 მუხლი, ვინაიდან იგი ეხება წესდების ცვლილებას და არა მისი ახალი რედაქციის

მიღებას.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ და-მაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

16. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

17. პალატამ მიიჩნია, რომ წესდების ახალი რედაქცია ითვალისწინებდა რა პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესის შეცვლას, უშუალო გავლენას ახდენდა პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებაზე და დაუშვებელი იყო წესდებაში ცვლილების შეტანა შესაბამისი პარტნიორის თანხმობის გარეშე.

18. პალატის განმარტებით, მოქმედი წესდებით გათვალისწინებული რეგულაციით, წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა დასაშვებია იყო მხოლოდ პარტნიორთა ერთსულოვანი, წერილობითი, ნოტარიულად დამოწმებული გადაწყვეტილებით. წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება პალატამ მიიჩნია, რომ წარმოადგენდა რეგისტრირებულ წესდებაში ცვლილების შეტანას, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტის ახალი რედაქციის დამტკიცებას არ დაეთანხმა ყველა პარტნიორი, მარეგისტრირებული ორგანოს ქმედება იყო კანონიერი.

19. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 102-ე მუხლი და მოსარჩელის მიმართ დაადგინა არათანაზომიერი მტკიცების ტვირთის სტანდარტი. მარეგისტრირებული ორგანოს 2014 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება წარმოადგენს არსებული რეგულაციების არასწორი განმარტების შედეგს. საზოგადოების კაპიტალში 80% წილის მფლობელმა პარტნიორებმა, პარტნიორთა კრებაზე მიიღეს ახალი წესდება, რომელთან მიმართებითაც მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება, იგი განემარტა პარტნიორთა ნების საწინააღმდეგოდ. მსგავსი მიდგომა ეწინააღმდეგება კორპორაციული სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებს.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა

მიღებული დასაშვებობის შესამონმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ის არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს და დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგი გარემოებების გამო:

2. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

3. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძვლით.

4. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული არ არის მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი სამართლებრივი დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვებასთან მიმართებით არსებითად სწორია. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის განმარტებას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მტკიცების ტვირთის არათანაზომიერი განაწილების თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომელზეც ის ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელე მოთხოვნის სამართლებრივი წანამძღვრების დასაბუთე-

ბას ამყარებს 2014 წლის 3 თებერვლის პარტნიორთა კრების, მისი მიმდინარეობის და სამართლებრივი შედეგების (წესდების მიღების) შეფასებაზე, კერძოდ, თუ რა საწესდებო რეგულაციები უნდა გავრცელდეს პარტნიორთა კრებაზე წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების მიმართ იმავე დღის წესრიგით მოწვეული პარტნიორთა კრების ერთჯერადად ჩაშლის პირობებში. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ შემოთავაზებული სამეწარმეო ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებისა და უკვე რეგისტრირებული წესდების ნორმათა სამართლებრივი ინტერპრეტაცია, სადავო შემთხვევაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება უნარიანობის თაობაზე, არასწორია. არც კორპორატიული ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობა და არც საწარმოს მოქმედი წესდება არ მიჯნავს ერთმანეთისგან რეგისტრირებული წესდების პირობებში ახალი წესდების დამტკიცების და არსებული წესდების ცვლილების სამართლებრივ მნიშვნელობას; ამასთან, მოქმედი წესდების მე-5 მუხლი რომლის გამოყენების აუცილებლობაზეც მიუთითებდა მოსარჩელე, სწორედ რომ კრების კომპეტენციად წესდების ცვლილებას მოიაზრებს. წესდების თავდაპირველი რედაქციის რეგისტრაციის შემდგომ, წესდების ყოველი მომდევნო ახალი რედაქციის დამტკიცება წარმოადგენს არსებული წესდების შეცვლას ახლით და აღნიშნულის საწინააღმდეგო განმარტება სამართლებრივად დაუსაბუთებელია. მოსარჩელემ არ გაითვალისწინა სამეწარმეო კანონმდებლობის იმპერატიულ დანაწესი პარტნიორის რეგისტრირებული უფლების გაუქმების შემთხვევაში გამოსაყენებელი საკანონმდებლო რეგულაციების თაობაზე და აღნიშნულ ნორმასთან დაკავშირებით მას საკუთარი არგუმენტაცია სასამართლოსთვის არ წარუდგენია. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ კასატორმა დავის სასამართლოში მიმდინარეობის ეტაპზე ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნის რელევანტური მტკიცებულებების და კანონშესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაციის სასამართლოსთვის წარდგენა, საკასაციო პალატა წინამდებარე დავაზე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას.

5. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტი-

კისაგან. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და შე-საბამისად დაადგინა: „...შეზღუდული პასუხისმგებლობის სა-ზოგადოების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგო-მარეობას (ზღუდავდა ან აუქმებდა მის რეგისტრირებულ უფ-ლებას, ამცირებდა მოგებაში წილს ან ზრდიდა მის მონაწილეო-ბას ზარალში და სხვ.) უნდა განხორციელებულიყო პარტნიორ-თა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე“. {იხ საქმე №ას-35-32-2015}

6. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსი-ლი, დაუშვას კასატორის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკა-საციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 257-ე, 391-ე, 399-ე, 401-ე, 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ა-ას“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად, დაუშვებლობის გამო;

2. შპს „ა-ას“ (ს/კ....) დაუბრუნდეს კ. მ-ის (.....) მიერ გადახდი-ლი სახელმწიფო ბაჟის (საკრედიტო საგადასახადო დავალება №1, გადახდის თარიღი 03.12.2015 სს ბანკი “რესპუბლიკა“), 300 (სამასი) ლარის, 70% — 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბი-ლისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... ;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სანარმოს წესდების ცვლილება

ბანკინება

№ას-35-32-2015

27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბა-
თილად ცნობა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ბა-
თილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 18 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს
სარჩელით მიმართეს ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ.
ხ-ემ, ც. მ-ემ მოპასუხე, შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ მიმართ, რომლი-
თაც მოითხოვეს საზოგადოების საქმიანობის შესახებ შემდეგი
ინფორმაციის პარტნიორებისათვის მიწოდება:

1. დ. ხ-ე, როგორც საზოგადოების დირექტორი თვლის თუ
არა, რომ მის საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად
საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა; 2. რას შეადგენდა
კონსულტანტ ლ. ხ-ის ანაზღაურება 21.10.2008წ.-დან
12.01.2010წ.-მდე და რა საფუძვლით გაეზარდა მას ხელფასი
12.06.2010წ.-დან; 3. დ. ხ-ის ერთპიროვნული დირექტორობის პე-
რიოდში, 2009 წლის დეკემბრის თვიდან სამსახურიდან გათავი-
სუფლებაამდე, გაეზარდა თუ არა ხელფასი მ.ბ-ეს. დადებითი პა-
სუხის შემთხვევაში, რამდენჯერ მოხდა ხელფასის გაზრდა და
რა საფუძვლით; 4. 08.04.2013წ.-ის პარტნიორთა კრებაზე მიღე-
ბულ იქნა ახალი გადაწყვეტილება დირექტორისათვის ხელფა-
სის გაზრდისა და დანიშვნის შესახებ 8000 ლარის ოდენობით.
დირექტორმა დ. ხ-ემ აცნობოს მოსარჩელეებს რა საფუძვლით
იღებს ხელფასს 8000 ლარის ოდენობით ხელზე (საშემოსავლო
გადასახადის დაქვეითვის გარეშე), ვისი ინიციატივით მოხდა დი-
რექტორისათვის ხელფასის ამ ოდენობით გაცემა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მო-
სარჩელეებმა 2014 წლის თებერვლის თვეში, როგორც შპს „ლ.
ხ-ის ს-ის კ-ის“ პარტნიორებმა მიმართეს ამავე შპს-ს დირექ-
ტორ დ. ხ-ეს და მოითხოვეს საზოგადოების საქმიანობის შესა-

ხებ სარჩელში მითითებული ინფორმაციის პარტნიორებისათვის მიწოდება, რაც დ. ხ-ის მიერ არ შესრულდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სარჩელთან დაკავშირებით წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მ. ბ-ეს რამდენჯერმე შეეცვალა ხელფასი. თუმცა ამ ცვლილების საფუძვლებზე არ მიუთითებია. რაც შეეხება თავად დ. ხ-ის ხელფასის გაზრდის საკითხს, მოპასუხემ განმარტა, რომ მას ხელფასი 8000 ლარის ოდენობით განესაზღვრა სანარმოს პარტნიორთა 2013 წლის 08 აპრილის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლებზე; ის ფაქტი, რომ ეს თანხა იყო ხელზე ასაღები, დასტურდებოდა მოდავე პარტნიორთა მიერ 2013 წლის 13 ივნისის აღძრული სარჩელით და მასზე თანდართული 2013 წლის 02 აპრილის ხელშეკრულების პროექტით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 მაისის განჩინებით ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-სა და ც. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-სა და ც. მ-ის მიერ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2014 წლის 17 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ, ც. მ-ემ მოპასუხე, შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვეს:

1. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის დირექტორის დ. ხ-ის საქმიანობის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეფასების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

2. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის დირექტორის დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება;

3. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის კლინიკის წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის, საბჭოს წევრების არჩევის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასების ოდენობის განსაზღვრის შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

4. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 05 მარტის შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ პარ-

ტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელები წარმოადგენენ საწარმოს 39%-იანი წილის მფლობელ პარტნიორებს, 2014 წლის 11 და 16 იანვრის შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ პარტნიორთა რიგგარეშე კრებაზე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა კლინიკის დირექტორის დ.ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, მისი საქმიანობა შეფასდა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, რასაც არ ეთანხმებიან მოსარჩელები და განმარტავენ, რომ იგი არ ასრულებდა მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, სახელდობრ, დირექტორმა არ მიიღო არანაირი ზომები დიზელის საწვავის დანაკლისის გამო პასუხისმგებელი პირებისაგან თანხის ამოღების მიზნით; ასევე არ განახორციელა რაიმე ტიპის ზომები პაციენტებისაგან მიუღებელი თანხების ამოღების მიზნით; კლინიკის დირექტორის მიერ საადვოკატო მომსახურების თანხები – 2 800 ლარის ოდენობით, გადახდილ იქნა კლინიკის სახსრებიდან, მაშინ როდესაც დავა მიმდინარეობდა არა კლინიკის, არამედ უშუალოდ დირექტორის მიმართ; კლინიკის დირექტორის მიერ ხელფასების გაზრდა და ნახალისების თანხის გაცემა ხდებოდა დასაბუთების გარეშე; დირექტორის 2010 წლის 12 იანვრის ბრძანებით კლინიკის კონსულტანტ ლ. ხ-ეს ხელფასის სახით განესაზღვრა 1 500 ლარი, მაშინ როდესაც უმძიმესი ავადმყოფობის გამო იგი 2008 წლის მაისის თვიდან საექიმო საქმიანობას აღარ ეწეოდა; 2013 წლის 16 იანვრის პარტნიორთა კრებაზე დამტკიცებული წესდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რეგისტრაციის მოთხოვნისას, გადახდილ იქნა მაქსიმალური საზღაური, მაშინ როდესაც ცვლილებების დაჩქარებულ რეჟიმში რეგისტრაციის იმგვარი საფუძველი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ეს ყველაზე ხელსაყრელი იყო კლინიკისათვის, არ არსებობდა. გარდა ამისა, მოსარჩელები განმარტავენ, რომ 2014 წლის 16 იანვარს დამტკიცდა კლინიკის წესდების ახალი რედაქცია, რომელიც აუქმებდა პარტნიორთა რეგისტრირებულ უფლებებს, შეეხებოდა პარტნიორთა ხმის უფლებას, ხელყოფდა მათ ინტერესებს, წილს მოგებაში, რომელიც მიუღებელი იყო მოსარჩელეთათვის და ამასთან, საჭიროებდა ხმების არა უმრავლესობის მხარდაჭერას, არამედ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას. ამასთან, მოსარჩელებმა სადავოდ გახადეს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა და მისი წევრების დანიშვნა, მათი ხელფასების განსაზღვრა, რადგან მათი მოსაზრებით, აღნიშნული ორგანო ექვემდებარებოდა სავალდებულო რეგისტრაციას, რასაც მოცემულ

შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით:

1. ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის და ც. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

1.1. ბათილად იქნა ცნობილი შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 16 იანვრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება კლინიკის წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხელფასების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

1.2. ბათილად იქნა ცნობილი შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის არჩევის შესახებ;

1.3. ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 5 მარტს შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება კლინიკის წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

2. არ დაკმაყოფილდა სარჩელი შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის საქმიანობის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეფასებას, კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარს;

2.1. არ დაკმაყოფილდა სარჩელი დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე;

2.3. არ დაკმაყოფილდა სარჩელი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს ერთი მხრივ, შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ დირექტორმა დ. ხ-ემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის და ც. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მეორე მხრივ კი, ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ და ც. მ-ემ, რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში (რომელიც შეეხებოდა კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის საქმიანობის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეფასებასა და კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარს; ასევე, კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის

თანმდებობიდან გათავისუფლების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარსა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე უარს) და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივლისის განჩინებით გაერთიანდა ერთ ნარმოებად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ნარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმეები, კერძოდ, საქმე №2ბ/...-14 (აპელანტები: ი. მ-ე, დ. შ-ა, რ. ჭ-ი, ი. ჩ-ი, რ. გ-ე, ლ. ხ-ე და ც. მ-ე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება) და საქმე №2ბ/...-14 (აპელანტები: ი. მ-ე, დ. შ-ა, რ. ჭ-ი, ი. ჩ-ი, რ. გ-ე, ლ. ხ-ე და ც. მ-ე; მეორე აპელანტები: შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის დირექტორი – დ. ხ-ე და ამავე კლინიკის პარტნიორი – დ. შ-ე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით:

1. ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-სა და ც. მ-ის, აგრეთვე, შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“, ამავე კლინიკის პარტნიორის – დ. ხ-ის და დ. შ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მაისისა და ამავე სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

2. ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის და ც. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: დაევალა, შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ დირექტორ დ. ხ-ეს მოსარჩელებს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია (ამ ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის ასლები): ა) რას შეადგენდა კონსულტანტ ლ. ხ-ის შრომის ანაზღაურება 2008 წლის 21 ოქტომბრიდან 2010 წლის 12 იანვრამდე და რა საფუძვლით გაეზარდა მას ხელფასი 2010 წლის 12 იანვრიდან; ბ) 2009 წლის დეკემბრიდან სამსახურიდან გათავისუფლებამდე რამდენჯერ გაეზარდა ხელფასი მ. ბ-ეს და რა საფუძვლით; გ) ინფორმაცია დირექტორ დ. ხ-ისათვის ხელფასის დაწესებისა და გაზრდის შესახებ.

3. ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის და ც. მ-ის სარჩელი შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 16 იანვრის და 2014 წლის 5 მარტის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების. ავ-

რეთვე, შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 05 მარტის გადაწყვეტილების (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევის შესახებ) ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც კლინიკა) პარტნიორები (სანესდებო კაპიტალში კუთვნილი წილების პროცენტულად მითითებით) არიან: ი. მ-ე – 10%; რ. ჭ-ი – 5%; დ. ხ-ე – 51%; დ. შ-ა – 8%; გ. მ-ი – 8%; ი. ჩ-ი – 7%; დ. ზ-ი – 2%; ც. მ-ე – 2%; ლ. ხ-ე – 2%; რ. გ-ე – 5%. დ. ხ-ე არის იმავედროულად კლინიკის დირექტორიც, ერთპიროვნულად.

მხარეთა ახსნა-განმარტებებით სასამართლომ უდავო გარემოებად მიიჩნია, რომ ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ და ც. მ-ემ 2014 წლის 04 თებერვალს წერილობით მიმართეს კლინიკის დირექტორს – დ. ხ-ეს, რომელსაც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მოსთხოვეს შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა) რას შეადგენდა კონსულტანტ ლ. ხ-ის შრომის ანაზღაურება 2008 წლის 21 ოქტომბრიდან 2010 წლის 12 იანვრამდე და რა საფუძვლით გაეზარდა მას ხელფასი 2010 წლის 12 იანვრიდან;

ბ) 2009 წლის დეკემბრიდან სამსახურიდან გათავისუფლებამდე რამდენჯერ გაეზარდა ხელფასი მ. ბ-ეს და რა საფუძვლით;

გ) ვისი ინიციატივით იღებს დირექტორი დ. ხ-ე ხელფასის სახით ხელზე 8000 ლარს, მაშინ, როცა 2013 წლის 8 აპრილს პარტნიორთა კრებაზე მას განესაზღვრა ხელფასი 8000 ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ხ-ეს ზემოთ მითითებული, 2014 წლის 04 თებერვლის წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია პარტნიორებზე არ გაუცია.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიანოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს და განმარტა, რომ პარტნიორისათვის საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება დირექ-

ტორის ვალდებულებაა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კლინიკის დირექტორი დ. ხ-ე, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მიენოებინა პარტნიორთათვის მოთხოვნილი ინფორმაცია, რადგან ეს ინფორმაცია ეხებოდა საზოგადოების საქმიანობას. ამასთან, მოსარჩელე პარტნიორთა ეს უფლება არსებობდა იმისგან დამოუკიდებლად მიუწვდებოდათ თუ არა მათ ხელი საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებთან.

საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 20 იანვრის №..... სანოტარო აქტითა (ნოტარიუსი: ხ. ჯ-ი) და კლინიკის წესდებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 11 და 16 იანვარს შედგა კლინიკის პარტნიორთა კრებები, რომელზედაც მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) ხმების 61%-ით ხმების 32%-ის წინააღმდეგ, არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა დირექტორ დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და დირექტორის საქმიანობა შეფასებულ იქნა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;

ბ) ხმების 61%-ით ხმების 17%-ის წინააღმდეგ, დამტკიცდა კლინიკის ახალი წესდება;

გ) ხმების 61%-ით ხმების 19%-ის წინააღმდეგ, შეიქმნა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებად არჩეულ იქნენ: რ. წ-ე, გ. მ-ა და დ. შ-ე;

დ) ხმების 61%-ით ხმების 19%-ის წინააღმდეგ, განისაზღვრა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხელფასები (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით): თავმჯდომარე – 4000 ლარი, თავმჯდომარის მოადგილე – 2500 ლარი; წევრი – 1500 ლარი.

ამასთან, საქმეში წარმოდგენილი კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 5 მარტის ოქმით დადგენილ იქნა, რომ კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით გაუქმდა ამავე საბჭოს სხდომის 2014 წლის 11 იანვრით დათარიღებული №1 ოქმი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. მ-ა, თავმჯდომარის მოადგილედ კი, – დ. შ-ე.

კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 5 მარტის კრების №3 ოქმითა და კლინიკის ახალი წესდებით დადასტურებულა, რომ 2014 წლის 5 მარტს შედგა კლინიკის პარტნიორთა კრება, რომელზედაც, ხმების 61%-ით ხმების 25%-ის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კლინიკის ახალი წესდების დამტკიცების შესახებ.

კლინიკის 2014 წლის 11 იანვრამდე მოქმედი წესდებისა და კლინიკის 2014 წლის 5 მარტს დამტკიცებული ახალი წესდების ურთიერთშედარებით მტკიცდება, რომ კლინიკის 2014 წლის 5

მარტს დამტკიცებული წესდება არ შეიცავს იმგვარ დებულებებს, რომლებიც, მანამდე მოქმედი წესდებისაგან განსხვავებულად, აწესრიგებს პარტნიორთა ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან საწარმოს ლიკვიდაციისას მათ უფლებებს, არც რაიმე პირდაპირ გავლენას ახდენს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებაზე და არც რაიმე დამატებით ვალდებულებას აკისრებს პარტნიორს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2014 წლის 5 მარტის წესდების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი არ ეხება პარტნიორთა რეგისტრირებულ უფლებას, რადგან მიუთითებს კანონით პარტნიორისათვის დაკისრებულ ვალდებულებებზე (საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა გახმაურებისაგან; თავისი ქმედებით საზოგადოებისათვის (მისი სახელისათვის) ზიანის მიყენების აკრძალვა).

2014 წლის 05 მარტის წესდების მე-17 მუხლი: „პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა“ კი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ჩამოყალიბებულია მანამდე მოქმედი წესდების მე-3 მუხლის ანალოგიური ნორმებით: ორივე წესდებით დადგენილია, რომ პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სანესდებო კაპიტალში 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე პარტნიორი (პარტნიორები); თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს მეორე კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება ნებისმიერი პარტნიორის დასწრებისას; ზოგადად, გადაწყვეტილება მიიღება საზოგადოების სანესდებო კაპიტალში ხმის უფლების მქონე პარტნიორთა ხმების 51%-ით; ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მიიღება ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საზოგადოების პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები); კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; მე-7 პუნქტის თანახმად კი, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. მე-9 პუნქტის მიხედვით საზოგადოების

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს, ხოლო მე-10 პუნქტით კი დადგენილია საერთო კრებაზე შპს-ს პარტნიორთა ხმების განსაზღვრის წესი მათი წილების პროპორციულად.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დამატებითი პირობები, კერძოდ: ამ მუხლის მე-5¹ პუნქტის თანახმად, თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი; მე-5² პუნქტის თანახმად, თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

ზემოთ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას (ზღუდავდა ან აუქმებდა მის რეგისტრირებულ უფლებას, ამცირებდა მოგებაში წილს ან ზრდიდა მის მონაწილეობას ზარალში და სხვ.), უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილებები მიიღებოდა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით გამართულ კრებაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ კლინიკის (რომელიც არსებობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით) პარტნიორთა კრებამ, 2014 წლის 16 იანვარს, საწესდებო კაპიტალის 61%-ის მქონე პარტნიორთა გადაწყვეტილებით შექმნა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭო და აირჩია მისი წევრები, ხოლო 2014 წლის 5 მარტს კი, ხმების იმავე ოდენ-

ნობით მიღებული გადაწყვეტილებით, დაამტკიცა ახალი წესდება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით არ გაუარესებულა პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა. ამდენად, ეს გადაწყვეტილებები კანონიერი იყო და მათი ბათილად ცნობის საფუძვლები არ არსებობდა. შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, 2014 წლის 5 მარტს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, უკანონოდ იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კლინიკის პარტნიორთა კრების მიერ 2014 წლის 5 მარტს დამტკიცებულმა წესდებამ თავისთავად გამოიწვია 2014 წლის 16 იანვარს მიღებული წესდების ამოქმედება. ამდენად, ამ უკანასკნელის ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნისადმი, როგორც კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელისადმი, მოსარჩელეთა ნამდვილი (დასაბუთებული) იურიდიული ინტერესი არ არსებობდა, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას ეთქვა უარი.

საწარმოს დირექტორის სტატუსისა და მისი უფლებამოსილების, აგრეთვე, მისთვის სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრების წესების დადგენისათვის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას – კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოს სახელით, გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში საწარმოს სახელით. მე-6 პუნქტის თანახმად კი, დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ზემოთ აღნიშნული ნორმის სამართლებრივი მიზანი სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა, რომ დირექტორი სა-

წარმოსათვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტია; შესაბამისად, მისი საქმიანობის უარყოფითად (არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად) შეფასება და ამის შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეს საკითხები უნდა განხილულიყო საწარმოს 100% ხმების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით, რაც, 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე, არ მომხდარა (კრებას არ ესწრებოდა საწესდებო კაპიტალის 7%-ის მფლობელი პარტნიორი ი. ჩ-ი).

ზოგადად, რა თქმა უნდა, დასაშვებია დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებაც, მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასების გამო, თუმცა ამ საკითხზე პარტნიორთა კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, რაც ასევე არ განხორციელებულა კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის საქმიანობის უარყოფითად შეფასებისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სარჩელი და შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი, დაუსაბუთებელი იყო, რაც გამორიცხავდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს.

სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, თავისი არსით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის ნორმის გათვალისწინებით, წარმოადგენდა გარიგებას. კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 16 იანვრის კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეულმა პირებმა გამოავლინეს ნება და დაადგინეს, მათგან ვინ იქნებოდა თავმჯდომარის და მისი მოადგილის სტატუსის მატარებელი. ამდენად, სარჩელი ამ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე არის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელენი ვალდებულნი იყვნენ დაესაბუთებინათ ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, რაც ვერ შეძლეს. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორის მონაწილეობას, რადგან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სა-

მეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავ-
მჯდომარეს და მოადგილეს. შესაბამისად, არანაირი მნიშვნე-
ლობა მოსარჩელე პარტნიორთათვის არ ჰქონდა იმას, განხორ-
ციელებული იყო თუ არა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს
შექმნის სახელმწიფო რეგისტრაცია, რადგან სადავო გადაწყვე-
ტილებით მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შე-
ლახვას ადგილი არ ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საა-
პელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არც ამ ნაწილში არსებობ-
და სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-
სით გაასაჩივრეს ი. მ-ემ, დ. შ-ამ, რ. ჭ-მა, ი. ჩ-მა, რ. გ-ემ, ლ. ხ-ემ,
ც. მ-ემ რომლითაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით 2014
წლის 17 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში აღძრული
სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ:

1. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის დირექტორის
დ. ხ-ის საქმიანობის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეფა-
სების შესახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათი-
ლად ცნობა;

2. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის დირექტორის
დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარის თქმის შე-
სახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნო-
ბა და დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება;

3. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრის კლინიკის
ნესდების ახალი რედაქციით დამტკიცების, სამეთვალყურეო
საბჭოს შექმნის, საბჭოს წევრების არჩევის და სამეთვალყუ-
რეო საბჭოს წევრების ხელფასების ოდენობის განსაზღვრის შე-
სახებ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნო-
ბა;

4. შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 05 მარტის შპს „ლ. ხ-ის ს-
ის კ-ის“ ნესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ პარ-
ტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია შემდეგ გარემოებებ-
ზე მითითებით: კასატორები აღნიშნავენ, რომ მათ სადავოდ არ
გაუხდიათ ის გარემოება, რომ 2014 წლის 05 მარტს დამტკიცე-
ბული ნესდება, მანამდე არსებული ნესდებისაგან, განსხვავე-
ბულად აწესრიგებდა პარტნიორის ხმის უფლებას, ლიკვიდაცი-
ისას პარტნიორის უფლებას და ა.შ. შესაბამისად, მათთვის გაუ-
გებარია თუ რატომ იმსჯელა ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლომ და დაასკვნა, რომ 2014 წლის 05 მარტს დამტკიცებული
ნესდება არ შეიცავდა იმგვარ დებულებებს, რომლებიც, მანამ-

დე მოქმედი წესდებისაგან განსხვავებულად აწესრიგებდა პარტნიორთა ხმის უფლებას, მოგება/ზარალში წილს ან საწარმოს ლიკვიდაციისას მათ უფლებებს და ა.შ., კასატორები მიუთითებენ, რომ 2014 წლის 05 მარტს დამტკიცებული წესდების რედაქციით გათვალისწინებულ იქნა მათი ყველა შენიშვნა იმავე წლის 11 იანვრის პარტნიორთა კრებაზე დამტკიცებული წესდების რედაქციასთან დაკავშირებით. სწორედ 11 იანვრის კრებაზე დამტკიცებული წესდებით უქმდებოდა პარტნიორთა რეგისტრირებული უფლებები, წესდებოდა დამატებითი ვალდებულებები და ა.შ.

კასატორები განმარტავენ, რომ 2014 წლის 05 მარტის კრებაზე დამტკიცებულ წესდებასთან დაკავშირებით ის პრეტენზია ჰქონდათ, რომ ამ წესდებით დგინდებოდა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირება და მისი უფლება-მოვალეობები 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე დამტკიცებული წესდების მსგავსად. კასატორების განმარტებით, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, მისი წევრებისათვის მაღალი ხელფასების დანიშვნა და წესდებით ამ ორგანოს იურიდიულად ლეგიტიმაცია, საჭიროებდა პარტნიორთა ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან მანამდე არსებული წესდებისაგან განსხვავებით, ახალ წესდებში ცვლილებების შეტანა ეხებოდა პარტნიორთა წილს მოგებაში. კასატორების განმარტებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა და არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5¹ პუნქტი. კასატორები აღნიშნავენ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის დანიშნული ხელფასი ყოველწლიურად 96 000 ლარით შეამცირებდა კლინიკის მოგებას, რაც შესაბამისად გამოიწვევდა მოგებაში პარტნიორთა წილის შემცირებას. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5¹ პუნქტის განმარტების შედეგად კი, ცხადი ხდება, რომ ერთხმად უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ თუ იგი ეხება პარტნიორის მოგებაში წილს. სწორედ ამიტომ, კასატორები მიიჩნევენ, რომ საქალაქო და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა ვინაობა განმარტეს აღნიშნული ნორმა, რის გამოც არასწორ დასკვნამდე მივიდნენ. კასატორების განმარტებით, არანაირი საჭიროება არ არსებობდა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისათვის, შესაბამისად საზოგადოებამ იკისრა ვალდებულება, რომლითაც დააზარალა მისი პარტნიორები. დომინანტმა პარტნიორებმა ბოროტად ისარგებლეს თავიანთი დომინანტური მდგომარეობით და პარტნიორთა სრული მხარდაჭერის მიუხედავად მიიღეს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის

გადაწყვეტილება, რისი უფლებაც კანონის თანახმად მათ არ ჰქონდათ.

კასატორები მიუთითებენ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-9 პუნქტზე, რომელიც მათი მოსაზრებით, 2014 წლის 16 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებების (სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა, მისი წევრების დადგენა და მათთვის ხელფასების დანიშვნა) ბათილობის საფუძველია. კასატორების განმარტებით, მათი, ისევე როგორც ნებისმიერი სამენარმეო სუბიექტის პარტნიორების, მთავარი ინტერესია მოგების მიღება, რასაც საფრთხე შეექმნა დირექტორის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს შექმნითა და მისი წევრებისათვის მაღალი ხელფასების დანიშვნით. ასევე, კასატორები აღნიშნავენ, რომ სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია დირექტორის უახლოესი ადამიანებით.

კასატორების შემდეგი პრეტენზია შეეხება დირექტორის საქმიანობის შეფასებისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. კასატორების განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტები და აღნიშნა, რომ დირექტორის გადაყენება არ არის სანარმოს ჩვეულებრივი საქმიანობა. კასატორების მითითებით, დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია არამართო ის გარემოება, რომ იგი მოქმედებდა საზოგადოებისათვის საზიანოდ, არამედ ისიც, რომ იგი არ ასრულებდა მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, სახელდობრ, დირექტორმა არ მიიღო არანაირი ზომები დიზელის სანვავის დანაკლისის გამო პასუხისმგებელი პირებისაგან თანხის ამოღების მიზნით; ასევე არ განახორციელა რაიმე ტიპის ზომები პაციენტებისგან მიუღებელი თანხების ამოღების მიზნით; კლინიკის დირექტორის მიერ საადვოკატო მომსახურების თანხები – 2 800 ლარის ოდენობით, გადახდილ იქნა კლინიკის სახსრებიდან, მაშინ როდესაც დავა მიმდინარეობდა არა კლინიკის, არამედ უშუალოდ დირექტორის მიმართ; კლინიკის დირექტორის მიერ ხელფასების გაზრდა და ნახალისების თანხის გაცემა ხდებოდა დასაბუთების გარეშე; დირექტორის 2010 წლის 12 იანვრის ბრძანებით კლინიკის კონსულტანტ ლ. ხ-ეს ხელფასის სახით განესაზღვრა 1 500 ლარი, მაშინ როდესაც უმძიმესი ავადმყოფობის გამო იგი 2008 წლის მაისის თვიდან საექიმო საქმიანობას აღარ ეწეოდა; 2013 წლის 16 იანვრის პარტნიორთა კრებაზე დამტკიცებული წესდების ცვლილებასთან დაკავშირებით, რეგისტრაციის მოთხოვნ-

ნისას, გადახდილ იქნა მაქსიმალური საზღაური, მაშინ როდესაც ცვლილებების დაჩქარებულ რეჟიმში რეგისტრაციის იმგვარი საფუძველი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ეს ყველაზე ხელსაყრელი იყო კლინიკისათვის, არ არსებობდა. წლიური ანგარიშის სისწორე შემონიშნულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რაც სადავო არ გამხდარა დირექტორის მიერ. კასატორების განმარტებით, მათი ყველა მოთხოვნა დასაბუთებული და საფუძვლიანია, რაც მათი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 იანვრის განჩინებით ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის, ც. მ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონიშნების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის, ც. მ-ის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი შპს „ლ. ხ-ის ს-ის კ-ის“ 2014 წლის 11 იანვრისა და ამავე წლის 05 მარტის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებების კანონიერების საკითხი, რომელიც შეეხებოდა კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის საქმიანობის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეფასებასა და კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარს; ასევე, კლინიკის დირექტორ დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარსა და სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე უარს.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 11 და 16 იანვარს ჩატარდა შპს „დ. ხ-ის ს-ის კ-ის“ პარტნიორთა კრებები, რომელზედაც მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) ხმების 61%-ით ხმების 32%-ის წინააღმდეგ, არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა დირექტორ დ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უარს.

ვისუფლების შესახებ და დირექტორის საქმიანობა შეფასებულ იქნა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;

ბ) ხმების 61%-ით ხმების 17%-ის წინააღმდეგ, დამტკიცდა კლინიკის ახალი წესდება;

გ) ხმების 61%-ით ხმების 19%-ის წინააღმდეგ, შეიქმნა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებად არჩეულ იქნენ: რ. წ-ე, გ. მ-ა და დ. შ-ე;

დ) ხმების 61%-ით ხმების 19%-ის წინააღმდეგ, განისაზღვრა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხელფასები (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით): თავმჯდომარე – 4000 ლარი, თავმჯდომარის მოადგილე – 2500 ლარი; წევრი – 1500 ლარი.

კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 05 მარტის ოქმით დადგენილ იქნა, რომ კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 05 მარტის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ამავე საბჭოს სხდომის 2014 წლის 11 იანვრით დათარიღებული №1 ოქმი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. მ-ა, თავმჯდომარის მოადგილედ კი, – დ. შ-ე.

კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 05 მარტის კრების №3 ოქმითა და კლინიკის ახალი წესდებით დადგენილია, რომ 2014 წლის 05 მარტს შედგა კლინიკის პარტნიორთა კრება, რომელზედაც, ხმების 61%-ით ხმების 25%-ის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კლინიკის ახალი წესდების დამტკიცების შესახებ.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საზოგადოების პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები); კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით; მე-7 პუნქტის თანახმად კი, ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას. მე-9 პუნქტის მიხედვით საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს, ხოლო მე-10 პუნქტით კი, დადგენილია საერთო კრებაზე შპს-ის პარტნიორთა ხმების განსაზღვრის წესი მათი წილების პროპორციულად.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით

კი, განსაზღვრული საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დამატებითი პირობები, კერძოდ: ამ მუხლის მე-5¹ პუნქტის თანახმად, თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი; მე-5² პუნქტის თანახმად, თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილია მიიჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც რაიმე ფორმით აუარესებდა პარტნიორის სამართლებრივ მდგომარეობას (ზღუდავდა ან აუქმებდა მის რეგისტრირებულ უფლებას, ამცირებდა მოგებაში წილს ან ზრდიდა მის მონაწილეობას ზარალში და სხვ.) უნდა განხორციელებულიყო პარტნიორთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში, გადაწყვეტილებები მიიღებოდა სანესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით გამართულ კრებაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ კლინიკის (რომელიც არსებობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით) პარტნიორთა კრებამ, 2014 წლის 16 იანვარს, სანესდებო კაპიტალის 61%-ის მქონე პარტნიორთა გადაწყვეტილებით შექმნა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭო და აირჩია მისი წევრები, ხოლო 2014 წლის 5 მარტს კი, ხმების იმავე ოდენობით მიღებული გადაწყვეტილებით, დამტკიცა ახალი წესდება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებით არ გაუარესებულა პარტნიორთა სამართლებრივი მდგომარეობა. ამდენად, ეს გადაწყვეტილებები კანონიერი იყო და მათი ბათილად ცნობის საფუძველები არ არსებობდა. შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, 2014 წლის 5 მარტს წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილე-

ბის ბათილად ცნობის ნაწილში, უკანონოდ იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კლინიკის პარტნიორთა კრების მიერ 2014 წლის 5 მარტს დამტკიცებულმა წესდებამ თავისთავად გამოორიცხა 2014 წლის 16 იანვარს მიღებული წესდების ამოქმედება. ამდენად, ამ უკანასკნელის ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნისადმი, როგორც კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელისადმი, მოსარჩელეთა ნამდვილი (დასაბუთებული) იურიდიული ინტერესი არ არსებობდა, რის გამოც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებას ეთქვა უარი.

საწარმოს დირექტორის სტატუსისა და მისი უფლებამოსილების. აგრეთვე, მისთვის სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრების წესების დადგენისათვის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას – კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოს სახელით, გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში საწარმოს სახელით. მე-6 პუნქტის თანახმად უი, დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ზემოთ აღნიშნული ნორმის სამართლებრივი მიზანი სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა, რომ დირექტორი საწარმოსათვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტია; შესაბამისად, მისი საქმიანობის უარყოფითად (არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად) შეფასება და ამის შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეს საკითხები უნდა განხილულიყო საწარმოს 100% ხმების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით, რაც, 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე, არ მომხდარა (კრებას არ ესწრებოდა საწესდებო კაპიტალის 7%-ის მფლობე-

ლი პარტნიორი ი. ჩ-ი).

ზოგადად, რა თქმა უნდა, დასაშვებია დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებაც, მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასების გამო, თუმცა ამ საკითხზე პარტნიორთა კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, რაც ასევე არ განხორციელებულა კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის საქმიანობის უარყოფითად შეფასებისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სარჩელი და შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი, დაუსაბუთებელი იყო, რაც გამორიცხავდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს.

სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 5 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, თავისი არსით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის ნორმის გათვალისწინებით, წარმოადგენდა გარიგებას. კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 16 იანვრის კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეულმა პირებმა გამოავლინეს ნება და დაადგინეს, მათგან ვინ იქნებოდა თავმჯდომარის და მისი მოადგილის სტატუსის მატარებელი. ამდენად, სარჩელი ამ გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე არის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელენი ვალდებულნი იყვნენ – დაესაბუთებინათ მისდამი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არსებობა, რაც ვერ შეძლეს: კანონი არ ითვალისწინებდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორის მონაწილეობას, რადგან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. შესაბამისად, არანაირი მნიშვნელობა მოსარჩელე პარტნიორთათვის არ ჰქონდა იმას, განხორციელებული იყო თუ არა კლინიკის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის სახელმწიფო რეგისტრაცია, რადგან სადავო გადაწყვეტილებით მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვას ადგილი არ ჰქონდა.

აქვე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად დირექტორების გამოწვევის (გათავისუფლების) საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, დი-

რექტორის გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლის არსებობა მოცემულ საქმეზე დადასტურებული არ არის. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან საზოგადოების დირექტორის მართლზომიერი და ჩვეულებრივი კომერსანტის გულისხმიერებით გამსჭვალული ქმედების აუცილებლობისა და მისი არარსებობისას დირექტორის პასუხისმგებლობის თაობაზე დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი და მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელ-

მნიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმნიფო ბაჟის (300 ლარი) 70%, რაც შეადგენს 210 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. მ-ის, დ. შ-ას, რ. ჭ-ის, ი. ჩ-ის, რ. გ-ის, ლ. ხ-ის, ც. მ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორებს – ი. მ-ეს, დ. შ-ას, რ. ჭ-ს, ი. ჩ-ს, რ. გ-ეს, ლ. ხ-ეს, ც. მ-ეს დაუბრუნდეთ ლ. ხ-ის მიერ 2014 წლის 23 დეკემბერს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმნიფო ბაჟის (300 ლარის) 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმნიფო საზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... ;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. სანარმოს რეგისტრაციის გაუქმება

შპს-ს რეგისტრაციის გაუქმება ხელახალი რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში დაურეგისტრირებლობისათვის

ბანჩინება

№ას-1015-958-2015

18 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იურიდიული პირის არსებობის ფაქტის დადგენა, იურიდიული პირის რეესტრში რეგისტრაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. 1992 წლის 21 ოქტომბერს თბილისის მერიამ დაარეგისტრირა შპს საფეხბურთო კლუბი „თ“ (შემდეგში სანარმო ან საფეხბურთო კლუბი) სარეგისტრაციო ნომრით ... წესდების თანახმად, სანარმოს დამფუძნებლები იყვნენ რესპუბლიკური ფიზკულტურულ – სპორტული კლუბი „დ.“, შპს „ბ.“ და მ. ირი, მოსარჩევეები, აპელანტები ან კასატორები).

2. საფეხბურთო კლუბი, სახელწოდებით „თ“, მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 1996-2001 წლებში, ამავე წლებში იგი ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული იყო ოთხჯერ, ასევე, უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილეობდა ყოველწლიურად.

3. საფეხბურთო კლუბი რეგისტრირებულია შემოსავლების სამსახურში საიდენტიფიკაციო კოდით 2.., მას მინიჭებული აქვს მოქმედი გადამხდელის სტატუსი. საფეხბურთო კლუბის სამართლებრივ ფორმად მითითებულია – სხვა, საგადასახადო რეგისტრაციისა და საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების თარიღად 01/01/1997, მოდიფიკაცია – აქტიური. შემოსავლების სამსახურში საფეხბურთო კლუბის მოდიფიკაციად „აქტიური“ და გადამხდელის სტატუსად „მოქმედი“ განსაზღვრა იმითაა განპირობებული, რომ კლუბს აქვს საგადასახადო ვალდებულებები.

4. 2013 წლის 11 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმით დამტკიცდა შპს „საფეხბურთო კლუბი თ-ს“ წესდების ახალი რე-

დაქცია. საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელმა (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) შპს-ამ, ააიპ-მა და ფიზიკური პირის წარმომადგენელმა, 2013 წლის 12 ნოემბერს, სანოტარო წესით დამონმებული განცხადებით მიმართეს საჯარო რეესტრის სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურს და მოითხოვეს მენარმეთა და არამესანარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (შემდეგში სამენარმეო რეესტრი) შპს-ისა და მისი ახალი წესდების რეგისტრაცია.

5. სამენარმეო რეესტრმა განმცხადებელთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

5.1. შპს (ს/კ ...) ს/წ-ით ... რეგისტრირებულია ქ. თბილისის მერიის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 1992 წლის 21 ოქტომბერს (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი). მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდეგში მენარმეთა კანონი), რომელიც ამოქმედდა 1995 წლის 1 მარტს. საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის №578 დადგენილების (შემდეგში პარლამენტის №578 დადგენილება) შესაბამისად, ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი სანარმეოები, მენარმეთა კანონის მოთხოვნების შესაბამისად, დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე;

5.2. ამავე დადგენილებით განისაზღვრა ხელახალი რეგისტრაციისათვის გათვალისწინებულ ვადაში რეგისტრაციის გაუვლელობის სამართლებრივი შედეგები, რომლის შესაბამისადაც, მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული წესები. 5.8 მუხლით დადგენილი იყო, რომ: „თუ სანარმეო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე“;

5.3. პარლამენტის №578-ე დადგენილებით, ზემომითითებული სამართლებრივი შედეგის დადგომის დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ საფუძველად განისაზღვრა ხელახალი რეგისტრაციისათვის ამავე დადგენილებით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გაშვება. აქედან გამომდინარე, რადგან არ დასტურდებოდა სანარმეოს (ს/კ ...) მიერ ხელახალი რეგისტრაციის გავ-

ლის ფაქტი, მისი რეგისტრაცია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ითვლებოდა გაუქმებულიად.

6. სამენარმეო რეესტრში არ არის დაცული საფეხბურთო კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, არ დგინდება მისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და ხელახალი რეგისტრაციის ფაქტი. შემოსავლების სამსახურის საარქივო სამმართველოში ამავე საფეხბურთო კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების ამსახველი ჩანაწერის ასლი არ არის დაცული. 1992 წლის 21 ოქტომბერს დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი მენარმეთა კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ექვემდებარებოდა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 სექტემბრამდე და ამ ვადაში მას ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია. შესაბამისად, მითითებული საფეხბურთო კლუბის რეგისტრაცია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ითვლება გაუქმებულიად. საფეხბურთო კლუბი გაუქმდა, მაგრამ სანარმო გადავიდა ლიკვიდაციის რეჟიმში, რაც დასტურდება შპს-ს ტურნირებში მონაწილეობით და მისი ფინანსთა სამინისტროში მოქმედი გადამხდელის სტატუსით რეგისტრირებით, ხოლო დამფუძნებლებმა (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით შეწყვიტეს ლიკვიდაციის რეჟიმი და აქტიურ სუბიექტად აქციეს შპს (იხ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები).

7. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2002 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით იმსჯელა ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებულ დამფუძნებელთაგან შპს-ის დირექტორის განცხადებაზე საფეხბურთო კლუბის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ და განმარტა: „სანარმოთა ხელახალი რეგისტრაციის ვადის ამოწურვა ნიშნავდა ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების შუძღვლობას და რეგისტრაციის გაუქმების დადგომას. როდესაც სახელმწიფო ორგანო, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი ადგენდა სანარმოთა ხელახალი რეგისტრაციის ვადას, არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნულ ვადას მნიშვნელობა არ ჰქონდა და სანარმოთა ხელახალი რეგისტრაცია შეიძლება განხორციელებულიყო ამ ვადის გავლის შემდეგაც. კანონმდებლის მიერ რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციის წესის განსაზღვრა დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესთან. მისი მიზანი არის, აღკვეთოს სანარმოს შექმნისას არსებული ნებისმიერი კანონის დარღვევა, ხელი შეუწყოს საგადასახადო სისტემის ეფექტურ მუშაობას, დაიცვას სამოქალაქო

ლაქო ბრუნვის სტაბილურობა“.

8. წინამდებარე განჩინების პირველ პუნქტში მითითებული საფეხბურთო კლუბის სამმა დამფუძნებელმა – შპს-მ, ააიპ-მა და ფიზიკურმა პირმა 2014 წლის 7 ივლისს აღიარებითი სარჩელი აღძრეს სასამართლოში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომი საჯარო რეესტროის სააგენტო ან მოპასუხე) წინააღმდეგ, იურიდიული პირის არსებობის ფაქტის დადგენისა და იურიდიული პირის რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნით. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი სსკ) 24-ე, 25.4 მუხლები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი სსსკ) 180-ე, 80.3 მუხლები.

9. მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების გამომრიცხავი შესაგებელი წარადგინა, მიუთითა მენარმეთა კანონზე, პარლამენტის №578 დადგენილებაზე, სუსგ-ზე №3კ 661-02 და საწარმოს მიერ სავალდებულო ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელიობის გამო, კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებზე (იხ. შესაგებელი).

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

11. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (2009 წლის 3 ნოემბერი №1974-III); პარლამენტის №578 დადგენილება; სსსკ-ის 180-ე მუხლი.

12. სასამართლომ დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ მენარმეთა კანონში 2009 წლის 3 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2010 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა სამენარმეთო რეესტრისა და კერძო სამართლის არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი მონაცემების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემის უზრუნველყოფა.

13. სასამართლომ დაადგინა, რომ საფეხბურთო კლუბი (ს/კ ...) რეგისტრირებულია ქ. თბილისის მერიის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 1992 წლის 21 ოქტომბერს (რეგისტრაციის ნო-

მერი №...). სუბიექტის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (მათ შორის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების) მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის სამსახურში არ არის დაცული. შემოსავლების სამსახურის მიერ მონოდებული დოკუმენტაციის (საფეხბურთო კლუბის 1992 წლის წესდება) საფუძველზე არ დგინდება ზემოაღნიშნული სუბიექტისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და ხელახალი რეგისტრაციის ფაქტი.

14. სასამართლომ აღნიშნა, რომ მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრა მენარმეთა კანონით, რომელიც ამოქმედდა 1995 წლის 1 მარტს, ასევე, ამ განჩინების 5.1-5.3 ქვეპუნქტებში პარლამენტის №578-ე დადგენილების რეგულაციასა და მის სამართლებრივ შედეგებზე მიუთითა და განმარტა, რომ დადგენილების მე-2 მუხლი წარმოადგენდა სპეციალურ ნორმას, რომელიც მენარმეთა კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ სანარმოებს ეხებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაუქმებას ექვემდებარებოდა იმ სანარმოთა რეგისტრაცია, რომლებიც დასახელებული კანონის მოთხოვნის შესაბამისად ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 სექტემბრამდე და ამ ვადაში ხელახალ რეგისტრაციას არ გაივლიდნენ. ამავე დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, მენარმეთა კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული ერთობლივი სანარმოები 1996 წლის 1 სექტემბრამდე გარდაიქმნებოდნენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ამავე კანონის 2.4 მუხლის შესაბამისად დაექვემდებარნენ სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას, ხოლო 5.8 პუნქტის თანახმად, თუ სანარმო რეგისტრირებული იყო, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებდა რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობოდა, რეგისტრაცია გაუქმდებოდა, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნებოდა გამოსწორებული. დადგენილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, მეორე მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სანარმოთა მიმართ გამოიყენებოდა მენარმეთა კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული წესები (იხ. განჩინების 5.2. ქვეპუნქტი). ხელახალი რეგისტრაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა რამდენჯერმე გააგრძელა და მკაცრად განსაზღვრა ის ვადა, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო სანარმოთა ხელახალი რეგისტრაცია.

15. საქალაქო სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 5 ივლისის №3კ661-02 გადაწყვეტილების განმარტებაზე მიუთითა: „სანარმოთა ხელახალი რეგისტრაცი-

ის ვადის ამონაწერს ნიშნავს ხელახალი რეგისტრაციის განხორციელების შეუძლებლობას და რეგისტრაციის გაუქმების დადგომას. როდესაც სახელმწიფო ორგანო, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი, ადგენს საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის ვადას, არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნულ ვადას მნიშვნელობა არ აქვს და საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს ამ ვადის გასვლის შემდეგაც. კანონმდებლის მიერ რეგისტრაციის და ხელახალი რეგისტრაციის წესის განსაზღვრა დაკავშირებულია საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესთან. მისი მიზანია აღკვეთოს საწარმოს შექმნისას არსებული ნებისმიერი კანონის დარღვევა, ხელი შეუწყოს საგადასახადო სისტემის ეფექტურ მუშაობას, დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა“.

16. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა აღიარებითი სარჩელი.

17. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 1992 წლის 21 ოქტომბერს დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი (სარეგისტრაციო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო კოდით ...) მენარმეთა კანონის მოთხოვნის შესაბამისად ექვემდებარებოდა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 სექტემბრამდე და ამ ვადაში მას ხელახალი რეგისტრაცია არ გაუქვლია. შესაბამისად, საფეხბურთო კლუბის რეგისტრაცია, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ითვლებოდა გაუქმებულად.

18. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, მართალია, გაუქმდა საფეხბურთო კლუბი, მაგრამ საწარმო გადავიდა ლიკვიდაციის რეჟიმში, რაც დასტურდებოდა მისი ტურნირებში მონაწილეობითა და ფინანსთა სამინისტროში მოქმედი გადამხდელის სტატუსით რეგისტრირებით, ხოლო დამფუძნებლებმა, 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით, შეწყვიტეს ლიკვიდაციის რეჟიმი და აქტიურ სუბიექტად აქციეს შპს. სასამართლომ მიუთითა მენარმეთა კანონის 1996 წლამდე მოქმედ რედაქციაზე (47-ე მუხლი), რომლის საფუძველზე პარტნიორთა კრება იღებდა გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების მიხედვით, არ მომხდარა. ლიკვიდაცია მოქმედი კანონმდებლობით გულისხმობდა და გულისხმობს საწარმოს საქმიანობის შეწყვეტას, გაუქმებას. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა ნორმატიული აქტით განსაზღვრა, რომ თუ საწარმო სამი თვის ვადაში არ გაივილიდა ხე-

ლახალ რეგისტრაციას, სუბიექტი ავტომატურად ცხადდებოდა გაუქმებულად, რაც სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში იგივე შედეგის მომტანად მიიჩნია, რაც სანარმოს ლიკვიდაცია. ერთ შემთხვევაში, პარტნიორებს, გარკვეული საფუძვლების არსებობისას, ჰქონდათ უფლებამოსილება, მიეღოთ გადაწყვეტილება სანარმოს ლიკვიდაციაზე (გაუქმებაზე), მეორე შემთხვევაში კი, კანონმა განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში მოხდებოდა სანარმოს გაუქმება (ლიკვიდაცია). სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1992 წლის 21 ოქტომბერს დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის შედეგად, აღარ წარმოადგენდა მოქმედ იურიდიულ პირს და სამენარმეო სუბიექტს. ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობით, შპს-მ, როგორც იურიდიულმა პირმა, დაასრულა თავისი არსებობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა შორის აღარ არსებობდა. ამდენად, სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული მოსარჩელეთა მოთხოვნა, დადგენილიყო (აღიარებული), რომ 1992 წლის 21 ოქტომბერს დაფუძნებული საფეხბურთო კლუბი (სარეგისტრაციო ნომრით ..., საიდენტიფიკაციო კოდით ...) ამჟამადაც მოქმედ იურიდიულ პირს და სამენარმეო სუბიექტს წარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლომ სარჩელი, უსაფუძვლობის გამო, უარყო.

19. სასამართლომ აღნიშნა, რომ მეორე სასარჩელო მოთხოვნა, საფეხბურთო კლუბის სამენარმეო რეესტრში აღდგენის თაობაზე, უშუალოდ იყო დაკავშირებული პირველთან და ვინაიდან არ დაკმაყოფილდა ეს უკანასკნელი, უსაფუძვლო იქნებოდა მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილება, რის გამოც ისიც უარყოფილი იქნა.

20. საფეხბურთო კლუბის დამფუძნებლებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, მოითხოვეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

21. სააპელაციო საჩივარი დამყარებული იყო შემდეგ არგუმენტებზე:

21.1. სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავო ფაქტობრივ გარემოებად, თითქოსდა, 1992 წლის 21 ოქტომბერს დაფუძნებულმა საფეხბურთო კლუბმა (ს/წ -ით ..., ს/კ-ით ...), მენარმეთა კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, 1996 წლის 1 სექტემბრამდე არ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია, რის გამოც კანონმდებლობის შესაბამისად იგი გაუქმებულად ჩაითვალა;

21.2. საფეხბურთო კლუბმა, როგორც სამართლის დამოუკი-

დებელმა სუბიექტმა, 2013 წლის 11 ნოემბერს შეწყვიტა ლიკვიდაციის რეჟიმი და გააგრძელა არსებობა იურიდიული პირის სტატუსით. შესაბამისად, იგი როგორც აქტიური სუბიექტი, იმყოფება მესამე პირებთან ვალდებულებებისამართლებრივ ურთიერთობებში. ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, ლიკვიდაციის რეჟიმში გადასვლის შემდეგ, საწარმო არ გაუქმებულა და, შესაბამისად, იგი არც ამოშლილა არც იმ პერიოდში მოქმედი სამენარმეო რეესტრიდან, არც ადმინისტრაციულ ორგანოს გამოუცია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი, როგორც სამენარმეო სუბიექტის გაუქმების ან რეესტრიდან ამოშლის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ საფეხბურთო კლუბი კვლავ მოქმედი იურიდიული პირი და სამენარმეო სუბიექტია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, გასაჩივრებული გადანყვეტილებითვეა დადგენილი, როგორც უდავო ფაქტობრივი გარემოება (იხ. გასაჩივრებული გადანყვეტილების 3.2.5 პუნქტის ბოლო აბზაცი). აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებაც ცხადყოფს, რომ საქალაქო სასამართლომ გარკვეულწილად მაინც გაიზიარა იურიდიულ დოქტრინასა და ლიტერატურაში დამკვიდრებული ის მოსაზრება, რომ საწარმოს გაუქმება არ ნიშნავდა მის საბოლოო მოსპობას და გაქრობას სამართლებრივი სფეროდან. არ გამოიყენა კანონისა და სამართლის ანალოგია, ქართულ და უცხო ქვეყნის იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრებები, სადაც ნათლად არის საწარმოს გაუქმებისა და ლიკვიდაციის საკითხები გამიჯნული და მოწესრიგებული;

21.3. სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავო ფაქტობრივ გარემოებად უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 5 ივლისის გადანყვეტილებაში ასახული დასკვნა, რომ იურიდიული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ხელახალი რეგისტრაციის ვადის ამონურვა ნიშნავდა ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობასა და საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების დადგომას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ამასთან, სასამართლო უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ კანონმდებლის მიერ რეგისტრაციის და ხელახალი რეგისტრაციის წესის განსაზღვრა დაკავშირებულია საზოგადოებრივი, სახელმწიფო და თითოეული მოქალაქის ინტერესთან, მისი მიზანია აღკვეთოს საწარმოს შექმნისას არსებული ნებისმიერი კანონის დარღვევა, ხელი შეუწყოს საგადასახადო სისტემის ეფექტურ მუშაობას, დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. სასამართლომ უგულებელყო საწარმოს გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავებულობის შესახებ არა მარტო იუ-

რიდიულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრებები, არამედ სასამართლო დოქტრინაში დამკვიდრებული მოსაზრებაც. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში (საქმე №ბს-1123-701 (კ-05)) განმარტა, რომ საწარმოს გაუქმება და ლიკვიდაცია სხვადასხვა ცნებები, პროცესები და ეტაპებია და საწარმოს გაუქმების კანონისმიერი საფუძვლის დადგომა არ არის ავტომატურად საწარმოს საბოლოოდ გაუქმების საფუძველი, არამედ აღნიშნული კანონისმიერი საფუძვლები არის საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების საფუძველი და საბოლოოდ საწარმოს უფლებაუნარიანობის დასრულება (სრულად გაუქმება) ხდება სწორედ საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან. სასამართლო გადაწყვეტილებაში მსჯელობს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილებაზე, ამასთან, გვერდს უვლის სასამართლო დოქტრინაში უკვე მოგვიანებით (შემდგომში) დამკვიდრებულ მოსაზრებას, რაც ასახულია სწორედ ზემოხსენებულ 2006 წლის გადაწყვეტილებაში. აპელანტის მტკიცებით, ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ საფეხბურთო კლუბის ს/კ – ით ..., როგორც სამართლის სუბიექტის ფაქტის აღიარება (დადგენა) და მისი ასახვა სამეწარმეო რეესტრში უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა თავად კლუბისა და მისი დამფუძნებლებისათვის, ვინაიდან სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით უზრუნველყოფილი იქნება კრედიტორების მოთხოვნებისაგან სამართლებრივი დაცვა, ვალდებული პირების წინააღმდეგ მოთხოვნების სრულყოფილად განხორციელება, არსებული ქონებრივი პრეტენზიების წარდგენა მესამე პირებისადმი და ა.შ. საფეხბურთო კლუბი შეძლებს აქტიურ საფეხბურთო-სპორტულ საქმიანობას, იგი დაიბრუნებს კუთვნილ ადგილს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში და მას აღუდგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში (შემდეგში სფფ) ხმის უფლება;

21.4. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, რომ თითქოსდა იმხანად მოქმედი, 1995 წლის მენარმეთა კანონისა და პარლამენტის №578 დადგენილების თანახმად, საფეხბურთო კლუბი, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის, კანონმდებლის მიერ ხელახალი რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადის გასვლის საფუძველით გაუქმდა და ამის გამო, საწარმო გაუქმებულად ითვლება;

21.5. სსკ-ის 25.4 მუხლის თანახმად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაცი-

ციის მომენტიდან. სსსკ-ის მე-80 მუხლი განსაზღვრავს რა საპროცესო უფლებაუნარიანობის ცნებას, პირდაპირ ადგენს, რომ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან (მდრ. სსსკ 80.3 მუხლი). ამდენად, კანონმდებელი ცალსახად ადგენს, რომ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნული კი გულისხმობს სწორედ იმას, რომ იურიდიულ პირს უფლებაუნარიანობა გააჩნია და იგი, როგორც სამენარმეო სუბიექტი არსებობს იქამდე, ვიდრე არ მოხდება მისი გაუქმების რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში (ანუ ამომწავლად სამენარმეო რეესტრიდან);

21.6. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეყრდნობა 1996 წლისათვის მოქმედი მენარმეთა კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტს, რომლის მიხედვით, საწარმოს რეგისტრაცია უქმდება, თუ საწარმო არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს და ხარვეზი გამოსწორებული არ იქნა გარკვეული დროის განმავლობაში. რეგისტრაციის გაუქმება, სასამართლოს აზრით, ნიშნავს იურიდიული პირის არსებობის საბოლოო შეწყვეტას, რომლის შემდეგაც აღარ არის იურიდიული პირი. აღნიშნული არგუმენტაციისას, სასამართლო ხელმძღვანელობს შესაბამის დროს მოქმედი კანონის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტებით. სასამართლო თავის მსჯელობაში არ განმარტავს შესაბამის ნორმებს სისტემური, ტელეოლოგიური (მიზნობრივი) და ისტორიული კუთხით. სასამართლოს მსჯელობით გამოდის, რომ საფეხბურთო კლუბმა, როგორც მენარმე სუბიექტმა, კანონის ძალით, 1996 წლის 1 სექტემბრისათვის, საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა. ამ მსჯელობაში სასამართლომ სათანადო ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების მომენტისათვის (რეგისტრაციის გაუქმების ფიქცია), მას გააჩნდა ქონება, შესაბამისი მოთხოვნები მესამე პირების მიმართ, შესაბამისი ვალდებულებები და საფეხბურთო კლუბი, 1996-2001 წლებში, მონაწილეობდა საფეხბურთო (მათ შორის საერთაშორისო) ტურნირებში, ანუ გამოდიოდა მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში, ის ფინანსთა სამინისტროში დღემდე რეგისტრირებულია მოქმედ გადამხდელად. როგორც 1996 წელს, ისე დღეს მოქმედი მენარმეთა კანონი ითვალისწინებს საწარმოს ლიკვიდაციას. საწარმოს ლიკვიდაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის მიზანია საწარმოს სრული დამთავრება და რომლის ფარგლებშიც საწარმოს ქონება უნდა გა-

ნაწილდეს უპირატესად მის კრედიტორებსა და შემდეგ-პარტნიორებს შორის. აღნიშნული პროცედურის აუცილებლობა განპირობებულია განსაკუთრებით კრედიტორთა დაცვის და ზოგადად, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების მიზნით. მართალია, 1996 წელს მოქმედი მენარმეთა კანონის 5.8 მუხლის რედაქციით კატეგორიულად არ ყოფილა გათვალისწინებული ლიკვიდაციის პროცესის ჩატარების აუცილებლობა, თუმცა, კანონის მიერ გარკვეული საკითხის არასრული ან არაამომწურავი მონესრიგებისას, აუცილებელია, რომ კანონის განმარტების შესაბამისი მეთოდების გამოყენების საფუძველზე დადგინდეს კანონმდებლის ნამდვილი ნება. საწარმოს გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავებულობას განაპირობებს მათივე სამართლებრივი შინაარსი. საწარმოს გაუქმების და ლიკვიდაციის პროცესები სხვადასხვა ეტაპებია, რაც სავალდებულოა, რომ საწარმომ გაიაროს მის სრულ მოსპობამდე. საწარმოს გაუქმების ხდომილება არ ნიშნავს საწარმოს სრულ გაუქმებას (ამოშლას სამენარმეო რეესტრიდან). საწარმოს გაუქმების შემთხვევაში, იგი კვლავ აგრძელებს მუშაობას და გაუქმების ეტაპს მოჰყვება მეორე, მომდევნო, საწარმოს ლიკვიდაციის ეტაპი – საწარმოს ლიკვიდაციის რეჟიმში გადასვლა;

21.7. საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება და ამოშლა რეესტრიდან საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი გულისხმობს სალიკვიდაციო სამუშაოების დაწყებას, ლიკვიდატორების დანიშნვას და სხვ. გაუქმებაში არ იგულისხმება სამენარმეო სუბიექტის არსებობის სრული მოსპობა, მისი უტყაბედი გაქრობა სამართალბრუნვიდან. საზოგადოების გაუქმებით არ ხდება მისი არსებობის საბოლოო დასრულება, არამედ საზოგადოების გაუქმებიდან მის სრულ მოსპობამდე არის დროის მონაკვეთი, რომლის დროსაც უნდა დამთავრდეს საზოგადოების საქმეები, განხორციელდეს საზოგადოების მიერ კრედიტორული თუ დებიტორული მოთხოვნები, მაშასადამე, იმისათვის, რომ გაუქმებული სამენარმეო საზოგადოება მივიდეს თავისი არსებობის საბოლოო შეწყვეტამდე, უნდა განხორციელდეს მისი ენდამასრულებელი ღონისძიებები, რაც სწორედ სპეციალურ წარმოებაშია, რომელსაც სალიკვიდაციო წარმოება, ან უბრალოდ ლიკვიდაცია ეწოდება. ამრიგად, დროის მიხედვით, საზოგადოების არსებობის სრული დამთავრება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელებულია ლიკვიდაცია და დამთავრებულია საწარმოს რეალიზებადი ქონების დანაწილება. შესაბამისად, გაუქმება, დროის მიხედვით, ყოველთვის წინ უსწრებს არსებობის დამთავრებას, ხოლო ეს უკანასკნელი კი დგება ყო-

ველთვის ლიკვიდაციის შემდეგ. ლიკვიდაციის დამთავრებას კი მოჰყვება საბოლოო შედეგი – სანარმოს სრული გაუქმება-ამოშლა სამენარმეო რეესტრიდან. სასამართლოს უნდა ემსჯელა სანარმოს საბოლოო გაუქმებისათვის საჭირო ლიკვიდაციის პროცესის ჩატარების აუცილებლობის შესახებ და პირდაპირ არ დაედგინა, რომ სუბიექტის არსებობა 1996 წ. 01 დეკემბრიდან კანონის ძალით ჩაითვალა შეწყვეტილად;

21.8. იმის გათვალისწინებით, რომ მენარმეთა კანონის შესაბამისი დებულებები შეიცავდა ხარვეზს, უნდა დაისვას მისი გამოსწორების საკითხი ანალოგიის გამოყენებით. სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა. კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ სამართლის ნორმად მიჩნეული უნდა იქნეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ შესახებ კანონი, რადგან აღნიშნული კანონი, მენარმეთა კანონის მსგავსად, არეგულირებს იურიდიული პირის წარმოქმნის, საქმიანობის და შეწყვეტის საკითხებს. აღნიშნული კანონის მე-15 მუხლსა და შემდეგ ნორმებში საუბარია იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტასა და ლიკვიდაციაზე, როგორც ორ დამოუკიდებელ სტადიაზე. სანარმოს შეწყვეტით, რომლის საფუძვლებიც ჩამოთვლილია კანონში, იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ კი, იურიდიული პირის რეგისტრაცია უქმდება, რაც იწვევს ამ უკანასკნელის, როგორც ასეთის არსებობის საბოლოო შეწყვეტას;

21.9. გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სასამართლო თავის პოზიციას იმ არგუმენტითაც ასაბუთებს, რომ მენარმეთა კანონის 1996 წლამდე მოქმედი რედაქციით (47-ე მუხლი) პარტნიორთა კრება იღებდა გადანყვეტილებას სანარმოს ლიკვიდაციის შესახებ, რაც, სასამართლოს მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა და, შესაბამისად, ვერც ლიკვიდაცია მოხდებოდა. სასამართლოს აღნიშნული არგუმენტი მცდარია, რადგან მენარმეთა კანონის 1996 წლამდე მოქმედი რედაქციის 28-ე მუხლით ჩამოთვლილი იყო ლიკვიდაციის დაწყების (ანუ გაუქმების, ანდა საქმიანობის შეწყვეტის) სხვა საფუძვლები. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, სანარმოს ლიკვიდაცია შეიძლებოდა: საზოგადოების პარტნიორთა გადანყვეტილებით; საზოგადოების ქონებაზე გაკოტრების წარმოების გახსნით; განსაზღვრული ვადით საზოგადოების შექმნისას – ვადის გასვლით; სასამართლოს გადანყვეტილებით. ამასთან, აღნიშნული

ჩამონათვალი არ უნდა იქნეს მიჩნეული ამომწურავად. მართალია, 1996 წლამდე მოქმედი მენარმეთა კანონის 28-ე მუხლის პირდაპირ გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან მიმართებაში, თუმცა, აღნიშნული მუხლი ასევე უნდა გამოყენებულიყო შპს-თანაც, რადგანაც სახეზეა ნორმის ანალოგიით გამოყენების ყველა წინაპირობა – ინტერესთა მსგავსი მდგომარეობა და არაგეგმიური საკანონმდებლო ხარვეზი. სასამართლოს მსჯელობიდან კი ჩანს, რომ თითქოსდა, შპს-ის ლიკვიდაციის დაწყების საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ პარტნიორთა კრების შესაბამისი გადაწყვეტილება. ამდენად, 1996 წლამდე მოქმედი მენარმეთა კანონის 47-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით არ ხდებოდა საწარმოს ლიკვიდაცია, როგორც ეს არასწორად მიიჩნია საქალაქო სასამართლომ (საწარმოს ლიკვიდაციის ოთხ და არა ერთ საფუძველს იცნობდა 1996 წლამდე მოქმედი მენარმეთა კანონის 28-ე მუხლი);

21.10. საფეხბურთო კლუბის შემთხვევაში, საწარმოს გაუქმების არც ერთი კანონით გათვალისწინებული საფუძველი არ დამდგარა, რაც ნიშნავს იმას, რომ შპს საბოლოოდ არ გაუქმებულა და იგი დღესაც არსებობს. საწარმოს, როგორც სუბიექტის არსებობა დადასტურებულია ასევე წინამდებარე განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული გარემოებებით, საწარმოს აქვს არა მხოლოდ ქონებრივი მოთხოვნები მესამე პირებისადმი, არამედ მნიშვნელოვანი დავალიანებები, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე; 2013 წელს ჩატარდა საფეხბურთო კლუბის პარტნიორთა კრება და დამტკიცდა შპს-ის წესდების ახალი რედაქცია. ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ საფეხბურთო კლუბი აგრძელებს არსებობას, როგორც სამართლის სუბიექტი და მისი სტატუსი სრულიად შეესაბამება სსკ-ის 24-ე მუხლის მოთხოვნებს. საფეხბურთო კლუბი, როგორც იურიდიული პირი არსებობს და არ მომხდარა მისი გაუქმების რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში (არ ამოშლილა სამენარმეო რეესტრიდან და აღნიშნულზე არც ადმინისტრაციული აქტი გამოცემულა). სსკ-ის 24-ე და 25.4 მუხლების თანახმად, საფეხბურთო კლუბის სამოქალაქო უფლებაუნარიანობის შეწყვეტას არ მომხდარა და იგი დღემდე არსებობს, როგორც სამართლის მოქმედი სუბიექტი;

21.11. აპელანტი, როგორც სარჩელში, ისე სასამართლო სხდომებზე აღნიშნავდა, რომ საფეხბურთო კლუბის ხელახალი რეგისტრაცია, 1996 წლამდე, სამენარმეო რეესტრში ვერ გან-

ხორციელდა გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. იმ პერიოდის სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ საფეხბურთო კლუბის წინააღმდეგ განხორციელებული უკანონო ქმედებების გამოხატულებაა ასევე ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ მიზანმიმართულად არ გამოიყენა იმ პერიოდში (2005 წელს) მოქმედი მენარმეთა კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით მინიჭებული ვალდებულება და არ დაარეგისტრირა შპს და მისი მონაცემები სამენარმეთა რეესტრში. იმ პერიოდში (1999 წლის) მოქმედი მენარმეთა კანონის 5.8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსებობდა საწარმოს რეგისტრაციის პრეზუმფცია, ანუ სანამ არსებობს რეგისტრაცია და სადავოდ ის არავის გაუხდია, შეცდომით რეგისტრირებული საწარმო ითვლება უშეცდომოდ რეგისტრირებულად. საფეხბურთო კლუბის, როგორც სუბიექტის არსებობა დადასტურებულია არა მხოლოდ იმით, რომ დღესაც წარმოადგენს რეზიდენტს საქართველოს საგასახადო კოდექსის მიხედვით, არამედ იგი 1996-2001 წლებში აქტიურ სპორტულ საქმიანობასაც ეწეოდა, ვიდრე 2001 წლის გაზაფხულზე სფფ-ამ უკანონოდ არ შეუწყვიტა მას ფედერაციის სუბიექტის სტატუსი, წაართვა ხმის უფლება და გაუუქმა ადგილი საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში;

21.12. საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა და დაასაბუთა სსსკ-ის 180-ე მუხლი მოცემულ დავასთან მიმართებაში, რადგან მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სწორედ დასახელებული ნორმით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის აღძვრის კანონიერი ინტერესი და მისი დაკმაყოფილებით შესაბამისი სამართლებრივი შედეგების მიღწევის საფუძვლები. ფაქტია, რომ მოპასუხე ეცილება, ედავება მოსარჩელეს იმ გარემოებაზე, რომ საფეხბურთო კლუბი თითქოსდა გაუქმებულია და არ არსებობს როგორც სუბიექტი, რის გამოც, საჯარო რეესტრი უარს აცხადებს მის რეგისტრაციაზე სამენარმეთა რეესტრში. მოქმედი მენარმეთა კანონის მე-4 მუხლი ადგენს რა საწარმოს სამენარმეთა რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულებას, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არარსებობა ხელს უშლის საფეხბურთო კლუბს, იყოს სამოქალაქო ბრუნვის აქტიური მონაწილე და განახორციელოს თავისი უფლებები და ინტერესები. საწარმოს რეგისტრაციას გააჩნია როგორც ფაქტის ან მოვლენის აღნიშვნის, ისე კონსტიტუციური მნიშვნელობა, რეგისტრაციის მონაცემთა საჯაროობა იცავს სავარაუდო კონტრაჰენტებსა და მესამე პირებს, მაგრამ რეგისტრაციის არარსებობა არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საწარმოს (მოცემულ შემ-

თხვევაში საფეხბურთო კლუბის) წინააღმდეგ. ამდენად, სახე-ზეა მენარმეთა კანონის მე-5¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რამდენიმე დაინტერესებული პირი და მათთვის სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის აღძვრის კანონიერი ინტერესი და, მისი დაკმაყოფილებით, შესაბამისი სამართლებრივი შედეგების მიღწევის საფუძვლები.

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

23. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიმართ მოქმედებს გადაწყვეტილების სისწორის პრეზუმფცია, რაც გულისხმობს, რომ სასამართლო განხილვის შედეგად მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ითვლება სწორად. ასეთი გადაწყვეტილება განეკუთვნება ე.წ. მყარ პრეზუმფციათა კატეგორიას. სწორედ ამის გამოხატულებაა სსსკ-ის მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე, თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სანარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. ბუნებრივია, ყოველთვის უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ გაირკვა, რომ არსებობს მისი სისწორის გამომრიცხავი გარემოებები, მაგრამ ასეთ დროს ხდება არა რომელიმე მტკიცებულების მეშვეობით მისი, როგორც პრეზუმფციის უარყოფა, არამედ მისი შეცვლა სხვა გადაწყვეტილებით. არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც გააბათილებს ამ პრეზუმფციის მოქმედებას, ვიდრე ძალაშია შესაბამისი გადაწყვეტილება, მაგრამ მისი გაუქმებისთანავე იგი შესაბამის სამართლებრივ ძალას კარგავს.

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ რადგან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 1992 წლის 21 ოქტომბერს დაფუძნებულმა საფეხბურთო კლუბმა ხელახალი რეგისტრაცია დადგენილ ვადაში ვერ გაიარა, რაც მისი რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი იყო, ამჟამად უნდა დადგენილიყო: უთითებდნენ თუ არა მოსარჩელები ისეთ ახალ გარემოებებს,

რაც ამ სუბიექტის, როგორც იურიდიული პირის, არსებობას ამ ეტაპზე დაადასტურებდა.

25. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი ასეთ მითითებას არ შეიცავდა. მყარი პრეზუმფცია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სახით გაუქმებული და უარყოფილი არ იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ რეგისტრაცია, თავისთავად, კომერციული იურიდიული პირისათვის სავალდებულო პირობას წარმოადგენდა, შესაბამისად, მისი გაუქმების (და აღნიშნულის სასამართლოს მიერ კანონიერად აღიარების და ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის) შემთხვევაში, არ არსებობდა იურიდიული პირის არსებულად მიჩნევის, მარეგისტრირებული ორგანოსათვის მისი რეგისტრაციის აღდგენის დავალდებულების და წინამდებარე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

26. სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელი იურიდიული პირის არსებულად აღიარების თაობაზე ძირითადად ეფუძნებოდა წინამდებარე განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულ გარემოებებს და იმას, რომ საფეხბურთო კლუბს ჰქონდა საბიუჯეტო დავალიანება და ქონებრივი მოთხოვნები, რომელთა რეალიზაციაც ამჟამად სურდა.

27. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული თითოეული გარემოება შეეხებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.07.2002 წლის გადაწყვეტილების მიღებამდე დროის პერიოდს და ამჟამად ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი. კონკრეტული ქონებრივი უფლებების არსებობის და მათი მოცულობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება წარმოდგენილი არ იყო, ამასთან, ასეც რომ ყოფილიყო, არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების წინამძღვრები. დამატებით შეიძლება მითითებულიყო, რომ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგაც კი, საზოგადოების პარტნიორებს ჰქონდათ საზოგადოების მოვალეებისაგან შესრულების (ბუნებრივია, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნის უფლება, აღნიშნული უფლებისათვის მათ რაიმე სპეციალური რწმუნების მინიჭება არ ესაჭიროებოდათ (იხ. სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., №3, გვ.286; ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი, 2002, გვ.183).

28. შემოსავლების სამსახურში საფეხბურთო კლუბის ს/კ-ით ... რეგისტრაციის ფაქტის თაობაზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საწარმოს სამართლებრივ ფორმად მითი-

თებულის – სხვა, გადამხდელის სტატუსად – აქტიური, საგადასახადო რეგისტრაციის თარიღად 01/01/1997, თუმცა, არც აღნიშნული გარემოება შეიძლება მიჩნეულიყო ამ ეტაპზე სანარმოს არსებულ იურიდიულ პირად აღიარების საფუძვლად. ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.07.2002 წლის გადაწყვეტილების მიღებისას საფეხბურთო კლუბს ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება, სადავო არ იყო. სასამართლომ საქმეში მესამე პირად ჩართული შემოსავლების სამსახურის განმარტებაზე გაამახვილა ყურადღება, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებული ჩანაწერი, რომელიც არ შეიცავდა მითითებას სამართლებრივ ფორმაზე, არსებობდა, რადგან დავალიანება ამ დრომდე არ იყო დაფარული რაც არ შეიძლებოდა შეფასებულიყო იურიდიული პირის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად (იხ. 14.07.2015წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლის განმარტებები). საარქივო სამმართველოდან მონოდებული ინფორმაციის შესაბამისად, სამმართველოში არ ინახებოდა პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შესაბამისად, შემოსავლების სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედასტურებინა რამდენად სწორად იყო მითითებული საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი (იხ. შემოსავლების სამსახურის შესაგებელი სარჩელზე).

29. სასამართლომ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბის სა-რეგისტრაციო დოკუმენტაცია სამეწარმეო რეესტრში არ იყო დაცული, ხოლო შემოსავლების სამსახურის წერილით, დანართის სახით მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მოპასუხემ მიიჩნია, რომ არ დგინდებოდა საფეხბურთო კლუბისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებისა და ხელახალი რეგისტრაციის ფაქტი. რაც შეეხება აპელანტების წარმომადგენლის განმარტებას, რომ იურიდიული პირის არსებულად აღიარების და რეგისტრაციის შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა საბიუჯეტო დავალიანების, ხანდაზმულობის საფუძველით, ე.წ. „ჩამოწერა“, აღნიშნულზე შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამისათვის რეგისტრაცია საავალდებულო არ იყო, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი და შესაბამისი იურიდიული ინტერესი (იხ. 14.07.2015წ. სხდომაზე მხარეთა (წარმომადგენელთა) განმარტებები CD დისკზე: 11:48:55-11:49:30; 12:35:06-12:35:25).

30. აპელანტების პოზიციაზე მსჯელობისას, რომ 2013 წლის 11 ნოემბრის პარტნიორთა კრების ოქმით დამტკიცდა შპს-ის წესდების ახალი რედაქცია (იხ. წესდება), რომლითაც ფაქტობ-

რივად, პარტნიორებმა შეწყვიტეს ლიკვიდაციის რეჟიმი და იგი აქტიურ სუბიექტად აქციეს, სასამართლომ აღნიშნა, რომ აქვლანტებს არ მიუთითებიათ, კონკრეტულად რა მოქმედებებს ახორციელებდნენ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ე.წ. სა-ლიკვიდაციო პროცესის დასრულების მიზნით (იხ. სააპელაციო საჩვარი).

31. სასამართლომ მიიჩნია, რომ იურიდიულ პირთან მიმართებაში, რომელმაც ხელახალი რეგისტრაცია არ გაიარა და მისი რეგისტრაცია გაუქმებულია (ამჟამად არ არის რეგისტრირებული), ყოფილი პარტნიორების მიერ ახალი რედაქციის წესდების მიღება ვერ გახდებოდა გაუქმებული იურიდიული პირის არსებულად აღიარების საფუძველი. ახალ წესდებაში აღინიშნა, რომ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა შეადგენდა 1 000 ლარს. საზოგადოების კაპიტალში შენატანის სახით შეტანილი უნდა ყოფილიყო ფულადი სახსრები და/ან მატერიალური ქონება. საზოგადოების კაპიტალში შენატანის შეტანა უნდა განხორციელებულიყო საზოგადოების რეგისტრაციიდან 1 (ერთი) წლის ვადაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ პარტნიორები უფლებამოსილი იყვნენ, მენარმეთა კანონის მოქმედი რედაქციის მოთხოვნათა დაცვით, რეგისტრაციაში გაეტარებინათ სამართლებრივი ურთიერთობის ახალი სუბიექტი.

32. სასამართლომ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელმა სამმა პირმა (იხ. განჩინების პირველი პუნქტი), სანოტარო წესით დამონმებული განცხადებით, 2013 წლის 13 ნოემბერს მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა სამენარმეო რეესტრში საფეხბურთო კლუბისა და მისი ახალი წესდების ასახვა. საჯარო რეესტრის სააგენტომ განმცხადებელთა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტში ასახული მოტივაციით, რაც დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ.

33. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობას შეიცავდა ლ. ჭანტურიასა და თ. ნინიძის ავტორობით შედგენილი „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, თბილისი 2002. კანონის მე-5 მუხლის კომენტარის თანახმად, (ავტორი ლ. ჭანტურია, გვ. 84): „მენარმეთა შესახებ კანონის ამოქმედებამდე, ე.ი. 1995 წლის 1 მარტამდე – კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 31 დეკემბრამდე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გა-

მოიყენებოდა მენარმეთა შესახებ კანონის 5.8. მუხლით გათვალისწინებული შედეგები, ე.ი. რეგისტრაცია უქმდებოდა. ამიტომ, იმ საწარმოებს, რომლებმაც ეს ვადა გაუშვეს, არ ჰქონდათ საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება. თუმცა, ეს არ ართმევდათ მათ საწარმოს დაფუძნებისა და მისი რეგისტრაციაში გატარების უფლებას“. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მითითებულ საკითხზე მსჯელობისას, ავტორი ნაშრომში სწორედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.07.2002 წლის გადაწყვეტილებაზე №3კ/661-02 უთითებდა.

34. სააპელაციო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა მენარმეთა კანონი და მისი კომენტარი (მესამე გამოცემა, თბილისი 2002), საქართველოს პარლამენტის №578 დადგენილება; სსსკ-ის მე-10 მუხლი;

35. მოსარჩევეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

36. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგ არგუმენტაციაზე:

36.1. სასამართლომ, წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ერთმანეთისგან ვერ გამოიჯნა საწარმოს გაუქმებისა და ლიკვიდაციის სამართლებრივი ინსტიტუტები და სრულიად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია ლიკვიდაცია და გაუქმება ერთი და იგივე შედეგის მომტან ხდომილებებად, რის გამოც საფეხბურთო კლუბი, როგორც სუბიექტი, უსაფუძვლოდ მიიჩნია ავტომატურად გაუქმებულად;

36.2. სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რომ თითქოსდა იმ პერიოდში მოქმედი 1995 წლის მენარმეთა კანონისა და პარლამენტის №578 დადგენილების თანახმად, საფეხბურთო კლუბი გაუქმდა, ხელახალი რეგისტრაციის გაუფლევლობის, კანონმდებლის მიერ დადგენილი ხელახალი რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადის გასვლის საფუძველით;

36.3. სსკ-ის 25.4 მუხლი, სსსკ-ის 80-ე მუხლი, მენარმეთა კანონის 2005-2008 წლების რედაქციის 5 (7 პრიმა) მუხლი ცალსახად ადგენს, რომ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტა ხდება იურიდიული პირის ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის სამენარმეო რეგისტრში რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნული კი, გულისხმობს სწორედ იმას, რომ იურიდიული პირი, მათ შორის, სამენარმეო სუბიექტი, არსებობს იქამდე, ვიდრე არ მოხდება მისი გაუქმების რეგისტრაცია სამენარმეო რეეს-

ტრში, ანუ მისი ამოშლა სამენარმეო რეესტრიდან, ხოლო ამოშლის წინაპირობაა ლიკვიდაციის პროცესის დასრულება;

36.4. პირდაპირი ნორმა, ის დეფინიცია და განმარტება, რომ თითქოსდა სუბიექტი ავტომატურად უნდა გამოცხადებულიყო გაუქმებულად, არც 1996 წლის რედაქციის მენარმეთა კანონის 5.8 მუხლსა და პარლამენტის №578 დადგენილების მე-2 და მე-4 პუნქტებში არ იყო მოცემული. იმხანად მოქმედ მენარმეთა კანონის 5.8 მუხლში საუბარი იყო რეგისტრაციის გაუქმებაზე, რაც არ გულისხმობდა ავტომატურად გაუქმებას (ანუ სამოქალაქო ბრუნვიდან სუბიექტის გაქრობას), ისე, რომ არ ჩაეტარებინა ლიკვიდაციის პროცედურები. უფრო მეტიც, ის, რომ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ, სამენარმეო სუბიექტების ლიკვიდაციის პროცესი უნდა დაწყებულიყო, აღიარებული იყო მენარმეთა კანონის 2006 წლამდე მოქმედ რედაქციაში. აღნიშნული კანონის 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებს დაემატა 5⁷-ე მუხლი „რეგისტრაციის გაუქმება“, რომელიც აღწერდა სწორედ 3 თვის ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შედეგად რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას. აღნიშნულ ნორმაში არსებითი იყო, რომ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 3-თვიანი ვადის უშედეგო გასვლის შემდეგ, უფლებამოსილ პირებს (საგადასახადო ორგანოს ან ნებისმიერ პარტნიორს) სასამართლოსათვის უნდა მიემართა „ლიკვიდაციის პროცესის დასაწყებად“, ხოლო რეგისტრაცია უქმდებოდა მხოლოდ „ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ“;

36.5. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის არგუმენტაცია 1996 წლის რედაქციის „მენარმეთა შესახებ“ კანონის 5.8 მუხლის მართებულ განმარტებასთან დაკავშირებით, იგი უზენაესი სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილებით დამკვიდრებულ, ახლა უკვე მოძველებულ პრაქტიკას დაეყრდნო და არასწორად განმარტა, თუ რა სამართლებრივი შედეგები დადგებოდა, შესაბამის ვადაში, მენარმის ხელახალ რეგისტრაციაში გაუტარებლობით;

36.6. კანონის ამგვარი განმარტებით გამოდის, რომ კანონმდებელმა თავისი გადაწყვეტილებით, სულ მცირე, გაუფრთხილებლობით წარმოშვა საფრთხე, რომ რეგისტრაციაგაუვლელი საზოგადოებების კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება შეუსრულებელი აღმოჩენილიყო, ხოლო გარკვეულ საზოგადოებებს მისცა იმის შესაძლებლობა, რომ რეგისტრაციის ვადის გაშვებით, სრულად კანონისმიერად დაეღწიათ თავი საკუთარი ვალდებულებებისათვის. კასატორების ვარაუდით, 5.8. მუხლის შემოღებით, კანონმდებელი ასეთ „სამართლებრივ ლაფსუსს“

არ დაადგენდა;

36.7. სააპელაციო სასამართლოს მენარმთა კანონის 5.8 მუხლი და პარლამენტის №578 დადგენილება იმგვარად უნდა განემარტა, რომ არ დაეშვა, სულ მცირე, კრედიტორთა მოთხოვნების აღუსრულებლობის საფრთხე. ხოლო კანონმდებელი კი, გარკვეული ნორმების შემოღებით არ უნდა უშვებდეს დაპირისპირების შესაძლებლობას კონსტიტუციის ძირითად უფლებებთან, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებასთან. როდესაც სახელმწიფო ამგვარ უფლებებს აღუსრულებელს ხდის, ის უარს ეუბნება თავის მოქალაქეებს საკუთრების გარანტიაზე და, შესაბამისად, იგი (სახელმწიფო) მოქმედებს ანტიკონსტიტუციურად. ასევე, დაუშვებელია, როდესაც სასამართლო – სახელმწიფოს ერთ-ერთი განშტოება – ნორმას იმგვარად განმარტვას, რომ მას სძენს ანტიკონსტიტუციურ მნიშვნელობას;

36.8. იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე სასამართლო დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სუბიექტის გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავებულობას განაპირობებს მათი სამართლებრივი შინაარსი. კასატორების განმარტებით, ქართული სამართალი 2005-2008 წლებში ისევე ანესრიგებდა გაუქმებული სამენარმეო საზოგადოების მიმართ ლიკვიდაციის დანყების აუცილებლობას, როგორც ეს იყო მონესრიგებული გერმანულ სამენარმეო სამართალში;

36.9. სამენარმეო საზოგადოების გაუქმებისა და ლიკვიდაციის პროცესები სხვადასხვა ეტაპებია, რაც სავალდებულოა, რომ სანარმომ გაიაროს სრულ მოსპობამდე. სამენარმეო საზოგადოების გაუქმების ხდომილება არ ნიშნავს მის სრულ და დაუყოვნებლივ გაუქმებას (ამოშლას სამენარმეო რეესტრიდან). გაუქმების შემთხვევაში იგი კვლავ აგრძელებს მუშაობას, ხოლო გაუქმების ეტაპს მოწყება მეორე, მომდევნო – ლიკვიდაციის – ეტაპი, ანუ სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის რეჟიმში გადასვლა;

36.10. სამენარმეო საზოგადოების არსებობის სრული დამთავრება, რაც საბოლოოდ რეესტრიდან ამოშლით სრულდება, საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი გულისხმობს გაუქმების ხდომილების დადგომასთან ერთად, სალიკვიდაციო სამუშაოების დანყებას, ლიკვიდატორის დანიშვნასა და სხვა. გაუქმებაში არ იგულისხმება სამენარმეო სუბიექტის არსებობის სრული და დაუყოვნებლივი მოსპობა, მისი უცაბედი გაქრობა სამართალბრუნვიდან. საზოგადოების გაუქმებით არ ხდება მისი არსებობის საბოლოო დასრულება, არამედ საზოგადოების

გაუქმებიდან, მის სრულ მოსპობამდე (სრულ დამთავრებამდე), არის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის დროსაც უნდა დასრულდეს საზოგადოების ყველა საქმე, მოხდეს საზოგადოების მიერ კრედიტორული თუ დებიტორული მოთხოვნის განხორციელება, პროცესების დასრულება და ა.შ. იმისათვის, რომ გაუქმებული სამენარმეო საზოგადოება მივიდეს თავისი არსებობის საბოლოო შეწყვეტამდე, უნდა განხორციელდეს მისი ე.წ. დამასრულებელი ღონისძიებები, ხოლო დამასრულებელი ღონისძიებები წარმოებს სწორედ სპეციალურ წარმოებაში, რომელსაც სალიკვიდაციო წარმოება, ან უბრალოდ ლიკვიდაცია ეწოდება. სამენარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის განსხვავებულობას გაუქმებისაგან განაპირობებს ის გარემოებაც, რომ დროის მიმდინარეობის თვალსაზრისით, გაუქმება იმწუთიერი მოვლენაა – იგი იწყება და მთავრდება გაუქმების ხდომილების დადგომისთანავე, ანუ როგორც კი იქნება გადაწყვეტილება მიღებული ან ვადა დამდგარი. მაშინ, როცა, ლიკვიდაციის განხორციელება დროშია გაჭიმული – იგი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაშიც კი. ამრიგად, დროის მიხედვით, საზოგადოების არსებობის სრული დამთავრება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელებულია ლიკვიდაცია და დამთავრებულია აქტივების მოძიება, მისი რეალიზაცია და ქონების დანაწილება უფლებამოსილ პირზე. მხოლოდ ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დგება საბოლოო შედეგი, ანუ სამენარმეო საზოგადოების სრული გაუქმება, რაც სრულდება სამენარმეო რეესტრიდან მისი ამოშლით;

36.11. სამენარმეო საზოგადოების გაუქმებისა და ლიკვიდაციის განსხვავებულობის, საწარმოს საბოლოო გაუქმების ხდომილებისა და ეტაპების (საფეხურების) შესახებ ანალოგიური სამართლებრივი კონცეფციები და არგუმენტები გადმოცემულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართალსა და სასამართლო დოქტრინაში. ლიკვიდაცია (ანუ ლიკვიდაციის პროცედურების ჩატარება) რომ საწარმოს გაუქმების შემდგომი, თანამდევნი და თანმიმდევრული ეტაპია, ეს აღიარებულია ევროპულ კორპორაციულ სამართალში, და განსაკუთრებით, გერმანულ სამენარმეო სამართალში. სწორედ ამას ემსახურება კანონის მე-14 მუხლი, რომელიც დეტალურად აღწერს ლიკვიდაციის განხორციელების თანმიმდევრობას. განსაკუთრებით, საინტერესოდ იყო აღწერილი ლიკვიდაციის პროცედურები მენარმეთა კანონის 1996 წლამდე მოქმედი რედაქციის 14.2 – 14.3 მუხლებში;

36.12. ქართულ იურიდიულ თეორიაშიც დამკვიდრებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, სამენარმეო სუბიექტის არსე-

ბობის სრულ დამთავრებამდე (ანუ რეესტრიდან ამოშლამდე) საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განახორციელოს მოთხოვნები მესამე პირების მიმართ, მოიძიოს ქონება და მოახდინოს მისი რეალიზაცია. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული სხვა მოსაზრების თანახმად, დაუშვებელია სამენარმეო რეესტრიდან იმ სუბიექტის ამოშლა, რომელსაც გააჩნია რაიმე ქონება, ვინაიდან სუბიექტის არსებობის სრულ შეწყვეტამდე, არსებობს აუცილებლობა, განხორციელდეს გასაუქმებელი სუბიექტის ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების უფლებამოსილ პირებზე განაწილება. ქონების მქონე სუბიექტის რეესტრიდან ამოშლით კი, ჰაერში რჩება მისი კუთვნილი ქონება, რომელიც არ არის განაწილებული უფლებამოსილ პირებზე. კასატორების მოსაზრებით, სწორედ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, უნდა ემსჯელა სასამართლოს სამენარმეო საზოგადოების საბოლოო გაუქმებისათვის საჭირო ლიკვიდაციის პროცესის ჩატარების აუცილებლობის შესახებ და პირდაპირ არ დაედგინა, რომ სუბიექტის არსებობა 1996 წლიდან, კანონის ძალით, ჩაითვალა შეწყვეტილად. კასატორების მტკიცებით, ლიკვიდაციის მიზნებიდან გამომდინარე, მენარმე სუბიექტის სრული გაუქმებისათვის ლიკვიდაციის პროცესის ჩატარება სასამართლო პრაქტიკაში აუცილებელ წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შედეგი იქნება მიღებული, რომ მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებით, არსებობას შეწყვეტს ეს უკანასკნელი, ხოლო მისი ქონება და ვალდებულებები ჰაერში დარჩება, ანუ, ერთი მხრივ, დაზარალებულ თვითონ სამენარმეო საზოგადოება (მისი პარტნიორები) და, მეორე მხრივ, სამენარმეო საზოგადოების კრედიტორები;

36.13. კორპორაციული სამართლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს, განსაკუთრებით, კომპანიის კრედიტორთა ინტერესების დაცვა. აღნიშნული საკითხის საქართველოს იმდროინდელი (და დღევანდელი) კანონმდებლობით არასრული მონესრიგება ცხადყოფს, რომ მენარმეთა კანონის იმდროინდელი და ახლანდელი ვერსია ხარვეზს შეიცავს. იმისათვის, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზი, საჭიროა მენარმეთა კანონის ძველი და ახალი რედაქციის დებულებების არა მარტო სიტყვასიტყვითი, არამედ განსაკუთრებით ტელეოლოგიური და ისტორიული განმარტება. ამ თვალსაზრისით, საჭიროა იმ სამართლის მოშველიება, რომლის მოდელსაც ეფუძნება ქართული სამენარმეო და კორპორაციული სამართალი. მენარმეთა კანონი, როგორც ცნობილია, ეფუძნება

გერმანულ სამეწარმეო და კორპორაციულ სამართალს;

36.14. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გერმანული სამართლის პრაქტიკა იმ კომპანიათა რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელთაც საფეხბურთო კლუბის მსგავსად, რეგისტრაციის გაუქმების მომენტში გააჩნიათ ქონება. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული სამეცნიერო აზრისა და გერმანიის უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, შპს-ის რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ, ასევე დასაშვებია დამატებითი ლიკვიდაცია, თუ შპს-ს, რეგისტრაციის გაუქმების მომენტში, გააჩნია ქონება. საწარმოს კუთვნილი ქონების არსებობის გამო, საწარმო არ მიიჩნევა მოსპობილად, არამედ – მხოლოდ გაუქმებულად. საწარმოს აღნიშნული ქონება უნდა იყოს ლიკვიდაციის სავარაუდო ხარჯების დაფარვისათვის საკმარისი, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ, განმეორებით რეგისტრაციას არ აქვს ადგილი;

36.15. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებულია შემდეგი აზრი: შპს მხოლოდ მაშინ ამთავრებს თავის არსებობას, როგორც იურიდიული პირი და მენარმე სუბიექტი, როდესაც მას აღარ აქვს ქონება და მისი რეგისტრაცია გაუქმებულია. ყოველი წინაპირობა, ცალკე აღებული, არ არის საკმარისი, არამედ საჭიროა მათი კუმულაციური არსებობა. ამით ხდება იმის გარანტირება, რომ ლიკვიდაციის ფორმალურ დასრულებამდე, თუნდაც რეგისტრაციის ამოშლის მიუხედავად, სუბიექტი არსებობას განაგრძობს. თუ რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ქონება არსებობს, მაშინ თვითონ რეგისტრაცია გაუქმებული შპს-ც განგრძობს არსებობას;

36.16. სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის გათვალისწინებული კანონი შეიცავდა ხარვეზს, რომელიც ადგილი დასაძლევს იქნებოდა იმ კუთხით, თუკი სასამართლო სსკ-ის 5.1 მუხლის შესაბამისად მიმართავდა თუნდაც კანონის ანალოგიას. კასატორი უთითებს ამ განჩინების 21.8 ქვეპუნქტში ასახულ გარემოებაზე.

36.17. კასატორი იმეორებს იმ პრეტენზიებს, რომლებიც მის სააპელაციო საჩივარშია მითითებული (იხ. ამ განჩინების მე-21 პუნქტი) და აკრიტიკებს გასაჩივრებული განჩინების 2.8 პუნქტის პირველ აბზაცს, რომლითაც დადგენილია, რომ 1992 წელს რეგისტრირებული საფეხბურთო კლუბის მონაცემები საჯარო რეესტრში არ არის დაცული. 2010 წლიდან, რაც საჯარო რეესტრი გახდა მარეგისტრირებელი უწყება, მისთვის, წინამორბედ

მარეგისტრირებელ უწყებებს სანარმოს მასალები და მონაცემები არ გადაუწიათ, შესაბამისად, არ არის გასაკვირი ფაქტი, რომ საჭირო მასალები საჯარო რეესტრში არ იყოს დაცული. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება არავითარ სამართლებრივ ზეგავლენას არ ახდენს და სამართლებრივ კავშირში არ არის დავის საგანთან.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი წარმოებამია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 21 დეკემბრის განჩინებით, დაინიშნა საკასაციო განაცხადის დასაშვებობის შესამოწმებლად ზეპირი მოსმენა 24 დეკემბრის სხდომაზე, რომელზეც დასაშვებად იქნა ცნობილი მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

38. საქმის ზეპირი მოსმენისას, მხარეებმა შემდეგნაირად წარმოაჩინეს საკუთარი არგუმენტები:

38.1. კასატორმა ძირითადად საკასაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სუბიექტი არ ამოწმილა რეესტრიდან, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა, არ ნიშნავს სანარმოს ავტომატურ გაქრობას სამართლებრივი სივრციდან, 1996-2001 წლებში საფეხბურთო კლუბი მონაწილეობდა საერთაშორიო ტურნირებსა და ჩემპიონატებში, კომპენსაციას იღებდა უეფა-დან; კასატორის იურიდიული ინტერესია სამენარმეო რეესტრში იურიდიული პირის აღდგენა, რათა ქმედუნარიანი გახდეს სანარმო, შეასრულოს მესამე პირთა წინაშე ვალდებულებები, თუკი ასეთი არსებობს. სანარმოს ხელახალ რეგისტრაციას ხელი შეუშალოს იმხანად მოქმედმა პოლიტიკურმა პირებმა, კერძოდ, 10%-იანმა პარტნიორმა. აღიარებითი სარჩელი არის ერთადერთი სამართლებრივი გზა, რომლითაც სანარმო განახორციელებს მესამე პირთა წინაშე მოთხოვნებს და თავს დაიცავს ვალდებულებებისაგან, როგორც სუბიექტი; დასადგენია 1996 წლიდან გაქრა სამართლებრივი სივრციდან სანარმო თუ 2002 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

38.2 მოპასუხემ მიუთითა, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა ყოფილიყო დასაშვებად ცნობილი, რადგან არ არსებობდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობები;

38.3. მესამე პირმა განმარტა, რომ კასატორის არსებობა გადამხდელის სტატუსით არ ნიშნავს, რომ იგი იურიდიული პირია და მიუთითა საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლზე. ორგანი-

ზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ არის მითითებული გადამხდელის ბარათში, თუმცა, მას აქვს საგადასახადო ვალდებულებები, რაც სადავო არაა.

39. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმებისას, კასატორმა დაასახელა ანალოგიურ საქმეზე პრეცედენტი – სტიაუა რუმინეთის წინააღმდეგ, რომელიც თითქოსდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს მიღებული. საკასაციო სასამართლომ გადამონმების შედეგად, დაადგინა, რომ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ 25.04.2013, გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე: საფეხბურთო კლუბი – Steaua Bucuresti SA (FC Steaua) და მისი სპონსორი (მფლობელის) ბ-ნი ბეკალი (C-81/12 Asociatia Accept v Consiliul National pentru Combaterea Discriminarii), რომელზეც საჩივარი წარადგინა რუმინეთის არასამთავრობო ორგანიზაციამ – ACCEPT და უკავშირდება დისკრიმინაციას – სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ გამოხატულ სიძულვილის ენას. ამდენად, კასატორის მიერ დასახელებული პრეცედენტი არ ეხება განსახილველ დავას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

40. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნაგანმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებულ პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია.

41. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრე-

ტენზიის იმ ნაწილს, რომელიც კანონის ანალოგიით გამოყენებას ეხება (იხ. ამ განჩინების 21.8 ქვეპუნქტი), თუმცა, მიაჩნია, რომ დამატებით კვლევას საჭიროებს მოსარჩელის პრეტენზიების ის ნაწილი, რომელიც ეხება სანარმოს მიერ ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის ფაქტს, როგორც მისი გაუქმების სამართლებრივ საფუძველსა და სანარმოს რეგისტრაციის გაუქმებას, როგორც კონსტიტუციურ ნიშანს.

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგისტრაციასა და აღდგენით ფაქტებს განეკუთვნება, როგორც სანარმოს დაფუძნება, ისე მისი გაუქმება; კორპორაციულად ორგანიზებული კაპიტალური საზოგადოებები, რომელთაგან კასატორი, შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, დარეგისტრირდა 1992 წელს, ხელახალ რეგისტრაციას ექვემდებარებოდა მენარმეთა კანონის ამოქმედებიდან (1995 წლის 1 მარტი) 1996 წლის 1 იანვრამდე, №578-ე დადგენილების საფუძველზე. დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტის შეუსრულებლობის, ანუ ხელახალი რეგისტრაციის 1996 წლის 1 იანვრამდე გაუვლელობის შემთხვევაში, გამოიყენებოდა მენარმეთა კანონის 5.8. მუხლით (1996 წლის რედაქციით) მოქმედი წესები (იხ. ამ განჩინების მე-14 პუნქტი). წინამდებარე საკასაციო საჩივარი ეხება სანარმოს მიერ ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში, მენარმეთა კანონის 5.8. მუხლის გამოყენების შედეგად, განმარტებას იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის გაუქმება იმას ნიშნავს, რომ სანარმო აღარ არსებობს სამოქალაქო ბრუნვაში, როგორც სუბიექტი, თუ გაუქმების შემდეგ, ჯერ კიდევ არსებობს იურიდიული პირი, რადგან იგი არ ამოშლილა სამენარმეო რეესტრიდან.

43. აღნიშნულ გარემოებებზე მსჯელობისას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ სადავო გარემოებაზე, რომ საფეხბურთო კლუბი გაუქმდა, მაგრამ სანარმო გადავიდა ლიკვიდაციის რეჟიმში (იხ. 3.2.5 ქვეპუნქტი; ასევე, ამ განჩინების მე-5 პუნქტი) და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ იურიდიული პირის, რომელმაც ხელახალი რეგისტრაცია არ გაიარა, რეგისტრაცია გაუქმებულია /ამჟამად არ არის რეგისტრირებული/; შესაბამისად, დასადგენია ფაქტი, ობიექტურად ირიცხება თუ არა სამენარმეო რეესტრში საფეხბურთო კლუბი ლიკვიდაციის რეჟიმში, თუ ამოშლილია იგი რეესტრიდან, ანუ კონსტიტუციური ნიშანი, რომელიც სანარმოს იურიდიული არსებობის შეწყვეტას უკავშირდება აღრიცხულია რეესტრში. აღნიშნული საკითხის დამატებით გამოკვლევას მნიშვნელობა აქვს, რადგან სააპელა-

ციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ხელახალი რეგისტრაციის გაუფლევლობის შემდეგ, საწარმოს მონაწილეობა ტურნირებში და მოსარჩელის მიერ მითითებული სხვა გარემოებები, ეხებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2002 წლის გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდს და ამჟამად ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი (იხ. ამ განჩინების 26-27 პუნქტები), თუმცა, დასადგენია, რა სტატუსით მონაწილეობდა საფეხბურთო კლუბი, თუკი იგი ხელახალი რეგისტრაციის შემდეგ უკვე გაუქმდა. აღნიშნული საკითხი კასატორის იმ პრეტენზიის საპასუხოდაც არის დამატებით გამოსაკვლევია, რომელიც მითითებულია ამ განჩინების 38.1 ქვეპუნქტში (1996 წლიდან გაქრა სამართლებრივი სივრციდან საწარმო თუ 2002 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან).

44. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დამატებით კვლევას საჭიროებს საფეხბურთო კლუბის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ფაქტთან დაკავშირებული საკითხი, რადგან საგადასახადო კოდექსის (მოქმედი რედაქციით, რადგან კასატორი აქტიური გადამხდელის სტატუსით ირიცხება) მე-20 მუხლით გადასახადის გადამხდელად მიიჩნევა პირი, რომელსაც აქვს ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება, ხოლო 21-ე მუხლით, რომელზეც საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემონიშნისას, ზეპირი მოსმენით დანიშნულ სხდომაზე, მესამე პირმაც გაამახვილა ყურადღება (იხ. 38.3 ქვეპუნქტი), განსაზღვრულია საწარმოს ცნება. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილით, „საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად: ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები; ბ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური საწარმოს მუდმივი დანესებულება; გ) გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით“. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და დასკვნების (იხ. ამ განჩინების 27-ე პუნქტი) გაზიარების შემთხვევაშიც კი, დაუდგენელია და დამატებით კვლევას საჭიროებს საკითხი იმის თაობაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ 05.07.2002წ. გადაწყვეტილების მიღებისას, საფეხბურთო კლუბს, როგორც შპს-ს

ანუ კაპიტალურ საზოგადოებას, ჰქონდა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი და დღემდე ერიცხება იგი. დღეს რა სტატუსით სარგებლობს საფეხბურთო კლუბი, მის მიერ ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელიობა, როგორც იურიდიული პირის გაუქმება, ნიშნავს თუ არა იმას, რომ დღეს იგი განიხილება, როგორც წარმონაქმნი, რომელსაც არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი და ასეთ წარმონაქმნად მისაჩნევად, რა სამართლებრივი საფუძველი არსებობს, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელიობა აუქმებს იურიდიულ პირს, როგორც სამართლის სუბიექტს თუ გადააქცევს მას წარმონაქმნად, რომელიც არ არის იურიდიული პირი, მაგრამ საგადასახადო ვალდებულებები აქვს. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რათა დადგინდეს, მესამე პირთა წინაშე არსებული ვალდებულებებისა თუ მოთხოვნების გამო, რა სახის სუბიექტად შეძლებს მონაწილეობას ურთიერთობებში საფეხბურთო კლუბი, თუ იგი აღარ არსებობს სამოქალაქო ბრუნვაში.

45. საგადასახადო კოდექსის 66-ე მუხლის მეორე ნაწილით (წინამდებარე განჩინების მიღების დროისათვის მოქმედი რედაქციით, ანუ 27.05.2016 №5144 ცვლილებამდე, რადგან ამჟამად არსებულ დავალიანებას ეხება საკითხი): „გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაციას (აღრიცხვას), გარდა იმ პირებისა, რომელთა რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო), ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით“. ცხადია, გადასახადის გადახდა საჯარო მართლწესრიგის საკითხია, მაგრამ განსახილველ დავაში საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ სააპელაციო სასამართლო მესამე პირის – შემოსავლების სამსახურის განმარტებაზე უთითებს და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაედასტურებინა, რამდენად სწორად იყო მითითებული საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი საფეხბურთო კლუბისათვის, რადგან საარქივო სამმართველოში არ იყო დაცული ინფორმაცია პირის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. აღნიშნულის თაობაზე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რადგან მარეგისტრირებელი ორგანოების ვალდებულება, უზრუნველყონ რეგისტრირებული მონაცემების შენახვა, მონაცემთა სისწორის სადავოობის შემთხვევაში, არ შეიძლება გახდეს რეგისტრირე-

ბული პირის მტკიცების ტვირთი, რამდენად სწორად და რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა მისი რეგისტრაცია, რა საფუძველზე მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი და სხვ. (იხ. ამ განჩინების 27-ე, 28-ე პუნქტები) მით უფრო, რომ ამგვარი ვალდებულება კანონითაა დადგენილი (იხ. განჩინების მე-12 პუნქტი);

46. სანარმოთა ხელახალი რეგისტრაციის სამართლებრივებულებაზე მსჯელობას ასახავს სააპელაციო სასამართლო თავის განჩინებაში (იხ. 30-ე პუნქტი) და, სსსკ-ის მე-10 მუხლის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, სუსგ-ზე №3კ/661-02, 05.07.202წ., როგორც ე.წ. მყარ პრეზუმფციათა კატეგორიაზე უთითებს. დასახელებულ პრეცედენტში განვითარებული მსჯელობა და დასკვნები ასახულია წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტში და, ცხადია, დასაბუთებულია მასში ასახული მსჯელობა, რომ სანარმოთა ხელახალი რეგისტრაციის ვადას კონკრეტული მნიშვნელობა და სამართლებრივი შედეგები დაუკავშირა კანონმდებელმა. მოხმობილ გადაწყვეტილებაში, მასშივე მითითებული მიზნიდან გამომდინარე, ისევე, როგორც პარლამენტის №578-ე დადგენილებაში არ არის ასახული, ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობა, როგორც გაუქმება, რა ფორმით უნდა ასახულიყო მესამე პირთათვის, რომლებიც დაცული უნდა ყოფილიყვნენ სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო ბრუნვაში. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი და სსსკ-ის მე-80 მუხლის მე-3 პუნქტი განამტკიცებს რეგისტრაციის კონსტიტუციურ მნიშვნელობას;

47. ანალოგიურ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია: „საქართველოს პარლამენტის 1996 წ. 28 ივნისის დადგენილების შესაბამისად, 1995წ. 1-ელ მარტამდე კერძო სამოქალაქო სამართლებრივი წესით შექმნილი სანარმოები დაექვემდებარა 1996წ. 31 დეკემბრამდე ხელახალ რეგისტრაციას. კანონის შესაბამისად, ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენებოდა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ე.ი. რეგისტრაცია ჩაითვლებოდა გაუქმებულად.

მოცემულ შემთხვევაში, მართალია, 1996წ. 30 აგვისტოს განხორციელდა შპს „შ-ს“ ხელახალი რეგისტრაცია, მაგრამ იგი გაუქმდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1996 წ. 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რომელიც არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია. აქედან გამომდინარე, ასევე უდავოდაა დადგენილი, რომ შპს „შ-ს“ ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია, იგი, როგორც იურიდიული პირი, 1996წ. 31

დეკემბრიდან არ ფუნქციონირებს ანუ მისი რეგისტრაცია გაუქმებულია. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, დანიშნოს ლიკვიდატორები და დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი.

ამ პროცესში უნდა დადგინდეს საზოგადოების კრედიტორები, საზოგადოების დარჩენილი ქონება უნდა გამოიხატოს ფულად თანხაში. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად (სკ-ის 387-ე მუხლი), უნდა დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს საზოგადოების ყოფილ პარტნიორებსა და გარდაცვლილი პარტნიორის მემკვიდრეზე საზოგადოებაში მათი წილი შესაბამისად“ (სუსგ №ას-768-1393-03, 19.05.2004წ.). საკასაციო სასამართლოს დასახელებული პრეცედენტი სწორედ იმ პოზიციას განამტკიცებს, რომ კანონით დადგენილი წესით ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელია, რაც საწარმოს გაუქმების სამართლებრივი შედეგის გამომწვევია, სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების მაუწყებელია. მოცემულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, რომ ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელია საწარმოს, როგორც უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი სუბიექტის სხვა სამართლებრივ რეჟიმში – სალიკვიდაციო პროცესში გადასვლას ნიშნავს.

48. ამ თვალსაზრისით საგულისმოა ევროპული კორპორაციული სამართლის გამოცდილება, კერძოდ, საგულისხმოა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა გაუქმებული იურიდიული პირის ფუნქციონირების გახანგძლივების შესახებ ევროპული სამართლის მიხედვით:

48.1. ჰოლანდიური კანონის შესაბამისად დაარსებული იურიდიული პირი შეიძლება გაუქმდეს, ქვემოთ მითითებული გარემოებების შემთხვევაში (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის (DCC) მუხლი 2:19):

- საერთო კრებაზე მიღებული დადგენილებით ან, თუ იურიდიული პირი ფონდია და წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით;

- იმ მოვლენის დადგომის შემთხვევაში, რომელიც წესდების თანახმად იწვევს გაუქმებას და რა გარემოებაც არ წარმოადგენს დადგენილებას ან აქტს, რომლის მიზანიც გაუქმებაა;

- მას შემდეგ, რაც იგი გაკოტრებულად გამოცხადდა, ან მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო, გაკოტრდა ან გადახდისუუნარო გახდა;

- იმ შემთხვევაში, როდესაც იურიდიული პირი ფონდი ან კავშირია, თუ მას აღარ ჰყავს წევრები;

- სავაჭრო და სამრეწველო პალატის განკარგულებით;

– სასამართლო გადაწყვეტილებით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კომპანიამ უნდა შეწყვიტოს არსებობა (i) მისი გაუქმების დროს, თუ იმ პერიოდისთვის მას არ გააჩნია რაიმე ქონება (DCC მუხლი 19(4)), ან (ii) ლიკვიდაციის შემთხვევაში, იმ დროს, როდესაც დასრულდება ლიკვიდაცია, ე.ი. მაშინ, როდესაც ლიკვიდატორს აღარ აქვს ქონება (DCC მუხლი 19(6)). ნიდერლანდებში იურიდიული პირი გაუქმების შემდეგ არსებობას განაგრძობს იმ ფარგლებში, რაც საჭიროა მისი კაპიტალის ლიკვიდაციის მიზნებისთვის. გაუქმება იურიდიულ პირს მიზანს უცვლის და მისი მიზანი ხდება გაუქმებული იურიდიული პირის ლიკვიდაცია; გაუქმებული იურიდიული პირი ლიკვიდაციის პროცესშია. ჰააგის სააპელაციო სასამართლო ემხრობა (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა როტერდამის სასამართლოს გადაწყვეტილების (როტერდამის სასამართლო, 2006 წლის 12 იანვარი/JOR 2006, no.62) შემდეგ, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალწარმოების მხარე – სავაჭრო პალატა, კანონის მიხედვით ვალდებული იყო, წარედგინა მოთხოვნა იმ გადაწყვეტილების რეგისტრაციის შესახებ, რითიც უარს აცხადებდა კომპანიის გაუქმების შესახებ მოთხოვნაზე, ვინაიდან საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ ზიანი მიადგა სამართლებრივ განჭვრეტადობას და საჯარო რეესტრის სანდოობას. აპელაციაში გასაჩივრებისას, ჰააგის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა (30 January 2007/JOR 2007, no. 66), რომ სასამართლო უფლებამოსილია მხოლოდ გაუქმების შეწყვეტის შესახებ, რაც ეფუძნება კონკრეტულ პირობებში შეტანილ საჩივარს და გაუქმებული კომპანიის გახანგრძლივებულ არსებობას) გაუქმებული იურიდიული პირის არსებობის შეზღუდულ გაგრძელებას, რაც დამტკიცებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ კონკრეტული პირობების მიხედვით. ნიდერლანდების კანონმდებლობა ითვალისწინებს გაუქმებული კომპანიის შერწყმის ან გაყოფის შესაძლებლობას. იურიდიულ პირს აქვს ეს უფლებამოსილება მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით გაუქმდა.

48.2. გარდა ნიდერლანდებში არსებული გაუქმების საფუძვლებისა, ფრანგული კომპანია შეიძლება გაუქმდეს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იგი დაფუძნდა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ვადა იურიდიული აქტის მეშვეობით გახანგრძლივდა) ან მისი მიზნის შესრულებით ან გაუქმებით (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1844-5, 1844-7 და 1844-8); აუცილებლად უნდა მოხდეს გაუქმებული ფრანგული კომპანიის ლიკვიდაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა (i) შერწყმის მეშვეობით

ის სხვა კომპანია ხდება, (ii) გაყოფის მეშვეობით მისი ქონება გადაეცემა სხვა კომპანიას (iii) ან ჰყავს ერთი აქციონერი, რა შემთხვევაშიც კომპანიის აქტივები გადადის აღნიშნული პირის ხელში. გაუქმებულ კომპანიას უფლება არ აქვს განახორციელოს შერწყმა ან გაყოფა, რის შედეგადაც მასში გაერთიანდება სხვა კომპანია ან იგი მოიპოვებს სხვა კომპანიის კაპიტალს. გაუქმებული კომპანიის კორპორაციული უფლებამოსილება განაგრძობს არსებობას მისი ქონების ლიკვიდაციის სასარგებლოდ, სანამ ლიკვიდაციის პროცესის დასრულება საჯაროდ მოხდება. კომპანიის წესდების თანახმად, განსაზღვრული ვადის ამონაწერის შედეგად სანარმოს გაუქმების შემთხვევაში, აქციონერებს არ შეუძლიათ მითითებული პერიოდის გახანგრძლივება და არც აღნიშნული ვადისთვის უკუძალის მინიჭება. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ცალსახა სამართლებრივ დებულებებს, რომელიც ადგენს, რომ გაუქმებაზე უარის თქმა დაუშვებელია, დოქტრინა არ იძლევა გაუქმებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. გაუქმებული კომპანიის აქციონერებს ერთსულოვანი დადგენილებითაც აღარ აქვთ უფლებამოსილება, გადაწყვიტონ, რომ ლიკვიდაცია არ განხორციელდება.

48.3. გერმანიის სამართალში შემდეგი საფუძვლები გამოიყენება:

- კავშირის წესდებაში მითითებული პერიოდის გასვლა;
- რაც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ კომპანიის მიზნის მიღწევა აღარ არის შესაძლებელი;
- საფონდო ბირჟის კაპიტალთან დაკავშირებით გადახდისუნარიანობის პროცედურის დაწყება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ გაკოტრების პროცედურის დაწყება;
- სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კაპიტალის მდგომარეობის საფუძველზე, უარს აცხადებს გადახდისუნარიანობის პროცედურის დაწყებაზე;
- მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც ხარვეზებს ადგენს საფონდო ბირჟის ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებაში. გაუქმებული კომპანიები კვლავაც განაგრძობენ არსებობას იმდენად, რამდენადაც აღნიშნული საჭიროა მათი კაპიტალის ლიკვიდაციის მიზნებისათვის. გაუქმებული კომპანიები შეიძლება შერწყმის ან გაყოფის მონაწილე პირები აღმოჩნდნენ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კომპანიების არსებობის გახანგრძლივება გადაწყდება. კერძოდ, გერმანიაში დასაშვებად მიიჩნევა გაუქმებული კომპანიების არ-

სებობის გახანგრძლივება. გარკვეულ პირობებში, წინამდებარე წესი შესაძლებელია არ იყოს ნებადართული. მაგალითად, კომპანია, რომელიც დაიშალა არასაკმარისი კაპიტალის გამო, შესაძლებელია ხელახლა იყოს რეგისტრირებული ახალი ფინანსური აქტივების აღმოჩენის შემდეგ. იგივე წესი გამოიყენება იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც უკვე გაუქმდნენ იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ სადამფუძნებლო წესდება. კომპანიის არსებობის გახანგრძლივება შეიძლება გადაწყდეს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იმ პირობით, რომ დივიდენდების განაწილება ლიკვიდაციის შემდეგ არ დაწყებულა. გერმანული კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ კომპანიის არსებობის გახანგრძლივებას, რომელიც უკვე გაუქმებულია ათწლეულების განმავლობაში. აღნიშნული გარემოება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ არც ინდივიდუალური აქციონერი და არც აქციონერთა უმცირესობა არ არის უფლებამოსილი იმ კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც უკვე გაუქმებულია. ივარაუდება, რომ, როდესაც კომპანიის ამოცანა იცვლება გაუქმების შედეგად, ორგანიზაციის მიზანი შეიძლება კვლავ შეიცვალოს კომპანიის აღდგენის მოტივით. გაუქმებული კომპანიის აღდგენის გადანყვეტილება ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

48.4. ინგლისის და უელსის კანონმდებლობის თანახმად, დაარსებული კომპანიები შეიძლება გაუქმდეს შემდეგი საფუძვლებით:

- რეგისტრაციის გაუქმებით ან კომპანიის რეგისტრატორების ინიციატივით;
- კომპანიის მოთხოვნის თანახმად, კომპანიის რეგისტრატორის მიერ რეგისტრაციის გაუქმებით;
- საერთო კრებაზე მიღებული გადანყვეტილება, სადაც დადგენილია, რომ გავიდა კავშირის წესდებით გათვალისწინებული დროის ის პერიოდი, რა პერიოდითაც დაფუძნდა კომპანია.

48.5. ბელგიური კომპანია გაუქმების შემდეგ ლიკვიდაციის მიზნისთვის აგრძელებს არსებობას. იგი ფუნქციონირებასწყვეტს ლიკვიდაციის დასრულების დროს. ლიკვიდაცია მთავრდება მას შემდეგ, რაც საერთო კრება ლიკვიდატორს მისცემს თავისი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას ან სასამართლო გადანყვეტილებით კომპანიის გაუქმების შემთხვევაში, ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესს დასრულებულად სასამართლო აცხადებს. ბელგიის მენარმეთა შესახებ აქტი, გაუქმებაზე უარის თქმის კონკრეტულ ნორმატიულ შესაძლებლო-

ბას არ ითვალისწინებს. გაუქმებული კომპანია უფლებამოსილია, იყოს იურიდიული შერწყმის ან გაყოფის მონაწილე, რის შედეგადაც იგი არსებობას შეწყვეტს, იმის გათვალისწინებით, რომ მას პარტნიორებისთვის ჯერ არ დაუწყია კაპიტალის გადახანალება. შერწყმა არ გულისხმობს იმას, რომ გაუქმებული კომპანიის შეწყვეტის პროცესზე უარის თქმა შესაძლებელია, ვინაიდან შერწყმის მონაწილე კომპანია, რომელიც შერწყმის შედეგად არსებობას შეწყვეტს, გაუქმებულად მიიჩნევა, მისი ქონების ლიკვიდაციის შედეგების გარეშე.

48.6. გაუქმებული ესპანური კომპანია კვლავ აგრძელებს არსებობას, მისი აქტივების ლიკვიდაციის განმავლობაში. გაუქმებული ესპანური კომპანია შეიძლება იყოს საწარმოთა შერწყმის და გაყოფის პროცესის მონაწილე იმ პირობით, რომ ჯერ კიდევ არ დაწყებულა საწესდებო კაპიტალის აქციონერებს შორის განაწილება ან შესაბამისად, აღნიშნული კაპიტალის კომპანიის წევრებისადმი დაბრუნების პროცესი. The Ley 2/1995 de Sociedades de responsabilidad limitada („LSRL“) და the Ley 27/1999 de Cooperativas („LC“) მკაფიოდ განსაზღვრავს შპს-სა და კოოპერატივის მიმართ, რომ კომპანიის გაუქმება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს. გაუქმებული შპს-ს პარტნიორთა კრება უფლებამოსილია აღადგინოს შპს-ს ფუნქციონირება, რამდენადაც გაუქმების საფუძველი აღარ არსებობს. ამასთან, სააქციო კაპიტალი არ არის საწესდებო კაპიტალზე ნაკლები და ლიკვიდაციის შემდეგ, დივიდენდების განაწილება ჯერ არ დაწყებულა. შპს-ს ფუნქციონირების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას წესდებაში შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად და ხმათა დადგენილი უმრავლესობით. მაგრამ, თუ კომპანია კანონის მოქმედების შედეგად გაუქმდა, მაშინ დადგენილება მისი განახლების შესახებ ვერ იქნება მიღებული. წესდებაში განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ, თუ მანამდე არ მოხდება ვადის გაგრძელება და შესაბამისი გადაწყვეტილების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შპს კანონის მოთხოვნების შესაბამისად გაუქმდება და აღარ იქნება შესაძლებელი მისი აღდგენა.

48.7. იტალიაში, კომპანიის დირექტორები ინარჩუნებენ საწარმოს მართვის ძალაუფლებას „კომპანიის მთლიანობისა და კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების მიზნით“ იმ მომენტიდან, როდესაც მათ ეცნობებათ კომპანიის გაუქმების შესახებ და როცა ლიკვიდატორები დაინიშნებიან. ლიკვიდაციის პროცესის დროს, კომპანიის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მარეგულირებელი დებულებები კვლავ ძა-

ლაში რჩება, სადაც შესაძლებელია. გაუქმებული კომპანია შეიძლება იყოს შერწყმის ან გაყოფის პროცესის მონაწილე მხარე იმ პირობით, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუნია თავისი კაპიტალის განაწილება აქციონერებისადმი. გაუქმებულ კომპანიას შეუძლია შეწყვიტოს გაუქმების პროცესი ლიკვიდაციის პროცედურის დასრულებამდე, საერთო კრების დადგენილებით, თუ გაუქმების საფუძველი აღარ არსებობს. შეწყვეტის შესახებ დადგენილება ხმათა უმრავლესობით უნდა იქნეს მიღებული, როგორც ეს განსაზღვრულია წესდების შესწორებებში. დადგენილება ნოტარიულად უნდა იყოს დამოწმებული. მას შემდეგ, რაც ნოტარიუსი დაადასტურებს, რომ კანონით დადგენილი ყველა პირობა შესრულებულია, აღნიშნული დადგენილების რეგისტრაცია 30 დღის ვადაში უნდა მოხდეს. გაუქმება ძალაში შევა მხოლოდ 60 დღის გასვლის შემდეგ, როცა კრედიტორებს შეეძლებათ კომპანიის არსებობის შეწყვეტის გასაჩივრება, საჯარო რეესტრში შესაბამისი გადანყვეტილების რეგისტრაციის შემდეგ;

48.8. ინგლისური კომპანიები ბიზნეს საქმიანობას წყვეტენ იმ მომენტში, როცა იგი უქმდება. მაგრამ კომერციული საქმიანობა შეიძლება დროებით განახლდეს კომპანიის ლიკვიდაციის მიზნებისთვის. დირექტორთა კორპორაციული შესაძლებლობები და უფლებამოსილებები დამოუკიდებელი რჩება მანამ, სანამ კომპანია შეწყვეტს არსებობას. გაერთიანებულ სამეფოს არ განუხორციელებია ევროპული საბჭოს მესამე დირექტივის იმპლემენტაცია თავის სამართლებრივ სისტემაში და არ იცნობს სამართლებრივი შერწყმის ან გაყოფის კონცეფციას. სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ინგლისური კომპანიის შეწყვეტის პროცესი, რომელიც გაუქმდა ორი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კომპანიამ შეწყვიტა არსებობა, ლიკვიდატორის ან იმ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც სასამართლო დაინტერესებულ პირად მიიჩნევს. კერძოდ, ასეთი პირები შეიძლება იყვნენ: აქციონერი ან კრედიტორი. საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს ორი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნებული იქნება რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განცხადება. თუ სასამართლო გააუქმებს კომპანიის შეწყვეტის პროცესს, კომპანიამ შესაძლებელია გააგრძელოს ფუნქციონირება და რეგისტრირებულ იქნეს მარეგისტრირებულ ორგანოში (იხ. *European Company Law – Wolters Kluwer, Law & Business, 2008; Continuation of the Legal Entity that has been Dissolved in an European Perspective*);

49. სხვადასხვა ქვეყნის ევროპული სამართლის ნორმათა

მოხმობით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს გაუქმების შემდეგ იწყება სალიკვიდაციო პროცედურები.

50. წინამდებარე განჩინების 41-ე-47-ე პუნქტებში მითითებული საკითხების დამატებითი გამოკვლევის, მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით გაანალიზებისა და კონკრეტული ფაქტების დადგენის მიზნით, სსსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ-ის“, ააიპ „ს-ოს“, მ. ჟ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;
3. კასატორებს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვთ;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. მოგების განაწილება

განმარტება

№ას-1063-1018-2014

8 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: დივიდენდის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ხ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ს-ს“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხისათვის შპს „ს-სი“ მი-სი კუთვნილი 25%-იანი წილის შესაბამისად, 2012 წლის დივი-დენდების დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მი-თითებულია, რომ დ. ხ-მ 1992წ.-ს დააფუძნა შპს „ს-ე“ და წარ-მოადგენდა მისი 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. ამ-ჟამად კი, ფლობს 25%-იან წილს, ხოლო საზოგადოების 75%-ს დაეუფლა ც. მ-ე, რომელმაც მრავალჯერ სცადა საწარმოდან დ. ხ-ის გარიცხვა. მოსარჩელე განმარტავს, რომ მას ეკუთვნის 2012 წლის დივიდენდები, თუმცა იმის გამო, რომ შპს „ს-ს“ 75%-იანი წილის მფლობელი ც. მ-ე არ აძლევს ინფორმაციას მოსარჩელეს საწარმოს შემოსავალსა და დივიდენდებზე, მოსარჩელემ 24.04.2013წ.-ს მიმართა სასამართლოს პარტნიორთა კრების ჩა-ტარების, წლიური სამეურნეო ანგარიშისა და წარმოდგენილი შედეგების მიხედვით დივიდენდების განაწილების თაობაზე.

მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოუდგენია. სასამართლოს სხდომაზე კი, სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2012 წლის დივიდენდის განაწილების თაობაზე საწარმოს არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, რაც სავალდებულო იყო „მეწარმეთა შე-სახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესა-ბამისად, დივიდენდების გასანაწილებლად, რის გამოც ვერ მო-ხერხდა დივიდენდების განაწილება.

ხესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 მარ-ტის გადაწყვეტილებით დ. ხ-ს სარჩელი შპს „ს-თვის“ 13133.77 ლარის დაკისრების შესახებ (პარტნიორისათვის განკუთვნილი 2012 წლის დივიდენდი) არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა დ. ხ-ს მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ხ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. დ. ხ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა: შპს „ს-ს“ დაეკისრა 13133.77 ლარის გადახდა დ. ხ-ს სასარგებლოდ, კუთვნილი დივიდენდის სახით.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ დ. ხ-მ 2013 წლის 17 ივლისს სარჩელი აღძრა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა მოპასუხე შპს „ს-თვის“ მოსარჩელის კუთვნილი 25% წილის შესაბამისი დივიდენდის გაცემა 2012 წლისათვის. სარჩელში მითითებულია, რომ შპს „ს-ს“ დირექტორი და იმავდროულად, 75% წილის მესაკუთრე ც. მ-ე მიზანმიმართულად არღვევდა მის უფლებებს, ყოველწლიურად რიცხავდა მას საწარმოდან და აიძულებდა ედავა სასამართლოში. არ აძლევდა მოსარჩელეს ინფორმაციას 2012 წლის შემოსავლების შესახებ და არც დივიდენდებს, რის გამოც 2013 წლის 24 აპრილს მოსარჩელემ მიმართა მას პარტნიორთა კრების ჩატარების მოთხოვნით, თუმცა, კრება არ ჩატარებულა.

სარჩელი თანდართული დოკუმენტებით გაეგზავნა მოპასუხეს და დაენიშნა 10-დღიანი საპროცესო ვადა სარჩელზე წერილობითი პასუხის (შესაგებლის) წარსადგენად. გზავნილი ჩაბარდა შპს „ს-ს“ დირექტორ ც. მ-ეს 2013 წლის 31 ივლისს.

მოპასუხეს შესაგებელი სასამართლოსთვის არ წარუდგინა. 2013 წლის 10 სექტემბრის მოსამზადებელ სხდომაზე გამოტანილი განჩინებით დაკმაყოფილდა დ. ხ-ს შუამდგომლობა და შპს „ს-დან“ გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია საწარმოში 2012 წლის დივიდენდების განაწილების შესახებ, პარტნიორთა კრების ოქმი და 2012 წლის მოგების წლიური დეკლარაცია.

დადგენილია, რომ შპს „ს-მ“ სასამართლოს წარუდგინა: ა) 2012 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია, რომლის თანახმად, საწარმოს მოგებამ შეადგინა 61806 ლარი, ხოლო მოგების გადასახადმა – 9270.9 ლარი; ბ) შპს „ს-ს“ პარტნიორთა კრების 2013 წლის 25 მარტის №1 ოქმი, რომლის თანახმად, შპს „ს-ს“ მიმართ ფინანსურ პოლიციაში დაწყებული გამოძიების დასრულებამდე შეჩერდა 2012 წლის დივიდენდების გაცემა; გ) შპს „ს-ს“ ბუღალტრის 2013 წლის 22 მარტის ცნობა, რომლის თანახმად, საწარმოს გასანაწილებელი წმინდა მოგება 2012 წლისთვის არის 52535 ლარი, დივიდენდის გადასახადი – 2628 ლარი, ხელ-

ზე გასანაწილებელი დივიდენდი – 49907 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონეწეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში, მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ამდენად, შპს „ს-ს“ მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შედეგად დამტკიცებულად ჩაითვალა დ. ხ-ს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. თუმცა, მოსარჩელეს არ მიუთითებია 2012 წელს სანარმოს მიერ მიღებული მოგების ოდენობაზე, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ სანარმოში განაწილდა 2012 წლის მოგება დივიდენდების სახით. შესაბამისად, რაიონულმა სასამართლომ, თვითონ მოსარჩელისავე შუამდგომლობით, გამოითხოვა ამ გარემოებათა დასადგენად აუცილებელი მტკიცებულებები, რის გამოც აპელანტის პრეტენზია სასამართლოს მიერ განხორციელებულ ამ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო საჩივრით არ გასაჩივრებულა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე 2013 წლის 10 სექტემბრის განჩინება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ხოლო მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთ-ერთ მენარმე სუბიექტად ითვლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იმავე კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება; წილების მესაკუთრეები, კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნევიან სა-

წარმოს პარტნიორებად.

ამდენად, სამენარმო სუბიექტის დაფუძნების მიზანია მოგების მიღება; პარტნიორის ინტერესიც, როდესაც იგი ხდება საწარმოს განსაზღვრული წილის მესაკუთრე, არის სწორედ საწარმოს მოგებიდან მისი წილის პროპორციული მოგების მიღება დივიდენდის სახით. სხვა სიტყვებით, საწარმოს მიერ მიღებული მოგების შესაბამის წილზე პარტნიორს წარმოემოვა საკუთრების უფლება, რომელიც დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და მისი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება, რის საფუძველზეც სასამართლომ განმარტა, რომ საწარმოს მოგების დივიდენდების სახით განაწილებლად აუცილებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. მითითებული მოსაზრება არ გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და ყურადღება მიაქცია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შინაარსს და მიიჩნია, რომ ნორმით გათვალისწინებული იყო პარტნიორთა კრების უფლება და შესაძლებლობა განაწილებინა დივიდენდი. კანონი არ შეიცავდა მოთხოვნას, რომ დივიდენდი აუცილებლად უნდა განაწილებულიყო მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. კანონის ასეთი განმარტება უსამართლო და არაპროპორციულად შემზღუდველი იქნებოდა ამ სიტუაციაში, როდესაც ერთმნიშვნელოვნად დგინდებოდა, რომ საწარმოს დომინანტი (75% წილის მესაკუთრე) პარტნიორი – ც. მ-ე, კანონით გაუთვალისწინებელ საფუძველზე (გამოძიების დამთავრებამდე დივიდენდის განაწილების შეჩერება) მითითებით და დ. ხ-სთან დაძაბული პირადი ურთიერთობის გამო, არ იღებდა გადაწყვეტილებას 2012 წელს საწარმოს მიერ მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილების თაობაზე, რითაც უკანონოდ იზღუდებოდა დ. ხ-ს საკუთრების უფლება საწარმოს მიერ მიღებული მოგების 25%-ზე (რაც შეადგენდა სწორედ 13133.77 ლარს, ანუ, 52535.1 ლარის 25%-ს).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ს-მ“ გაააჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი

გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი სადავოდ ხდის საქმის განმხილველი სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარმოდგენლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის შესაბამისად მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანის წინაპირობას ქმნიდა, იმ თვალსაზრისით, რომ დაუსწრებელი გადანყვეტილების გამოტანისათვის არ არსებობდა კიდევ ერთი წინაპირობა, რომელიც სარჩელის იურიდიულ დასაბუთებულობაში მდგომარეობდა. კერძოდ, დადგენილად ჩაითვლებოდა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ შპს „ს-ს“ საგადასახადო მოგებამ 2012 წელს შეადგინა 52 535 ლარი; შპს „ს-ს“ პარტნიორთა კრებამ მიიღო გადანყვეტილება, რომ არ განაწილებულიყო 2012 წლის დივიდენდი მანამ, სანამ არ დასრულდებოდა ფინანსური პოლიციის მიერ დაწყებული გამოძიება. ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პირობებში, კასატორს დაუსაბუთებლად მიაჩნია სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, საზოგადოებაში მოგების არსებობა, უპირობოდ არ წარმოშობს პარტნიორებს შორის დივიდენდის მიღების უფლებას. კასატორის მოსაზრებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით წლიურ შედეგებს ამტკიცებს საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრება. ასევე, პარტნიორთა კრების გადასანყვეტია წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილების საკითხი. კასატორის განმარტებით, დივიდენდების სახით პარტნიორთა შორის ნაწილდება საფინანსო მოგება და არა საგადასახადო მოგება. რაც შეეხება, დ. ხ-ს მიერ დასახელებულ თანხას – 52 535 ლარს, კასატორი განმარტავს, რომ ეს იყო შპს-ს 2012 წლის საგადასახადო მოგება. კასატორის განმარტებით, საზოგადოებას საქმიანობის პროცესში უწევს ისეთი ხარჯების განევა, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, ან ხდება შეზღუდული რაოდენობით მათი გამოქვითვა. ასეთ ხარჯებს განეკუთვნება: ძირითად საშუალებათა რემონტის, წარმომადგენლობითი ხარჯების, საურავების, ჯარიმების, სასესხო ვალდებულებების გასტუმრება და სხვა ხარჯები. ამასთანავე საზოგადოებას ნაკისრი ჰქონდა ფულადი ვალდებულება პარტნიორი ფირმიდან შპს „ე. მ-დან“ 52 000 ლარის ოდენობით. აქედან გამომდინარე, კასატორი განმარტავს, რომ შპს „ს-ს“ შესარულა მასზე დაკისრებული 52 000 ლარიანი ვალდებუ-

ლება და შესაბამისად, საწარმოს საფინანსო მოგებამ შეადგინა 535 ლარი. აღნიშნული თანხა შეიძლება განაწილებულიყო დივიდენდის სახით, ან გამოყენებულიყო სხვა მიზნით, მათივე გადაწყვეტილებით.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ს-ს“ პარტნიორთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 2012 წლის დივიდენდი არ განაწილებულიყო, სანამ არ დათავრდებოდა ფინანსური პოლიციის მიერ გამოძიება, რადგან ბუღალტრული დოკუმენტები შესამოწმებლად იყო ამოღებული ფინანსური პოლიციის მიერ, ასე რომ შეუძლებელი იყო საფინანსო მოგების სიზუსტით დადგენა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და სასამართლო გაუმართლებლად ჩაერია შპს-ს კომპეტენციაში, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიღების უფლებამოსილება მხოლოდ პარტნიორთა კრებას ჰქონდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლებულია როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც ის უნდა გაუქმდეს და ძალაში დარჩეს შესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის შპს „ს-დან“ საზოგადოების 25%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის მიერ 2012 წლის დივიდენდის მიღების უფლების კანონიერებას და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითად პრეტენზიას იმ გარემოებაზე აფუძნებს, რომ საზოგადოების პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების გარეშე დივი-

დენდის განაწილება არამართლზომიერი იყო.

კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიზანშეწონილად მიიჩნევს, სადავო საკითხის კანონიერება შემომმდეს მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმეზე გადაწყვეტილება საქმის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლით დადგენილი წესით განხილვის შედეგად გამოიტანა.

საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილების მსჯელობას საქმის განხილვის საპროცესო წესის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმის განხილვის საპროცესო წესზე. დასახელებული ნორმის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამონწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, შესაგებლის შეუტანლობისას სასამართლო ვალდებულია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუმცა ასეთ შემთხვევაში, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა:

1. მოპასუხე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშ-

ნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე.

2. მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა.

ზემოაღნიშნული საფუძვლების კუმულატიურად არსებობა ქმნის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა იმისათვის, რათა სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით დააკმაყოფილოს სარჩელი, მოსამართლე ვალდებულია გამოარკვიოს კანონის ძალით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ამართლებს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას იურიდიული თვალსაზრისით. მოთხოვნის იურიდიული მართებულობის კვლევა, თავის მხრივ, მოიაზრებს მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის სწორად განსაზღვრასა და იმის უტყუარად დადგენას, სარჩელში მითითებული და კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასება იძლევა თუ არა მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმის შემადგენლობას. მითითებულ წინაპირობათაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმასა და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე.

ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, მოპასუხისაგან (მონინაალმდეგე მხარისაგან) მტკიცებულებების მიღება არ ხდება, სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მოპასუხეს უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე გააჩნია, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ სარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით მოპასუხის სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოა რა, რომ მოპასუხემ არასაპატიოდ დაარღვია შესაგებლის წარდგენის ვადა, კანონის ძალით დადგენილად მიიჩნევა შემდეგი გარემოებები:

დ. ხ-მ 2013 წლის 17 ივლისს სარჩელი აღძრა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხისათვის შპს „ს-ში“ მისი კუთვნილი 25%-იანი წილის შესაბამისად, 2012 წლის დივიდენდების დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ დ. ხ-მ 1992წ.-ს დააფუძნა შპს „ს-ე“ და წარმოადგენდა მისი 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. ამჟამად კი, ფლობს 25%-იან წილს, ხოლო საზოგადოების 75%-ს დაეუფლა ც. მ-ე, რომელმაც მრავალჯერ სცადა საწარმოდან დ. ხ-ს გარიცხვა. მოსარჩელე განმარტავს, რომ მას

ეკუთვნის 2012 წლის დივიდენდები, თუმცა იმის გამო, რომ შპს „ს-ს“ 75%-იანი წილის მფლობელი ც. მ-ე დ. ხ-ს არ აძლევს ინფორმაციას საწარმოს შემოსავალსა და დივიდენდებზე, 24.04.2013წ.-ს მან მიმართა სასამართლოს პარტნიორთა კრების ჩატარების, წლიური სამეურნეო ანგარიშისა და წარმოდგენილი შედეგების მიხედვით დივიდენდების განაწილების თაობაზე.

ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესაბამისი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) უქონლობის გამო, დ. ხ-ს სარჩელში არ იყო მითითებული მოთხოვნილი დივიდენდის ოდენობა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შპს „ს-დან“ გამოთხოვილ დოკუმენტაციაზე, სახელდობრ: ა) 2012 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაზე, რომლის თანახმად, საწარმოს მოგებამ შეადგინა 61806 ლარი, ხოლო მოგების გადასახადმა – 9270.9 ლარი; ბ) შპს „ს-ს“ პარტნიორთა კრების 25.03.2013წ.-ის №1 ოქმზე, რომლის თანახმად, შპს „ს-ს“ მიმართ ფინანსურ პოლიციაში დაწყებული გამოძიების დასრულებამდე შეჩერდა 2012 წლის დივიდენდების გაცემა; გ) შპს „ს-ს“ ბუღალტრის 22.03.2013წ.-ის ცნობაზე, რომლის თანახმად, საწარმოს გასანაწილებელი წმინდა მოგება 2012 წლისათვის არის 52535 ლარი, დივიდენდის გადასახადი – 2628 ლარი, ხელზე გასანაწილებელი დივიდენდი – 49907 ლარი. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დ. ხ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ს-ს“ დაეკისრა 13133.77 ლარის გადახდა დ. ხ-ს სასარგებლოდ, კუთვნილი დივიდენდის სახით.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ს-ს“ პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაგებლის წარმოუდგენლობის საპატიოობაზე არ მიუთითებია და არც სარჩელისა და თანადართული დოკუმენტების დადგენილი წესით ჩაბარების შესახებ ფაქტობრივი გარემოება გაუხდია სადავოდ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია კი, სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ დაუსაბუთებლობას შეეხება, რასაც მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ „დივიდენდი“, რომლის მიღების უფლებასაც სადავოდ ხდის კასატორი, წარმოადგენს იურიდიული პირის ფინანსური მოგების ნაწილს, რომელზე უფლებაც მოპოვებულია ამ იურიდიულ პირში წილის ფლობით (საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტი) და ამდენად, მასზე „უფლება“ და-

კავშირებულია პარტნიორის სტატუსთან. მოგების განაწილების შესაძლებლობა გათვალისწინებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების მხრიდან პარტნიორის ამ მოთხოვნაზე უარი დაუშვებელია.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მუხლები, რომლებიც კაპიტალურ საზოგადოებებს ეხება, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას იმ დოკუმენტებსა და მეთოდებზე, რომლებსაც დივიდენდად გასანაწილებელი თანხის ან მოგების გაანგარიშება უნდა დაეყრდნოს. რაც შეეხება დივიდენდის დადგენის, გამოცხადებისა და განაწილების პროცედურულ წესს, აღნიშნული დადგენილია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზიაც ამ წესის დარღვევით დივიდენდის მიკუთვნებას შეეხება, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ს-ს“ პარტნიორებს წარმოადგენენ ც. მ-ე 75%-იანი წილის უფლებით და დ. ხ-ე – 25%-იანი წილის უფლებით, ხოლო მათგან საზოგადოების დირექტორია მოპასუხე ც. მ-ე, რომელიც არღვევდა დ. ხ-ს უფლებებს, ყოველწლიურად რიცხავდა მას საწარმოდან და აიძულებდა ედავა სასამართლოში. არ აძლევდა მოსარჩელეს ინფორმაციას 2012 წლის შემოსავლების შესახებ და არც დივიდენდებს, რის გამოც 24.04.2013წ.-ს მოსარჩელემ მიმართა მას პარტნიორთა კრების ჩატარების მოთხოვნით.

ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებებისა და აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დივიდენდის გამოცხადებისა და გადახდის კომპეტენციას „მენარმეთა შესახებ“ კანონი დირექტორს აკუთვნებს, დაუშვებელია დირექტორის ეს უფლება არამართლზომიერად იქნეს გამოყენებული და უსაფუძვლოდ შეზღუდოს პარტნიორის უფლება დივიდენდის მიღებაზე. ნებისმიერი სამოქალაქო უფლება შემოფარგლულია მისი განხორციელების მართლზომიერებით (სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხ.) და ამდენად, სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ნების გამოვლენით არ უნდა ირღვეოდეს პირის ძირითადი უფლებები

და სამართლის ზოგადი პრინციპები. სასამართლოს უპირველესი ამოცანა კი, უფლების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებაა. მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო საჩივრის სამართლებრივ საფუძვლად დივიდენდის განაწილების პროცედურული წესის დარღვევაზე კასატორის მითითება, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია და თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ხ-ს მიეკუთვნა საზოგადოების 2012 წლის დივიდენდი სამართლებრივად სწორია.

კასატორის იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ „დივიდენდების სახით პარტნიორთა შორის ნაწილდება საფინანსო მოგება და არა საგადასახადო მოგება, ხოლო დ. ხ-ს მიერ დასახელებული თანხა – 52 535 ლარი იყო შპს-ს 2012 წლის საგადასახადო მოგება. საზოგადოებას კი, სამეწარმეო საქმიანობის პროცესში უწევს ისეთი ხარჯების გაწევა, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება, ან ხდება შეზღუდული რაოდენობით მათი გამოქვითვა“, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია „მოგება“, ფინანსური გაგებით, არის მთლიანი შემოსავლისა და ხარჯების სხვაობა (არარეალიზებული შემოსავლის და ხარჯების გაუთვალისწინებლად), თუმცა კასატორის მითითებული რაოდენობის შესაგებლად შესადავებელი ფაქტია, რომელზე შედავების პროცესუალური უფლებამოსილება მოპასუხემ (კასატორმა) დაკარგა პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე შესაგებლის წარუდგენლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე

დაუსწრებელი გადანყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადანყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადანყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (657 ლარის) 70% – 459,90 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. კასატორს – შპს „ს-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი:) და-

უბრუნდეს შ. ბ-ის მიერ 2014 წლის 15 ოქტომბერს №1 საგადახ-
დო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (657 ლარის) 70%
– 459,90 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწი-
ფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №...,
სახაზინო კოდი ... ;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

მოგაზის განაწილება

განჩინება

№ას-863-813-2015

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: პარტნიორთა კრების მოწვევისა და დივიდენ-
დის განაწილების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

დ. ხ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი) სარჩელი აღ-
ძრა სასამართლოში შპს „ს-ს“ (შემდგომში – მოპასუხე, კასატო-
რი) მიმართ და მოითხოვა საზოგადოების პარტნიორთა 2014
წლის 30 მაისის №5 ოქმის ბათილად ცნობა და მოპასუხის (დი-
რექტორი ც. მ-ე) დავალდებულება, მოიწვიოს პარტნიორთა კრე-
ბა და განაწილოს 2013 წლის დივიდენდი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მარტივი შედაგების ფარ-
გლებში განმარტა, რომ არ არსებობდა საზოგადოების პარტნი-
ორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაპირო-
ბები, იგი მოწვეული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით და მას-
ში მონაწილეობდა მოსარჩელე. რაც შეეხებოდა კრების მოწვე-
ვასა და დივიდენდის განაწილებას, ამ ნაწილში სარჩელი იყო
უსაფუძვლო.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საზოგადოების პარტნიორთა 2014 წლის 30 მაისის კრების №5 ოქმი, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალდებულებისა და საპროცესო ხარჯების ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაევალა 2013 წლის დივიდენდის სახით 8 081 ლარის მოსარჩელისათვის გადაცემა.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა 2014 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა და საზოგადოების დირექტორის დავალდებულება პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2013 წლის დივიდენდების განაწილების თაობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი პარტნიორთა კრების №5 ოქმი. ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და იგი ძალაშია. მოსარჩელის მოთხოვნა პარტნიორთა კრების მოწვევისა და 2013 წლის დივიდენდის განაწილების დავალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა და აპელანტმა სწორედ ამ ნაწილში გაასაჩივრა გადაწყვეტილება. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა საზოგადოების პარტნიორთა 2014 წლის 30 მაისის კრების №5 ოქმი.

5.1.2. 2014 წლის 30 მაისის პარტნიორთა კრების №5 ოქმის თანახმად, 2013 წელს საწარმოს წმინდა მოგება შეადგინა 37 198 ლარი, ხარჯები, რომელიც არ გამოიქვითა, 4 874 ლარი იყო, ხოლო საფინანსო მოგება – 32 324 ლარი.

5.1.3. მოპასუხე საწარმოში აპელანტის წილი შეადგენდა 25%-ს.

5.1.4. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, 44-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 46-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ სამენარმეო სუბიექტის დაფუძნების მიზანი მოგების მიღებაა; პარტნიორის ინტერესიც, როდესაც იგი ხდება სანარმოს განსაზღვრული წილის მესაკუთრე, სწორედ სანარმოს მოგებიდან მისი წილის პროპორციული მოგების მიღებაა დივიდენდის სახით. სხვა სიტყვებით, სანარმოს მიერ მიღებული მოგების შესაბამის წილზე პარტნიორს წარმოეშობა საკუთრების უფლება, რომელიც დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და მისი შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

5.1.5. გასაჩივრებული გადაწყვეტილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს ეფუძნებოდა, რასაც არ დაეთანხმა პალატა და განმარტა, რომ მითითებული ნორმით გათვალისწინებულია პარტნიორთა კრების უფლება და შესაძლებლობა, გაანაწილოს დივიდენდი. კანონი არ შეიცავს მოთხოვნას, რომ დივიდენდი აუცილებლად უნდა განაწილდეს მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით. კანონის ასეთი განმარტება უსამართლო და არაპროპორციულად შემზღუდველი იქნება ამ სიტუაციაში, როდესაც ცალსახაა, რომ სანარმოს დომინანტი (75% წილის მესაკუთრე) პარტნიორი – ც. მ-ე, კანონით გაუთვალისწინებელ საფუძველზე (სანარმოში 2013 წელს მოგება არ დადგინდა, რადგან სანარმოში მიმდინარეობს აუდიტორული შემოწმება, შესაბამისად, არ მომხდარა მისი განაწილება) მითითებით, არ იღებს გადაწყვეტილებას 2013 წელს სანარმოს მიერ მიღებული მოგების დივიდენდების სახით განაწილების თაობაზე, რითაც უკანონოდ იზღუდება დ. ხ-ის საკუთრების უფლება სანარმოს მიერ მიღებული მოგების 25%-ზე (რაც შეადგენს სწორედ 32324 ლარს, 25%-ი კი – 8081-ია).

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

6.1. საკასაციო საჩივრების საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილით, ასევე, ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით, კერძოდ, სააპელაციო სასამარ-

თლომ აპელანტს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია, სასარჩელო მოთხოვნა დივიდენდის განაწილების თაობაზე პარტნიორთა კრების ჩატარების დავალდებულება იყო და არა თანხის დაკისრება, ამდენად, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნები.

6.1.2. კასატორმა მიუთითა სასარჩელო მოთხოვნაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაზე და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს არავითარი უფლება არ ჰქონდა, მიეღო გადაწყვეტილება სანარმოს კრების მოწვევისა და დივიდენდის განაწილების დავალდებულების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს მისთვის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებაც კი არ უცდია, ასეთ შემთხვევაში, სრულიად გაუმართლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ დომინანტი პარტნიორი კანონით გაუთვალისწინებელი საფუძვლით არ აპირებს დივიდენდის განაწილებას, რის გამოც საკითხი სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, ამით სააპელაციო პალატა უხეშად ჩაერია სანარმოს შიდა საქმიანობაში.

6.1.3. სააპელაციო სასამართლომ, გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას, არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და არასწორად აღნიშნა, რომ დივიდენდის განაწილება მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით არ ხორციელდება. აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ საკუთარ თავზე იკისრა პარტნიორთა კრების ფუნქცია.

6.1.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ამავე მხარეებს შორის განხილულ დავაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაც (№ას-75-408-09). უზენაესმა სასამართლომ მითითებულ გადაწყვეტილებაში დივიდენდის განაწილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, შესაბამისი პროცედურების დაცვით მიიჩნია შესაძლებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და

საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, რომელიც შეეხება სასამართლოს მიერ საწარმოში წლიური მოგების დივიდენდის სახით პარტნიორთა შორის განაწილებას. სააპელაციო პალატის დასკვნით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შინაარსის მიუხედავად, სასამართლო ყოველთვისაა უფლებამოსილი, გადაწყვიტოს დივიდენდის განაწილების საკითხი, რათა დომინანტ პარტნიორს არ მიეცეს შესაძლებლობა, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში, არაპროპორციულად შეზღუდოს მცირე პარტნიორის საკუთრების უფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული სიკეთეა.

1.2. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებს და წარმოადგინა პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება-განმარტების თაობაზე.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია, თუ რა ჩაითვლება კანონის დარღვევად, ასეთად კი, მიიჩნევა მატერიალური სამართლის ნორმების არასწორი გამოყენება-განმარტება, ასევე, საპროცესო წესების იმგვარი დარღვევა, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

1.4. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და აპელანტს მიაკუთვნა ის, რასაც მხარე არ მოითხოვდა, კერძოდ, სარჩელის, ასევე, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესწავლით ირკვევა, რომ კასატორის მონინალმდეგე მხარის მოთხოვნა იყო მოპასუხე საწარმოსა და მისი დირექტორის დავალდებულება, მოენვია პარტნიორთა კრება და გაენაწილებინა დივიდენდი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი, სააპელაციო პალატამ მხარეს მიაკუთვნა საწარმოში მისი წილის პროპორციული მოგება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, რომლის

თანახმადაც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული ნორმის დანაწესი არა მარტო პირველი ინსტანციის, არამედ, სააპელაციო და საკასაციო განხილვის წესებზეც ვრცელდება, რამდენადაც, ამავე კოდექსის 384-ე და 409-ე მუხლების თანახმად, ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვეტილება მხოლოდ მხარის მოთხოვნის ფარგლებში შეცვალოს, ხოლო საქმის ზემდგომ სასამართლოში განხილვისას დავის საგნის გადიდება დაუშვებელია (სსსკ-ის 381-ე და 406-ე მუხლები). ამდენად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გასცდენოდა სასარჩელო მოთხოვნას და თუნდაც იმ პირობებში, თუკი ჩათვლიდა, რომ არსებობდა დივიდენდის განაწილების წინაპირობა, მას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა ემსჯელა გასაჩივრებულ გადაწყვეტილების კანონიერებაზე (სსსკ-ის 377-ე მუხლი).

1.5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის იმ პოზიციასაც, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. დასახელებული ნორმა განამტკიცებს იურიდიული პირის, როგორც სამართალსუბიექტის დამოუკიდებლობის ზოგად პრინციპს და ყოველი კონკრეტული შემთხვევის რეგულირების მატერიალური საფუძველი „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითაა განსაზღვრული. მითითებული კანონის მე-3 თავში მოცემულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მახასიათებელი სპეციალური წესები და 47-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პარტნიორთა კრება წარმოადგენს საზოგადოების მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელ უმთავრეს ინსტიტუტს. სწორედ საერთო კრებაზე ფორმირდება საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორიცაა: წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა; საწარმოს

სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება; ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია; ინვესტიციების განხორციელება, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს; პროკურის გაცემა და გაუქმება; წლიური შედეგების დამტკიცება; აუდიტორის არჩევა; სანარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. მითითებული საკითხების გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, კრება იღებს გადაწყვეტილებას: ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრის შესახებ; იმ დამატებითი უფლებების გამოყენებაზე, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს; შენატანების მოთხოვნის, დამატებითი შენატანების უკან დაბრუნების; დირექტორების დანიშვნა/გამონევის, მათთან ხელშეკრულებების დადება/შენწყვეტის, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცების; სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ, ასევე, ახალი/დამატებითი შენატანების გზით სანარმოს კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას („მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5-მე-7 პუნქტები). „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, წლიური მოგების/დივიდენდის განაწილების საკითხის გადაწყვეტა შპს-ის მმართველობითი ორგანოს (საერთო კრება) კომპეტენციაა და ასეთ შემთხვევაში, პარტნიორის, მათ შორის, მცირე პარტნიორის უფლებადამცავ დანაწესს

საერთო კრების მოწვევის განმსაზღვრელი ნორმები გვთავაზობს.

1.6. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას იმის შესახებ, რომ სამენარმეო საზოგადოების პარტნიორს გააჩნია დივიდენდის მოთხოვნის უფლება, თუმცა, ყველა შემთხვევაში აღნიშნული არ შეიძლება იქნეს მიჩნეული საწარმოს ხელძღვანელობით უფლებამოსილებაში სასამართლოს მხრიდან ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლად. საკითხის სამართლებრივად სწორად შეფასებისათვის ყურადღება უნდა გამახვილდეს თავად დივიდენდის ინსტიტუტზე. საქმეში წარმოდგენილი შპს „ს-ს“ წესდების თანახმად საზოგადოების მიზანი მოგების მიღება და საქმიანობის შემდგომი განვითარებაა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საქმიანობის მიზნის გათვალისწინებით, პარტნიორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება საზოგადოების საქმიანობიდან მოგების მიღებაა. ეს უფლება მოიცავს დივიდენდის მიღების ზოგად უფლებას (დივიდენდის მიღების უფლება) და კონკრეტული სამეურნეო წლის ბოლოს პარტნიორის მიერ საზოგადოების მოგების ნაწილის მოთხოვნის უფლებას (დივიდენდის მოთხოვნის უფლება). მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ პირველი უფლება წარმოიშობა საზოგადოების პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – საზოგადოების პარტნიორთა კრების მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან. ამდენად, წლიური შედეგების დამტკიცებისა თუ დივიდენდის განაწილების საკითხი საზოგადოების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რომელიც ფორმირდება საზოგადოების საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების სახით. დივიდენდის მოთხოვნის უფლების მარეგულირებელ ნორმას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს როგორც დივიდენდის გაცემა-არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. აღნიშნული კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა კრების მიერ დივიდენდის გაცემა-არგაცემის ან დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს და მათი მოწესრიგების შესაძლებლობას ითვალისწინებს კომპანიის წესდებით. საქმეში არსებული წესდების მე-6 მუხლის თანახმად, საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანო პარტნიორთა კრებაა (6.1. მუხლი), რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მათ შორის წლიური შედეგების დამტკიცებისა და შე-

დეგების გამოყენებაზე (6.7.7. მუხლი), ხოლო მე-8 მუხლით დივიდენდი ნაწილდება შესაბამისად, ყოველი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით (8.2. მუხლი). შეიძლება ითქვას, რომ, როგორც კანონის, ისე საწარმოს წესდების შესაბამისად, დივიდენდის გაცემის თაობაზე გადანყვეტილების მიღება საწარმოს დისკრეციაა, რაც გულისხმობს გასაწინააღმდეგებელი მოგების ოდენობის განსაზღვრის დისკრეციასაც და ამ გადანყვეტილების მიღებაში სასამართლო უნდა შეიჭრას, თუ უფლებამოსილ პირთა მხრიდან ადგილი ექნება არაკეთილსინდისიერ ქმედებებს, პარტნიორის უფლებების განზრახ უგულვებელყოფას ან დისკრეციის ბოროტად გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის მიზნებისათვის, პარტნიორთა გადანყვეტილება ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა, რომელიც სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული გარიგების ნამდვილობის ყველა ელემენტს უნდა აკმაყოფილებდეს და სადავოობის შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც არ ეთანხმება ამ გარიგებას, უფლებამოსილია, ისარგებლოს უფლების სასამართლო წესით დაცვის საყოველთაო პრინციპით, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების მიმართ.

1.7. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის შედავებას იმის შესახებ, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისგანაც. ამავე მხარეებს შორის განხილული ერთ-ერთი დავისას, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა დ. ხ-ის მოთხოვნას დივიდენდის განაწილების თაობაზე და განმარტა, რომ დ.ხ-ეს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ სადავო პერიოდისათვის მოგების განაწილება საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის გზით განხორციელდა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „დივიდენდების გაცემა საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივი პროცესი კი არ არის, არამედ განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც შესაბამისი პროცედურის დაცვით ხორციელდება. დივიდენდის გაცემის საფუძველი შეიძლება იყოს საწარმოში მოგების არსებობა და პარტნიორთა კრების გადანყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდების გაცემის შესახებ. დივიდენდის სავალდებულო რეჟიმში მხოლოდ ერთ პარტნიორზე გაცემა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის... პარტნიორს დივიდენდის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა თუ დამტკიცდებოდა, რომ შპს „ს-ს“ პარტნიორთა კრების გადანყვეტილებით მოხდა დივიდენდების განაწილება და მას,

როგორც პარტნიორს, მისი წილის პროპორციული თანხა არ გაუნაწილეს, ან თუ ის მოითხოვს პარტნიორთა კრების მოწვევას და სანარმოს პარტნიორთა კრება მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების განაწილების თაობაზე“. (იხ. სუსგ №ას-75-408-09, 2 ივლისი, 2009 წ.).

1.8. პალატა კვლავ დაუბრუნდება განსახილველ სარჩელს, რომლის თანახმადაც, დ. ხ-ე მოითხოვდა მოპასუხე სანარმოსა და მისი დირექტორის დავალდებულებას პარტნიორთა კრების მოწვევისა და დივიდენდის განაწილების თაობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მითითებული მოთხოვნის მარეგულირებელი მატერიალური ნორმა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლია, თუმცა ამ ნაწილში სააპელაციო პალატას არ უმსჯელია და არ დაუდგენია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე არც ერთი ფაქტობრივი გარემოება (ნორმის შემადგენლობა), შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). რაც შეეხება თავად პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის საკითხს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-2 პუნქტით რეგლამირებულია პარტნიორის შესაძლებლობა, შესაბამისი პროცედურების დაცვით, მოიწვიოს საერთო კრება და დადგინდეს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანისა თუ კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხი, ნორმით განსაზღვრულია ასევე შპს-ის დირექტორის უფლებამოსილება, თავად მოიწვიოს საერთო კრება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სანარმოში მოგების არსებობის ფაქტის დადგენისას ისე იხელმძღვანელა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი შპს „ს.ს.“ პარტნიორთა 2014 წლის 30 მაისის №5 კრების ოქმით, რომ მას არ გამოუკვლევია ამავე კრების გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი, რომლის თანახმადაც დ.ხ-ის მოთხოვნით საზოგადოების დირექტორს დაევალა პარტნიორთა კრების ჩატარება მოსარჩელისათვის მისაღებ დროს იმ დღის წესრიგით, რასაც პარტნიორი დ. ხ-ე წარადგენდა. სასამართლოს ასევე არ უმსჯელია სანარმოს მიმართვაზე, რომლითაც მოსარჩელეს გაეგზავნა სადავო კრების ოქმი და განემარტა, რომ კრების მიმდინარეობის ჩანაწერი გადაეცემოდა მომავალ პარტნიორთა კრებაზე, რომელიც მისთვის სასურველ დროს ჩაინიშნებოდა. კრების მოწვევის დავალდებულების მოთხოვნასთან მიმართებით პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ დივიდენდის განაწილება სცილდება სანარმოს ჩვეულებრივ საქმიანობას, რის

გამოც, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებულ კრებას. საკავალაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ეს უკანასკნელი შემთხვევა შეიძლება განვიხილოთ პროპორციულად სანარმოს საქმიანობაში (კრების მოწვევის დავალდებულება იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია ყველა პარტნიორის მონაწილეობით კრების ჩატარება) სასამართლოს მხრიდან ლეგიტიმურ ჩარევად, ამასთანავე, პარტნიორთა კრების დღის წესრიგის განსაზღვრის ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას პალატამ შეფასება უნდა მისცეს თავად მოსარჩელის განმარტებას იმის თაობაზე, რომ სანარმომ მოგებით დაასრულა 2013 წელი და გასანაწილებელი თანხა შეადგენდა 32 324 ლარს, მაგრამ არასწორი აღრიცხვიანობის გამო, სანარმოს დამატებით დაერიცხა 20 270 ლარი და სანქცია-საურავი 15 000 ლარი, რაც სანარმოს 2013 წლის ნაგებაზე უთითებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი კრების ოქმის მე-2 პუნქტის თანახმად კი, სანარმოს ბუღალტერს დაევალა 2013 წლის წლიური ანგარიშისა და დივიდენდის განაწილების შესახებ მოსარჩელისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება, მას შემდეგ, რაც სანარმოში დასრულდება საგადასახადო-ფინანსური და სახელმწიფო აუდიტორული შემოწმება.

1.9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკავალაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკავალაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს დავა, ვიდრე ობიექტურად არ დადგინდება მისი გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

2.1. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს კასატორმა დაურთო მტკიცებულებები: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის განჩინებისა და აუდიტორული დასკვნის ასლები.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მტკიცებულებათა მიღების საფუძველი, შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.07.2009წ. №ას-75-408-09 განჩინების, ასევე, შპს „ა-ის“ 29.04.2015წ და 12.06.2015წ. დასკვნების ასლები.

3. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს „ს.სა“ და მისი დირექტორის, ც. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. კასატორებს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე დართული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.07.2009წ. №ას-75-408-09 განჩინების, ასევე შპს „ა-ის“ 29.04.2015წ და 12.06.2015წ. დასკვნების ასლები.
4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

სამეწარმეო ურთიერთობებში დირექტორის უფლება-მოვალეობების საფუძვლები

ბანჩინება

№ას-471-450-2015

30 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, პარტნიორის გარიცხვა, საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან გადაყენება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „დ. +-მა“ (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვს ბ. ქ-ისათვის (შემდგომში – მოპასუხე) ზიანის – 188 584 აშშ დოლარის დაკისრება, მისი საზოგადოების დირექტორობიდან გათავისუფლება და პარტნიორობიდან გარიცხვა.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მარტივი შედავების ფარგლებში განმარტა, რომ ზიანის მიყენების ფაქტი მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია, ამასთანავე, არც დირექტორის გათავისუფლებისა და პარტნიორობიდან გარიცხვის სამართლებრივი საფუძვლები არარსებობს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 188 584 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე გათავისუფლდა საზოგადოების დირექტორის თანამდებობიდან და გაირიცხა შპს-ის პარტნიორობიდან.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარ-

ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. პალატამ მიუთითა სასარჩელო მოთხოვნაზე, ასევე, სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მაისის განაჩინით მოპასუხე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩადენისათვის. მითითებული განაჩენის მიხედვით მოპასუხემ, სხვა პირებთან ერთად, სახელმწიფო ბიუჯეტს 294 582,17 ლარის ოდენობით ზიანი მიაყენა შემდეგ ეპიზოდებში: 1. პ. გ-ის ეპიზოდში – 182 081,27 ლარის, 2. ა. გ-ის ეპიზოდში – 56 969,00 ლარის, 3. ა. მ-ის ეპიზოდში – 47 348 ლარისა და 4. ტ. კ-ის ეპიზოდში – 8183,90 ლარის.

5.1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, პალატამ აღნიშნა, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას ყოველთვის წინ უძღვის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება, რაც მოიცავს მტკიცებულებების შემოწმებას დასაშვებობის, შემხებლობის, და უტყუარობის კუთხით, აგრეთვე, მტკიცებულებათა საკმარისობაზე მსჯელობას და მათ შეფასებას ერთობლიობაში. მტკიცებულებათა დასაშვებობა შესაძლებელია დადგენილი იყოს როგორც მატერიალური კანონით, ასევე საპროცესო კანონით. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის გამარტივებული წესით განხილვის მარეგულირებელი ნორმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავი) მონესრიგებულია როგორც წმინდა პროცესუალური საკითხები (დასაშვებობა, განსჯადობა და ა.შ), ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხები (მაგალითად: 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად კანონმდებელი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგი-

ის 2006 წლის 10 მაისის განაჩენით დგინდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ოდენობის დასადგენად კანონმდებელი დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენს. ამასთან, ზიანის ოდენობის დასადგენად შესაძლებელია, განაჩენი საკმარისი არ აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეიცავს ზიანის შესაბამის გაანგარიშებას, ხოლო, თუ განაჩენი ზოგადად ადგენს ზიანის მიყენების ფაქტს და არ შეიცავს მიყენებული ზიანის ოდენობის დასაბუთებას, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მოსარჩელეს დასჭირდება სხვა დამატებითი მტკიცებულების წარდგენა. წინამდებარე დავის ერთ-ერთი მოთხოვნის – ზიანის ანაზღაურების განხილვისას მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა არა განაჩენით დადგენილი ფაქტი ბ. ქ-ის, როგორც შპს „დ.+-ის“ დირექტორის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზიანის მიყენების თაობაზე, არამედ ფაქტი იმის შესახებ, თუ რა ზიანი მიაღდა საწარმოს – შპს „დ.+-ს“ მისი დირექტორის დაწესებულებრივი ქმედების შედეგად.

5.1.3. საქმეში წარმოდგენილი თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 9 დეკემბრის აქტით დგინდებოდა, რომ შპს „დ.+-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 282 957,00 ლარის გადახდა.

5.1.4. სსიპ შემოსავლების სამსახურსა და მოსარჩელეს შორის 2010 წლის 12 ნოემბერს გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება და სახადასახადო ვალდებულების ჯამური ოდენობა განისაზღვრა 222 000 ლარით, გადახდის ვადად დადგინდა 30 დღე. აღნიშნული საგადასახადო შეთანხმება გაფორმებული იყო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №1412 განკარგულების საფუძველზე. ვინაიდან, 2010 წლის 19 ოქტომბრის მონაცემებით მოსარჩელეს გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხებოდა დავალიანება – 356 844,76 ლარი, მან მოითხოვა საგადასახადო შეთანხმების გაფორმება. მოსარჩელე ზიანის სახით ითხოვდა 188 584 აშშ დოლარს. მოთხოვნის საფუძველად მითითებული, იყო 2010 წლის 12 ნოემბრის საგადასახადო შეთანხმებით გადასახდელი თანხის გადახდის მიზნით საწარმოს მიერ კრედიტის აღება (რის გამოც ბანკისთვის დასაბრუნებელი აქვს აღნიშნული თანხა). პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის სავალდებულო იყო იმის დადგენა, მოთხოვნილი თანხის ოდენობით საწარმოსათვის ზიანის მიდ-

გომაში მოპასუხეს მიუძღვოდა თუ არა ბრალი. მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე, მოპასუხის ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამტკიცება. მოპასუხე, თავის მხრივ, ვალდებული იყო, დაედასტურებინა, რომ მას ზიანში ბრალი არ მიუძღვოდა. კონკრეტულ შემთხვევაში, ზიანის ოდენობასა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დასადგენად საკმარისი არ იყო მხოლოდ განაჩენზე მითითება. რაც შეეხებოდა საგადასახადო შეთანხმებას, იგი გაფორმებულ იქნა 356 844, 76 ლარის დავალიანების არსებობის გამო.

5.1.5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთებით პალატამ ჩათვალა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, შემომწმინა სარჩელის საფუძვლიანობა არსებითად. პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა ემსჯელა ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

– არის თუ არა საგადასახადო შემომწმინების აქტით საწარმო-სათვის თანხის დარიცხვა ბ. ქ-ისათვის 2006 წლის 10 მაისის განაჩენით დანაშაულებრივად შერაცხული ქმედების შედეგი და რამდენი იყო ეს თანხა;

– მოიცავს თუ არა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის განკარგულებით მითითებული საგადასახადო ვალდებულება, 356 844,76 ლარი ბ. ქ-ის ქმედებით მიყენებული ზიანის ოდენობას და რამდენად. ამის შესაბამისად, საწარმოს მიერ სესხის დავალიანების წარმოშობასა და ბ. ქ-ის, როგორც ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულ ქმედებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა და მასში მოპასუხის პასუხისმგებლობის ფარგლები.

5.1.6. პარტნიორობიდან მოპასუხის გარიცხვის თაობაზე, გაზიარებულ იქნა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვისას დაცულ უნდა იქნეს ბალანსი საზოგადოების ინტერესსა და თავად პარტნიორის ლეგიტიმურ ინტერესებს შორის. საკითხის განხილვისას თანაბარი წილის მქონე ორი პარტნიორის არსებობის პირობებში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალურთიერთობაში მოქმედი კეთილსინდისიერების პრინციპი და საკითხი უნდა გადაწყდეს საწარმოსა და კეთილდინდისიერი პარტნიორის სასარგებლოდ, ფაქტობრივი გარემოება, რითაც სასამართლომ იხელმძღვანელა პარტნიორის კეთილსინდისიერების დასადგენად, იყო მოპასუხის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით საწარმოსათვის ზიანის მიყენება, რაც კვლევის საგანს წარმოადგენდა და,

შესაბამისად, პარტნიორის გარიცხვის საკითხიც უნდა გადან-
ყვეტილიყო ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დად-
გენის შემდგომ.

5.1.7. საზოგადოების დირექტორობიდან მოპასუხის გათავი-
სუფლების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობაზე
უნდა ემსჯელა საქალაქო სასამართლოს. 2012 წლის 6 აგვის-
ტოს პარტნიორთა კრების ოქმით მოპასუხე გათავისუფლდა დი-
რექტორობიდან და დაინიშნა ა. გ-ი, რაც აისახა სამენარმეო რე-
ესტრში. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიზანშეწონილად
ჩათვალა აღნიშნული მოთხოვნის არსებითად განხილვა იმ მი-
ზეზით, რომ სადავო არ დარჩენილიყო საკითხი ბ. ქ-ის დირექ-
ტორობიდან გათავისუფლების შესახებ. სასამართლოს განმარ-
ტებით, შესაგებლით ბ. ქ-ი სადავოდ ხდიდა მისი გათავისუფ-
ლების საკითხს, შესაბამისად, მას კვლავ რჩებოდა უფლება,
წმინდა ფორმალური მოთხოვნის დაცვაზე მითითებით ედავა
ამ საკითხის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. აღნიშნული
მოთხოვნა აღიარებითი ხასიათის იყო, შესაბამისად, სამოქალა-
ქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, არსებითად
განხილვამდე მოსარჩელეს უნდა გადაეღებინა მისი დასაშვებო-
ბის ეტაპი, რა დროსაც უნდა დადგენილიყო იურიდიული ინტე-
რესის არსებობა ამ მოთხოვნის მიმართ. იურიდიული ინტერე-
სის დასაბუთება მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებას, სა-
სამართლო თავად ამოწმებს სარჩელის მიმართ იურიდიული ინ-
ტერესის არსებობას. აღიარებითი მოთხოვნის მიმართ იურიდი-
ული ინტერესის არსებობას წარმოადგენდა მოსარჩელის მიზა-
ნი, რომ უფლების არსებობა-არარსებობის დადგენა სწორედ სა-
სამართლოს გადანყვეტილებით მომხდარიყო. ეს უკანასკნელი
კი, თავის მხრივ, ემსახურებოდა მოსარჩელესა და მოპასუხეს
შორის მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობის დადგენას.
აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის მიზანი არ შეიძლება
გამხდარიყო მხოლოდ მოპასუხისაგან შესაძლო პრეტენზიის და-
ყენების პრევენციად.

5.1.8. პალატის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში, დი-
რექტორობიდან მოპასუხის გათავისუფლების თაობაზე პარტნი-
ორის გადანყვეტილება რეგისტრირებულია და შესულია შესა-
ბამისი ცვლილება სამენარმეო რეესტრში. თუკი მოპასუხე, სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, სა-
დავოდ გახდის (შეეცილება) ამ გადანყვეტილებას, მაშინ მან
უნდა მიუთითოს კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლები და
მხოლოდ ამ ფარგლებში შეეძლება სასამართლო გადანყვეტი-
ლების კანონიერების შემოწმება.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

6.1.1. სააპელაციო პალატამ ადმინისტრაციულ აქტში აღნიშნული ზიანი არასწორად არ მიიჩნია დადასტურებულ ზიანის ოდენობად. საგადასახადო დავალიანების ძირითადი თანხის შესაბამისი თანხა შეიძლება საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანად ჩაითვალოს იმის გამო, რომ ეს თანხა დირექტორის მიერ საზოგადოების საქმეების არაკეთილსინდისიერად განხორციელების შედეგია, რამდენადაც იგი არ წარმოიშობოდა, თუ არ არსებობდა დანაკლისი. აღსანიშნავია, რომ იგი შეიცავს დღგ-ს თანხას, რომელიც დაერიცხა ნაშთს, რომლის რეალიზაციაც არასოდეს განხორციელდება, რადგანაც საქონელი არ არსებობს. ეს გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს საწარმოს სხვა ოპერაციებით მიღებული მოგების ხარჯზე. 888 162,58 ლარი მთლიანად იქნებოდა საწარმოსათვის მიყენებული ზიანი, რომ არა ის გარემოება, რომ ამ თანხის მატერიალური ფასეულობის შეძენა არ მომხდარა, ეს ნაშთი მხოლოდ ბუღალტრულად ირიცხებოდა, ვინაიდან მოპასუხე აწარმოებდა უსაქონლო ოპერაციებს. ანგარიშფაქტურების გაყალბების ფაქტი განუყოფელი ნაწილია და უშუალოდ უკავშირდება მას, რადგანაც სწორედ ამ ანგარიშფაქტურების გამოსაწერად ესაჭიროებოდა მოპასუხეს საბუღალტრო ნაშთი, რომელსაც სხვა დანიშნულება არ გააჩნია. საწარმოში არსებული მატერიალური ფასეულობების დანაკლისი უდავოდ ზიანია, რომელზეც პასუხისმგებლობა დირექტორს აკისრია, ისევე, როგორც ამ დანაკლისის გამო დაკისრებულ გადასახადებსა და სანქციებზე. ამ თვასაზრისით სასამართლომ არასწორად შეაფასა განაჩენი და მასში ასახული გარემოებები.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ, განსხვავებით ქვემდგომი სასამართლოსი, არ გაითვალისწინა დირექტორის მიერ საკუთარი მიზნებისათვის საწარმოს კანონსაწინააღმდეგოდ გამოყენების ფაქტი, პალატამ მცდარად აღნიშნა, რომ არ არსებობდა დირექტორის გათავისუფლების თაობაზე მსჯელობის წინაპირობა, ვინაიდან ცვლილება იყო რეგისტრირებული რეესტრში. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ისიც, რომ რეგისტრაციის წინაპირობა პროცედურების დაცვა და არა არაკეთილსინდისიერების გამო მისი დირექტორად დატოვების მიზანშეუწონლობა გახდა.

6.1.3. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლი, როდესაც განმარტა, რომ ზიანის მიყენების ფაქტი ადმინისტრაციული აქტით არ შეიძლება დადასტურდეს. ასევე, არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 309¹⁷ მუხლის მოთხოვნები, როდესაც აღნიშნა, რომ განაჩენით დგინდებოდა არა საწარმოსათვის, არამედ სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების ფაქტი. კასატორის შეფასებით, პალატამ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი განაჩენითა და სხვა მტკიცებულებებით შეუძლებელია სასამართლოს არ დაენახა ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა. საგადასახადო შემონმების აქტის საფუძველზე საწარმოსათვის თანხის დარიცხვა წარმოადგენს სწორედ დირექტორის მიერ მიყენებულ ზიანს, რაც არ შეიძლება ინვესტის დაფას, მით უფრო იმ პირობებში, რომ საქმე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით დადგენილი წესით არ განხილულა. ამ თავის ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა მხოლოდ ანალოგიით. თავის მხრივ, ზიანის მიყენების ფაქტი არ შეიძლება მხოლოდ განაჩენით დამტკიცდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. განსახილველი დავის საგანს სამენარმეო იურიდიული პირის დირექტორისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მისი დირექტორობიდან გადაყენება და პარტნიორის გარიცხვა წარმოადგენს. თავის მხრივ, სარჩელი დამყარებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „დ. +ს“ ჰყავს ორი დამფუძნებელი პარტნიორი, რომელთა წილებიც შეადგენს სანესდებო კაპიტალის 50-50%-ს. მოპასუხე ამავედროულად საზოგადოების ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი – დირექტორია, რომელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, დაამზადა ყალბი საგადასახადო დოკუმენტები და საზოგადოების სახელით აწარმოა უსაქონლო ოპერაციები, საწარმოს სახელით გამოწერა ყალბი დოკუმენტები, რის შედეგადაც საწარმოს დიდი ზიანი მიაყენა. აღნიშნულის გამო, თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 9 დეკემბრის

აქტივით, გამოვლენილი დარღვევების გამო, შპს „დ.+ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 282 957 ლარის გადახდა. 2010 წლის 12 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურსა და შპს „დ.+ს“ შორის გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, საგადასახადო ვალდებულების ჯამური ოდენობა განისაზღვრა 222 000 ლარით და გადახდის ვადად დადგინდა 30 დღე. საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით, 2010 წლის 10 დეკემბერს, საზოგადოების დირექტორს (მოპასუხე) და სს „ვ. ჯ-ს“ შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება. კრედიტის თანხად გაიცა 125 000 აშშ დოლარი, ხოლო დასაბრუნებელი თანხა მთლიანად 188 584 აშშ დოლარით განისაზღვრა. დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელე საზოგადოებამ (პარტნიორმა) გაზარდა მოთხოვნა და დამატებით მიუთითა მოპასუხე ბ.ქ-ის, როგორც დირექტორისა და საზოგადოების პარტნიორის არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე, რის გამოც მას უნდა ჩამორთმეოდა, როგორც დაკავებული თანამდებობა, ისე სანარმოს პარტნიორობა.

1.2. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია რა მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ ფაქტობრივი დასაბუთებით, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უნდა დაედგინა: იყო თუ არა საგადასახადო შემონემების აქტივით სანარმოსათვის თანხის დარიცხვა ბ. ქ-ის მიმართ 2006 წლის 10 მაისის განაჩენით დანაშაულებრივად შერაცხული ქმედების შედეგი და რამდენი იყო ეს თანხა; მოიცავდა თუ არა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის განკარგულებით მითითებული საგადასახადო ვალდებულება – 356 844,76 ლარი ბ. ქ-ის ქმედებით მიყენებული ზიანის ოდენობას და რამდენს. ამის შესაბამისად, კოლეგიას ასევე უნდა დაედგინა სანარმოს მიერ სესხის დავალიანების წარმოშობასა და ბ. ქ-ის, როგორც ზიანის მიმყენებელი პირის, ბრალეულ ქმედებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა და მასში მოპასუხის პასუხისმგებლობის ფარგლები. რაც შეეხებოდა მოპასუხის პარტნიორობიდან გარიცხვისა და დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნას, სააპელაციო პალატამ პარტნიორის გარიცხვის საკითხის გადანყვეტა ზიანის მიყენების ფაქტზე დაყრდნობით გადასანყვეტ საკითხად მიიჩნია, ხოლო დირექტორობიდან გათავისუფლების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს დაევალა სარჩე-

ლის მიმართ იურიდიული ინტერესის დადგენა.

1.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და მიუთითებს, როგორც ფაქტების არასწორ შეფასებაზე (ფაქტობრივი პრეტენზია), ასევე მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევაზე (სამართლებრივი შედავება).

1.4. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებული საკასაციო საჩივრის (პრეტენზიის) შემთხვევაში, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადანყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

1.5. კასატორის პრეტენზიათა საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა, უპირველესად, ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი დავის გადაწყვეტის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებზე. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები წარმოადგენენ, რომლებითაც რეგულირებულია დირექტორის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელების წესი, ასევე, საზოგადოების პარტნიორის უფლება-მოვალეობები, ამასთანავე, მითითებული კანონი უნდა განიმარტოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ დავალების ხელშეკრულების, ასევე სანივთო უფლებების (საკუთრება) მარეგულირებელ ნორმებთან ერთობლიობაში.

1.6. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე ნორმის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით) 9.7. მუხლის თა-

ნახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტში დასახელებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, წარმოშობილი ზიანისთვის სოლიდარულად აგებენ პასუხს საზოგადოების წინაშე. ზემოხსენებულმა პირებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ არ დაურღვევათ თავისი მოვალეობა. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 709-ე-723-ე მუხლებზეც და განმარტავს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორსა და ამ იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა დავალების ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც დირექტორი საწარმოს სახელითა და ხარჯზე ახორციელებს მისთვის წესდებით/კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ზიანის თაობაზე საწარმოს მიერ აღძრული სარჩეულებიც სახელშეკრულებო მოთხოვნათა ფარგლებში უნდა შეინიშნოს და არა დელიქტური ვალდებულების.

1.7. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას მსგავსი კატეგორიის საქმეზე მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესის თაობაზე და აღნიშნავს, რომ დირექტორის არაჯეროვანი ქმედების შესახებ სარჩელისას მოსარჩელის (საწარმოს) მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს ზიანის და ამ ზიანსა და მოპასუხის ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს, რაც შეეხება მოპასუხეს, მისი მტკიცების საგანი ზიანის მიმართ საკუთარი კეთილსინდისიერებაა, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ მოქმედებდა გულისხმიერი მმართველის რწმენით. მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს მიზეზობრივი კავშირი მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

1.8. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ, მართალია, მოსარჩელემ მისი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების მიზნით წარადგინა, როგორც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, ისე სხვა დოკუმენტები, თუმცა საქმის მასალებით შესწავლით არ ირკვევა, რომ მას სარჩელის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით დადგენილი წესით (ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილ-

ვის გამარტივებული წესი) განხილვა მოეთხოვოს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვა, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, თუმცა გამარტივებული წარმოების თავისებურება ისაა, რომ საქმე დაჩქარებულად და სპეციალური საპროცესო წესებით განიხილება. ამ წესით განსახილველ საქმეთა კატეგორია კანონით ზუსტად არის განსაზღვრული და იგი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს, ანუ კანონით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, გამარტივებული წესით საქმის განხილვაზე მოთხოვნა მხარემ უნდა წარადგინოს და სასამართლო ვალდებულია, საქმე შესაბამისი საპროცესო წესებით აწარმოოს. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მხარის მოთხოვნა, საქმე სასარჩელო წარმოებით განიხილება და საერთო საპროცესო ვადები ვრცელდება. ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი გამარტივებული წესით განხილვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, რომელიც ზიანის მიყენებას ადასტურებს. ამ შემთხვევაში, სასამართლოს აღარ უწევს ზიანის მიყენების ფაქტის, ზიანის მიმყენებლის ბრალის, მის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გამოკვლევა, ყველა აღნიშნული გარემოება განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული აქტით დასტურდება. ვინაიდან სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლის დასადგენ გარემოებათა წრე მცირდება, შესაბამისად, მცირდება საქმის განხილვის ვადაც. მოცემულ ტიპის დავების გამარტივებული წესით განხილვა, პირველ რიგში, საქმის საპროცესო კოდექსით დადგენილი სპეციალური ვადების ფარგლებში განხილვას გულისხმობს.

1.9. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, ვინაიდან ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც გამარტივებული, ისე სრული სასარჩელო წარმოების გზით, საქმის განმხილველმა სასამართლომ საპროცესო დოკუმენტებში ზუსტად უნდა მიუთითოს წარმოების ფორმა, ამასთან, ყველა საპროცესო მოქმედება კანონით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადაში უნდა შესრულდეს.

1.9.1. განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული არც ერთ

თი განჩინება ან სხდომის ოქმი არ შეიცავს მითითებას საქმის გამარტივებული წესით განხილვის შესახებ. გარდა ამისა, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილული არ ყოფილა XXXIV³ თავით დადგენილ ვადებში, კერძოდ, სარჩელის განსახილველად მიღების შემდეგ, მოპასუხეს შესაგებლის წარდგენისათვის 7 დღეზე მეტი ვადა მიეცა (სსსკ-ის 309¹⁹ მუხლი), საქმე სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 1 თვის ვადაში არ განხილულა (სსსკ-ის 309²⁰ მუხლი) და მხარეებს არც გადაწყვეტილების გასაჩივრების 7-დღიანი ვადა განსაზღვრიათ (სსსკ-ის 309²¹ მუხლი), ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ საქმეზე წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის მასალები და მოსარჩელე მათზე, როგორც საკუთარი პოზიციის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე მიუთითებს, არ შეიძლება გაგებულ იქნეს დავის გამარტივებული წესით განხილვის მოთხოვნად, სწორედ ამ ფარგლებში, სააპელაციო პრეტენზიათა გათვალისწინებით შეეძლო, შეემონებინა ქვემდგომ სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საპროცესო წესების გამოყენების საკითხის კანონიერება.

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამდენად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე, როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება რაციონული მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო, ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკ-

ლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების რა აუცილებლობა არსებობდა, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც განსაზღვრულია, როგორც დავის საფუძველი, ისე მისი საგანი და წარმოდგენილია კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებითაც მხარეები ცდილობენ საკუთარი პოზიციების დადასტურებას. საკასაციო პალატის შეფასებით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავად გამოეკვლია მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების თაობაზე მხარეთა ახსნა-განმარტებები და ამ მიზნით წარდგენილი მტკიცებულებები, რამეთუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონიშნავს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, როგორც ზიანის, ისე მისი ოდენობის, ასევე, მიზეზობრივი კავშირის არსებობის ფარგლებში სასამართლოს შეეძლო შეემონებინა მოთხოვნის კანონიერება, ანალოგიურად შეიძლება გადაწყდეს პარტნიორობიდან პირის გარიცხვის საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიუთითა გარკვეულ ფაქტებზე და საქალაქო სასამართლომ მათი გამოკვლევა-შეფასების გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევა დასაშვებად მიიჩნია, მოპასუხემ გამოთქვა კონკრეტული პრეტენზია და მიუთითა ამ შეზღუდვის (ჩამორთმევის) უკანონობაზე. ამ პრეტენზიათა ფარგლებში, მსგავსად ზიანის საკითხისა, სააპელაციო პალატას გააჩნია სრული უფლებამოსილება, შეამოწმოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების კანონიერების თვალსაზრისით.

1.11. რაც შეეხება დირექტორის გადაყენებას, ამ თვალსაზრისით სადავო გარემოებას წარმოადგენდა აღიარებითი სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის დადგენა, რადგანაც პარტნიორის გადაწყვეტილება დირექტორის გადაყენების თაობაზე მარეგისტრირებელმა ორგანომ გაატარა რეგისტრაციაში. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული ინტერესის თაობაზე, თუმცა აქვე განმარტავს, რომ აღიარებით სარჩელის მიმართ პირის ნამდვილი ინტერესი სამართლის საკითხია და მისი ნამდვილობა შეიძ-

ლება ნებისმიერი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას გადანყდეს, მით უფრო სააპელაციო სასამართლოში. პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე კი, ამ გარემოების გამოკვლევის მიზნით საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნება ეწინააღმდეგება მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს.

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ვიდრე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

2. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადანყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. შპს „დ. +-ისა“ და მისი დირექტორის, ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინება და საქმე ხალახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დირექტორის ანაზღაურება

განჩინება

№ას-895-845-2015

29 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მიუღებელი შემოსავლისა და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „ტ-ო“ (შემდგენში: მოპასუხე, ტელეკომპანია, სანარმო ან კასატორი) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 18.08.1997 წელს, ამჟამად მის გენერალურ დირექტორია ვ. კ-ე, ხოლო დამფუძნებელი პარტნიორები არიან: დ. ზ-ი 22%, მ. კ-ი 10%, ლ. ს-ი 3%, ვ. კ-ე 65% (შემდგენში: სანარმოს მაჟორიტარი პარტნიორი; იხ. სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. ზ-ის (შემდგენში: მოსარჩელე ან სანარმოს 22% წილის მესაკუთრე პარტნიორი და დირექტორი) სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სანარმოს პარტნიორთა 2012 წლის 18 მაი-

სის კრების ოქმი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სუსგ №ას-440-416-2013წ, 10.06.2013).

3. 09.01.2013 წელს საწარმოს პარტნიორთა გადაწყვეტილებით, გაუქმდა ამავე საზოგადოების 2012 წლის 18 მაისს პარტნიორთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება და 2013 წლის 9 იანვრიდან მოსარჩელე ხელმეორედ გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან.

4. საწარმოს მაჟორიტარი პარტნიორის სარჩელი მოპასუხეების: 22% წილის მესაკუთრე პარტნიორისა და იმავდროულად დირექტორის და შპს „ს-“ისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. 22% წილის მესაკუთრე პარტნიორს, მოპასუხეების სასარგებლოდ, დაეკისრა 1 360 440 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლომ. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სუსგ № ას-429-405-2013, 15.07.2013).

5. 22.05.2012 წელს, საწარმოს 22%-იან პარტნიორსა და მის წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, 23.05.2012 წელს და 23.08.2013 წელს გაცემული სალაროს შემოსავლის ორდერებით დგინდება, რომ 22% წილის მესაკუთრე პარტნიორმა, ზემოთ მითითებულ დავებთან დაკავშირებით, წარმომადგენელს გადაუხადა 40 000 ლარი.

6. სს „თ-ისა“ და ტელეკომპანიის მიერ გაცემული ინფორმაციით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდება, რომ საწარმოს 22% წილის მესაკუთრე პარტნიორისა და იმავდროულად დირექტორის დარიცხული ხელფასი შეადგენდა 43 312 ლარს, ხოლო ყოველთვიურად ხელზე ასაღები თანხა – 4500 ლარს. ყოფილმა დირექტორმა 2013 წლის 26 დეკემბერს სარჩელი აღძრა ტელეკომპანიისა და მაჟორიტარი პარტნიორის (შემდეგში: მოპასუხეები) წინააღმდეგ, ხელფასის, მიუღებელი შემოსავლისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 709-ე მუხლი, 710-ე მუხლის პირველი ნაწილი, 408-ე, 411-ე მუხლები; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 53-ე მუხლის პირველი ნაწილი).

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ტელეკომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 2012 წლის 18 მაისიდან 2013 წლის 9 იანვრამდე, სამსახურიდან იძულებითი განაცდურისთვის, ხელფასის სახით დარიცხული 43 312 ლარი (იხ. წინამდებარე განჩინება).

ნების მე-6 პუნქტი), ხოლო ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯისა და მიუღებელი შემოსავლის მოპასუხეებისათვის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

8. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ნოემბრის დამატებითი გადაწყვეტილებით, ტელეკომპანიას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი 1299.40 ლარი (სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი).

9. საქალაქო სასამართლომ დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 115-ე, 408-ე, 411-ე და 992-ე მუხლებით; „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდეგში მენარმეთა კანონი); საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში სშკ) 32-ე მუხლით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 53-ე, 102-ე-103-ე და 261-ე მუხლებით.

10. სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: ვინაიდან, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი) დირექტორის უფლებამოსილების უკანონოდ შეწყვეტას ნიშნავდა, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ამ პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (მენარმეთა კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, სშკ-ის 32-ე მუხლი). სასამართლომ არ გაიზიარა ტელეკომპანიის პოზიცია, რომ რადგან მოპასუხე ახალ დირექტორს ხელფასს არ უხდოდა, მოსარჩელის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით, იგი დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ხელფასის საბანკო ანგარიშზე განთავსებისა და დივიდენდის მიღების ფაქტი.

11. სასამართლომ აღნიშნა, რომ პროცესის ხარჯების განაწილების თაობაზე დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება დაუშვებელი იყო (იხ. უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №ას-1706-1600-2012), ვინაიდან მოპასუხეებთან წარმოებული დავების დროს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხი არ იყო გადაწყვეტილი და ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ იყო გასაჩივრებული. ამასთან, მოსარჩელეს, სსსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად, არ მიუმართავს სასამართლოსთვის დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით.

12. მოდავე მხარეებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება. ტელეკომპანიამ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ასევე დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

13. ტელეკომპანიის სააპელაციო საჩივარი შემდეგ საფუძვლებს ემყარებოდა:

13.1. სასამართლოს დადგენილად უნდა მიეჩნია ის გარემოება, რომ ვინაიდან შრომითი ხელშეკრულება არ იყო წარმოდგენილი, არ დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა შრომის ანაზღაურება; ამასთან, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ 2012 წლის იანვარ-მაისის თვეში, ამავე თანამდებობაზე მუშაობისათვის, სხვა დირექტორი არ იღებდა ანაზღაურებას.

13.2. სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 408-ე მუხლი, შესაბამისად, ამ ნორმაზე მითითებით, არასწორად დაადგინა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება ზიანის სახით.

14. საწარმოს 22% წილის მესაკუთრე პარტნიორისა და იმავე დროულად დირექტორის სააპელაციო საჩივარი შემდეგ საფუძვლებს ემყარებოდა:

14.1. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში, რაც არასწორი იყო.

14.2. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ იგი პარალელურად დასაქმებული იყო და ჰქონდა დამატებითი შემოსავალი. ამ გარემოებაზე მსჯელობისას ყოფილმა დირექტორმა მიუთითა დამატებითი შემოსავლის გამოთვლის ცხრილზე და შპს „ს“-ის 2013 წლის 14 თებერვლის ცნობაზე.

15. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განჩინებით ტელეკომპანიისა და 22% წილის მესაკუთრე პარტნიორის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სასამართლოს 2014 წლის 19 ნოემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და იმავე წლის 20 ნოემბრის დამატებითი გადაწყვეტილება.

16. სასამართლომ არ გაიზიარა ტელეკომპანიის დასაბუთება, რომ ვინაიდან შრომითი ხელშეკრულება არ ყოფილა წარმოდგენილი, არ დასტურდებოდა, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს შრომის ანაზღაურება არ ჰქონდა, არც ის, რომ 2012 წლის იანვარ-მაისის თვეში, ამავე თანამდებობაზე მუშაობისას სხვა დირექტორი არ იღებდა ანაზღაურებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს გარე-

მოება უსაფუძვლო იყო, ვინაიდან საქმის მასალებით, კერძოდ, ბანკის 2014 წლის 22 იანვრის ცნობით უდავოდ დგინდებოდა, რომ მოსარჩელეს საბანკო ანგარიშზე ერიცხებოდა თანხები, მათ შორის, ზოგიერთი ასეთი თანხის დანიშნულებაში აღნიშნული იყო „ხელფასი“. ამდენად, დადასტურდა, რომ მოსარჩელე შრომითი მოვალეობის შესრულებისას, დირექტორის პოზიციაზე, გასამრჯელოს იღებდა და ცხადია, რომ გასამრჯელოს იგი მიიღებდა იმ პერიოდშიც, როცა გაათავისუფლეს, თუმცა, შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით აღდგენილი იქნა დირექტორის თანამდებობაზე (იხ. ამ განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტები).

17. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლომ მართებულად გამოიყენა სსკ-ის 408-ე მუხლი, როდესაც დაადგინა მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება ზიანის სახით. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებდა ამ ნაწილში ტელეკომპანიის სააპელაციო საჩივრის პრეტენზიას.

18. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი პარტნიორთა ის ოქმი, რომლითაც მოსარჩელე გაათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან, ამით დადგა იმ „მდგომარეობის აღდგენის“ აუცილებლობა, რომელიც „იარსებებდა“ ოქმის არარსებობის პირობებში, ანუ მოსარჩელის დირექტორობის პირობებში. ასეთი გარემოება კი დირექტორის მიერ ხელფასის მიღება იყო.

19. 22% წილის მესაკუთრე პარტნიორისა და იმავდროულად დირექტორის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, მიუღებელი შემოსავლის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა. ყოფილი დირექტორის არგუმენტაციით, საქალაქო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელე პარალელურად დასაქმებული იყო და დამატებითი შემოსავალი ჰქონდა. იგი, ამ გარემოებაზე მსჯელობისას, უთითებდა შპს „ს“-ის 2013 წლის 14 თებერვლის ცნობაზე. საგულისხმოა, რომ ამ ცნობაში არ იყო საუბარი იმაზე, რომ ამ საწარმოში დირექტორად მუშაობისას, მოსარჩელე იღებდა ანაზღაურებას. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ მის მიერ მითითებული გარემოება ვერ დაასაბუთა სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად.

20. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ სხვა შრომითი საქმიანობიდან ანაზღაურების მიღების ფაქტი, რის გამოც მისი მოსაზრება, რომ ტელეკომპანიის დირექტორობიდან მიღებულ გასამრჯელოს, მთლიანად განათავსებდა საბანკო ანგარიშზე და მიიღებდა შემოსავალს, მასზე დარიცხული პროცენტის სახით, საფუძველს

იყო მოკლებული.

21. რაც შეეხება საქალაქო სასამართლოს დამატებით გადან-
ყვეტილებას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-
ის 261-ე მუხლით დაშვებული იყო ასეთი შესაძლებლობა და,
საქალაქო სასამართლოს თავის 2014 წლის 19 ნოემბრის გადან-
ყვეტილებაში გამორჩენილი სახელმწიფო ბაჟის საკითხის გა-
დანყვეტა, სსსკ-ის 53-ე, 55-ე მუხლებისა და 261-ე მუხლის სა-
ფუძველზე გამოსწორდა დამატებითი გადანყვეტილებით, რის
გამოც მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.

22. სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილების სამარ-
თლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 408-ე და
411-ე მუხლებით; სსსკ-ის 102-ე მუხლით.

23. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით
გაასაჩივრა ტელეკომპანიამ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩი-
ნების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადანყვეტილების მი-
ლებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

24. ტელეკომპანიის საკასაციო საჩივარი დამყარებულია
შემდეგზე:

24.1. მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა იძუ-
ლებითი განაცდურის, 43 312 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება,
რის დასასაბუთებლადაც მან სასამართლოში საკმარისი მტკიცე-
ბულებები არ წარმოადგინა, რაც უტყუარად დაადასტურებდა იმ
გარემობას, რომ: ა) მოსარჩელე იღებდა შრომის ანაზღაურებას
ტელეკომპანიის დირექტორად მუშაობის დროს, უშუალოდ თა-
ნამდებობიდან გათავისუფლების მომენტამდე და ბ) მოსარჩელის,
როგორც დირექტორის, შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად შე-
ადგენდა 4500 ლარს (საშემოსავლო გადასახადის გარეშე).

24.2. სასამართლოში არ ყოფილა წარმოდგენილი შრომითი
ხელშეკრულება, დადებული მოპასუხე ორგანიზაციასთან ან/
და სანარმოს პარტნიორთა გადანყვეტილება დირექტორისათ-
ვის ხელფასის დანიშვნისა და მისი მოცულობის განსაზღვრის
თაობაზე, რომლითაც უტყუარად დაადასტურდებოდა, რომ შპს-
ს დირექტორი თავის სამსახურებრივ მოვალეობას შესაბამისი
შრომის ანაზღაურების სანაცვლოდ ასრულებდა. აღნიშნულის
მაგივრად, მოსარჩელემ წარმოადგინა საბანკო ამონაწერი, რო-
მელიც მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ 2010-2011
წლებში მოსარჩელეს ხელფასი ერიცხებოდა, თუმცა, არ დას-
ტურდებოდა ის გარემოება, რომ იგი 2012 წლის იანვარ-მაისის
თვეებშიც იღებდა შრომის ანაზღაურებას ან/და იღებდა სარ-
ჩელით მოთხოვნილი მოცულობით, რაც სასამართლოს არ უნდა
მიეჩნია საკმარის მტკიცებულებად, სასარჩელო მოთხოვნის და-

საკმაყოფილებლად.

24.3. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო პერიოდში ტელეკომპანიის დირექტორს (საწარმოს მაჟორიტარ პარტნიორს) არ ერიცხებოდა ხელფასი, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ ამ პერიოდში საწარმოს დირექტორად რომ ემუშავა მოსარჩელეს, შრომის ანაზღაურება არ ექნებოდა, შესაბამისად, ამგვარ პირობებში სააპელაციო სასამართლომ არასწორი დასკვნა გააკეთა სსკ-ის 411-ე მუხლთან მიმართებაში.

24.4. სასამართლომ არასწორად მიუთითა სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლებზე. სსკ-ის 408-ე მუხლი შეეხება იმგვარ შემთხვევას, როდესაც მიყენებული ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურება ხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით (ე.წ. ნატურით ანაზღაურება). განსახილველ შემთხვევაში კი, მხარე მოითხოვდა განაცდურის ანაზღაურებას და არა თანამდებობაზე აღდგენას. რაც შეეხება სსკ-ის 992-ე მუხლზე მსჯელობას, კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა ე.წ. გენერალური დელიქტის მომწესრიგებელი სამართლის ნორმის გამოყენების წინაპირობა. სასამართლოს სადავო საკითხის გადასაწყვეტად უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის 32-ე მუხლით, მაგრამ, რადგანაც მოსარჩელემ არ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები მისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დასაბამებლად, არც მოხმობილი ნორმის გამოყენების წინაპირობები არსებობდა.

25. საკასაციო სასამართლომ 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ტელეკომპანიის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 4 დეკემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლომ დასაშვებად ცნო საკასაციო საჩივარი მოხმობილი ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების, საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

26. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვე-

ტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

27. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საწარმოს დირექტორთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და, შესაბამისად, განსახილველ დავაზე მსჯელობისას, მენარმეთა კანონის ნორმებთან ერთად, გამოყენებული უნდა იქნეს არა შრომითი ურთიერთობების, არამედ დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები (სსკ-ის 709-ე და 710-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოს 22% წილის მესაკუთრე, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, იმავდროულად ასრულებდა მისთვის დავალებულ (მინდობილ) ქმედებებს, რისთვისაც მას ჰქონდა გასამრჯელო. დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქალღმერთთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება და ა.შ., ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს. მენარმეთა კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მენარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საწარმოს 22% წილის მესაკუთრეს, დირექტორის უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა ზემოხსენებული ორივე ნორმატიული აქტის შესაბამისი ნორმების საფუძველზე, რისთვისაც იგი ლეგალობდა გასამრჯელოს. დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (სსკ-ის 710-ე მუხლის პირვე-

ლი ნაწილი). განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ კვალიფიკაციაზე, თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ამ დავაში მხარეთა ურთიერთობისადმი შესატყვისი სამართლებრივი ნორმების მისადაგება არ ცვლის გასაჩივრებული განჩინების შედეგს. სსსკ-ის 410-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ამდენად, არ არსებობს განსახილველი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

28. წინამდებარე განჩინების 25.1 და 25.2 ქვეპუნქტებში მითითებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, კასატორმა ვერ შეძლო მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებებისა და მტკიცებულებების სარწმუნო და დამაჯერებელი არგუმენტებით უარყოფა. წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტში დასახელებულ გარემოებებზე მითითებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ტელეკომპანიის მტკიცებაზე, რომ სანარმოს დირექტორს ტელეკომპანიაში მუშაობისას არ ჰქონდა გასამრჯელო, რაც მარტოდენ ზეპირად გაცხადებული პოზიციის გარდა, არ არის დასაბუთებული კონკრეტული მტკიცებულებით. ამ პრეტენზიის გასაბათილებლად, მოწინააღმდეგე მხარეს წარმოდგენილი აქვს საბანკო ამონაწერი, რომლის მიხედვით, ამ უკანასკნელს, საბარათე ანგარიშზე, კასატორი ტელეკომპანიის ანგარიშიდან ერიცხებოდა ხელფასი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მას ვერ ჩამოუყალიბდა შინაგანი რწმენაც კი (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რომ ტელეკომპანიაში დასაქმებული დირექტორი გასამრჯელოს გარეშე მუშაობდა, რადგან, ამ დავის წარმოშობამდე, კასატორ ტელეკომპანიასა და მოწინააღმდეგეს – ყოფილ დირექტორს შორის არსებული პარტნიორული, მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობა, არ უქმნის სასამართლოს იმგვარი ვარაუდის დაშვების საფუძველსაც კი, რომ დირექტორი ანაზღაურების გარეშე საქმიანობდა სანარმოში (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 103-ე და 105-ე მუხლები).

29. სასამართლო, ასევე, არ იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სადავო პერიოდში, როდესაც მოწინააღმდეგე გათავისუფლებული იყო დირექტორის თანამდებობიდან, ამავე პო-

ზიციაზე სხვა დირექტორს არ ჰქონდა გასამრჯელო (იხ. ამ განჩინების 25.3 ქვეპუნქტი) და აღნიშნავს, რომ სადავო პერიოდში სხვა პირის მიერ დირექტორის თანამდებობაზე ხელფასის მიუღებლობა, არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მონინალმდევე უკანონოდ რომ არ გაეთავისუფლებინა საწარმოს, გასამრჯელოს გარეშე იმუშავებდა. ამდენად, კასატორის აღნიშნული შედავება უსაფუძვლოა და უარყოფილია.

30. სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს ამ განჩინების 25.4. ქვეპუნქტში მითითებულ საკასაციო პრეტენზიას და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას (იხ. ამ განჩინების მე-18 მუხლი), ამასთან აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა მხოლოდ გასამრჯელოს მიღების ნაწილში, „განაცდურის ანაზღაურება, სსკ-ის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში, ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლობიერ ქმედებას სდევს თან (იხ. სუსგ №ას-371-352-2015, 28.07.2015წ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი საწარმოს არამართლობიერი ქმედება, რაც გამოიხატა მონინალმდევის უკანონო გათავისუფლებით, დადგენილი, უდავო ფაქტია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სსკ-ის 106-ე მუხლით; იხ. ამ განჩინების მე-2 და მე-3 პუნქტები), შესაბამისად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, არ საჭიროებს დამტკიცებას, „საპროცესო სამართალში ისინი პრეიუდიციულ ფაქტებად მოიხსენება, რომელთა მნიშვნელობას განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ. პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას, ანუ სავალდებულო ძალის მქონედ მიიჩნევა არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უკლებლივ ყველა გარემოება, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ემყარება. ამდენად, ფაქტების პრეიუდიციულობის შემონმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მართომ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გა-

დანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადანყვეტილება)“ – იხ. სუსგ. №ას 827-791-2014, 13.11.2015წ.

31. განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის გადანყვეტილებით (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი), საწარმოს წინააღმდეგ, მისივე 22% წილის მესაკუთრე პარტნიორისა და იმავდროულად დირექტორის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ტელეკომპანიის 2012 წლის 18 მაისის კრების ოქმი, რომლითაც დირექტორის პოზიციიდან გათავისუფლდა 22%-ის მესაკუთრე პარტნიორი. აღნიშნული გადანყვეტილება საწარმოს წინააღმდეგ უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებითაც, საწარმოს საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის გამო. ბათილად ცნობილი გადანყვეტილების არარსებობის პირობებში, დირექტორი საკუთარ პოზიციაზე იმუშავებდა და მიიღებდა კუთვნილ გასამრჯელოს, ამ გარემოებას ადასტურებს კასატორი საწარმოს პარტნიორთა 2013 წლის 9 იანვრის გადანყვეტილებაც, რომელთაც გააუქმეს საკუთარი 18.05.2012 გადანყვეტილება და მოწინააღმდეგე ხელმოკრედ გაათავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან. პრეზუმირებულია, რომ საწარმოდან არამართლობიერად გათავისუფლების არარსებობის შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, 2013 წლის 9 იანვრამდე (მეორედ გათავისუფლებამდე) იმუშავებდა დირექტორი, ამ უკანასკნელის სასარჩელო მოთხოვნა სწორედ იძულებით განაცდური პერიოდისათვის – 2012 წლის 18 მაისიდან 2013 წლის 9 იანვრამდე – გასამრჯელოს მიღებას ეხებოდა, ამდენად, საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული, გადანყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შინაარსი პირდაპირაა დაკავშირებული განსახილველ დავასთან, შესაბამისად, ერთ სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ფაქტების პრეიუდიციულობის შემომწმებისას, სასამართლომ არა მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური წინამძღვრებით იხელმძღვანელა, არამედ შეაფასა დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი კავშირი საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემომწმების დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია, არ არის გამყარებული იმგვარი სამართლებრივი არგუმენტებით, რომელიც გასაჩივრებული განჩინების

შეცვლის საჭიროებას დაასაბუთებდა, მით უფრო, რომ საკასაციო განაცხადი, რომელიც სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი, არსებითი განხილვის ეტაპზე, კიდევ ერთხელ შემოწმდა კასატორის პრეტენზიების საფუძვლიანობის თვალსაზრისით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ტ-ოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ივლისის განჩინება;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სანარმოს დირექტორის გათავისუფლება

განჩინება

№ას-23-23-2016

9 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ბ. ალავეიძე,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ დამფუძნებელი პარტნიორის ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაო ადგილზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება, სამენარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა:

1. ლ. ჯ-ქემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სა-

მინისტროს მიმართ და მოითხოვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 26 აგვისტოს №ს-504 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელის აღდგენა შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის თანამდებობაზე, სამენარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მოპასუხისათვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების დაკისრება 2014 წლის 26 აგვისტოდან სამუშაოზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 500 ლარის ოდენობით.

II. მოპასუხის პოზიცია

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მიოთება

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილებით გაუქმდა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 26 აგვისტოს №ს-504 ბრძანების მე-2 პუნქტი და მე-6 პუნქტის ის ნაწილი, რომლითაც შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორ ლ. ჯ-ძის მიერ 2013 სამეურნეო წელს განეული საქმიანობა ჩაითვალა არადაამკმაყოფილებლად და მისგან გამომდინარე იგი გათავისუფლდა სამუშაოდან. მოსარჩელეს უარი ეთქვა შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის თანამდებობაზე აღდგენასა და განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურებაზე.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

4. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ორივე მხარემ. ლ. ჯ-ძის სააპელაციო მოთხოვნას წამოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, გადაწყვეტილების გაუქმება და შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა, სამენარმეო რეესტრში შესაბამისი ცვლილებების დარეგისტრირება. აგრეთვე, მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის სახით, 2014 წლის 26 აგვისტოდან, სამუშაოზე აღდგენამდე, ყოველთვიურად 500 ლარის გადახდის დაკისრება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო მოთხოვნას კი – სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აჭარის ა/რ ფი-

ნანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. ნაწილობრივ გაუქმდა გასაჩივრებული გადან-
ყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სხვა ნაწილში, გა-
საჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობ-
რივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ბ. ნ. ქარხანა“ წარმო-
ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილის
მფლობელ საზოგადოებას, რომლის პარტნიორის უფლებამო-
სილებებს ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

7. 2012 წლის 19 დეკემბრის №521 ბრძანებით მოსარჩელე
დაინიშნა შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის თანამდებობაზე და
იმავე წლის 20 დეკემბერს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომი-
კის სამინისტროს, როგორც პარტნიორსა და ლ-ჯ-ძეს, როგორც
შპს „... ქარხნის“ დირექტორს, შორის გაფორმდა სასამსახურო
ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით. ამ ხელშეკრულებით
პარტნიორი იღებდა ვალდებულებას უზრუნველყო დირექტო-
რი სათანადო სამუშაო პირობებით, ხოლო დირექტორი – ვალ-
დებულებას გაძლოლოდა საწარმოს კეთილსინდისიერად. დი-
რექტორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა ყოველთვიურად
500 ლარით.

ხელშეკრულების მე-7 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ
პარტნიორი უფლებამოსილი იქნებოდა წინასწარი გაფრთხილე-
ბის გარეშე შეენწყვიტა ხელშეკრულება და გაეთავისუფლებინა
დირექტორი თანამდებობიდან.

8. 2014 წლის 26 აგვისტოს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონო-
მიკის მინისტრის მიერ მიღებულ იქნა ბრძანება №ს-504 შპს „ბ.
ნ. ქარხნის“ 2013 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების, წეს-
დების ახალი რედაქციით დამტკიცებისა და დირექტორის ცვლი-
ლების შესახებ.

აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო შპს „ბ. ნ. ქარხნა-
ში“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, აუდიტის დეპარტამენ-
ტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის მიერ ჩატა-
რებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული ანგარიში
(2010 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდ-
ზე). ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და
ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მი-
ერ ჩატარებული შპს „ბ. ნ. ქარხნის“ 2013 წლის 01 იანვრიდან –
2014 წლის 01 იანვრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისო-
ბის აუდიტის ანგარიში და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროსა და ლ. ჯ-ძეს შორის, 2012 წლის 20 დეკემბერს

გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულება. ასევე, მოქალაქე ნ. თ-ის განცხადება.

აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორ ლ. ჯ-ის მიერ 2013 სამეურნეო წელს გაწეული საქმიანობა ჩაითვალა არადაამაკმაყოფილებლად საფინანსო და საანგარიშო დისციპლინის დაცვისა და სამეურნეო საქმიანობაში არსებული შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებისათვის, რაც გამოიხატა:

1) 2013 წლის წლიური შედეგების დაგვიანებით წარდგენაში;
2) შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე ქონებისა და მოგების გადასახადის დეკლარაციების რემოდენიმიჯერ დაკორექტირებაში; საგადასახადო ვალდებულებების არასათანადოდ აღრიცხვაში;

3) არაეფექტური, არამიზნობრივი და უკანონო ხარჯების გაწევაში; წინასწარ შემუშავებული დებულების გარეშე პრემიის გაცემაში;

4) შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის გარეშე იჯარით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისათვის სანვავის ხარჯვაში;

5) 2013-2014 წლების ბიზნეს-გეგმის წარუდგენლობაში;

6) საშტატო დისციპლინის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ზომების მიუღებლობაში;

7) დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიუღებლობაში;

8) ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოების სახელზე რეგისტრაციისათვის ქმედითი ზომების მიუღებლობაში;

9) შემოსავლების ზრდისა და ხარჯების შემცირების მიზნით გაცემული წერილობითი ნებართვის ფარგლებში, ბალანსზე რიცხული ქონების იჯარით გაცემაზე შესაბამისი არუმენტაციის გარეშე ზომების მიუღებლობაში;

10) სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის ძირითად ნაწილზე შესაბამისი დოკუმენტაციის შეუდგენლობაში;

11) დამფუძნებელ პარტნიორთან შეუთანხმებლად ქონების მართვის წესების უგულვებელყოფით ნავთობ-პროდუქტების მიღება-გაცემისათვის საჭირო მოწყობილობა-ნაგებობების განთავსებაში (ე.წ. წერო);

12) დამფუძნებელი პარტნიორის უფლებამოსილებების განმახორციელებელ ორგანოსთან არაკოორდინირებულ, არაკომუნიკაბელურ და არასინქრონულ მუშაობაში.

9. ბრძანების მე-6 პუნქტით, 2013 წლის სამეურნეო საქმია-

ნობის შედეგებიდან გამომდინარე და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ლ. ჯ-ძეს შორის 2012 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად, შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორი ლ. ჯ-ძე გათავისუფლებულა დაკავებული თანამდებობიდან.

10. შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის თანადებობაზე ამავე ბრძანების მე-7 პუნქტით დაინიშნა ნ. თ-ე.

11. ამავე ბრძანებით, პარტნიორის მიერ აღიარებული იქნა, რომ საზოგადოებამ სამეურნეო წელი დაასრულა ფინანსური მოგებით, მაშინ როცა წინა წლები სრულდებოდა ყოველთვის ზარალით. ასევე, საზოგადოების პარტნიორის მიერ დამტკიც- და საზოგადოების წესდება ახალი რედაქციით, რომელიც სა-ზოგადოებაში არსებობდა ჯერ კიდევ 2005 წლის რედაქციით.

12. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-14 დავალებისა და შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის 2014 წლის 23 იანვრის №14 წერილის საფუძველ-ზე, შპს „ბ. ნ. ქარხანაში“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მი-ერ ჩატარდა 2013 წლის 01 იანვრიდან – 2014 წლის 01 იანვრამ-დე პერიოდის აუდიტორული შემოწმება, რაზედაც შედგა აუ-დიტის ანგარიში, რომლის მიხედვით:

13. დამფუძნებლის მხრიდან არაერთი მოთხოვნის მიუხედა-ვად, ქარხანას არ გააჩნდა 2013 წლის მოსალოდნელი შემოსავ-ლებისა და გასანევი ხარჯების საგეგმო საპროგნოზო მაჩვენებ-ლები – ბიზნეს-გეგმა და ქარხნის ძირითადი საქმიანობის ანა-ლიზი განხილული იყო მხოლოდ ფაქტიური მონაცემებით.

14. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის პირველ ნახევარში, ქარხანას არ ჰქონდა შემოსავლები და იგი დაკავებული იყო, მხო-ლოდ მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებით, სრულიად გაუმართლებელს წარმოადგენდა 2013 წლის იანვარ-თებერ-ვლის თვეებში დირექტორის მიერ სამტატო განრიგის მიხედ-ვით 33 სამტატო ერთეულის დამტკიცება 12600 ლარის ხელფა-სის ფონდით თვეში, მით უმეტეს რეალიზაციიდან ფულადი შე-მოსავლების მთავარი ობიექტი შპს „ს-ჯ-პ-ი“ არ საჭიროებდა თანმდევ მომსახურებას.

15. 2013 წლის აგვისტოს თვეში დამტკიცდა ახალი სამტატო განრიგი 34 კაცზე 26 სამტატო ერთეული 10255 ლარის ხელფა-სის ფონდით თვეში.

16. 2013 წლის 1 ივლისიდან მომსახურების ხელშეკრულების სახით წლის ბოლომდე აყვანილია სახელმწიფო შესყიდვების მე-ნეჯერი თვეში 625 ლარის ანაზღაურებით, მაშინ როცა დირექ-ტორის ხელფასი 500 ლარია.

17. საშტატო განრიგით დამტკიცდა შესყიდვების სპეციალისტის ნახევარი განაკვეთი, ანალოგიური სახის ხელშეკრულებებით 2013 წლის 1 დეკემბრიდან ერთი თვით აყვანილია ნავთობპროდუქტების, ჩამომსხმელი საამქროს უფროსი და ამავე საამქროს უბნის უფროსი, შესაბამისად 470 და 440 ლარის ანაზღაურებით. თუ მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა სხვადასხვა სპეციალისტი, იგი უნდა დამტკიცდეს საშტატო განრიგით. ამასთან, საშტატო განრიგით დამტკიცდა ისეთი საშტატო ერთეულები, რომლებიც სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე ვერ იტვირთებოდა სრულყოფილად ან იმ პერიოდისათვის საჭიროც არ იყო (არქივარიუსი, ლაბორანტი).

სწორედ აღნიშნული გარემოებები გახდა მიზეზი იმისა, რომ 2013 წელში გაწეული დანახარჯების ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდიოდა შრომის ანაზღაურებაზე – 151,782 ლარი.

18. თანამშრომელთა და მომუშავეთა დასაქმების სწორი მენეჯმენტითა და ეფექტური გამოყენების გზით შესაძლებელი იყო დანახარჯების ხელფასის მუხლში 45259 ლარის ეკონომიის განხორციელება, რაც არაეფექტურ და არამიზნობრივ ხარჯებს წარმოადგენდა.

19. დირექტორის 2013 წლის 26 დეკემბრის 80 ბრძანებით, წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით, საახალწლოდ ძირითად და მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებზე დარიცხული იყო პრემია, სულ – 10895 ლარი, 6 თვეზე მეტი ხნით მომუშავეებზე ხელფასის 100% და ნაკლები ხნით მომუშავეებზე კი 50%. მათ შორის, 500 ლარი დარიცხული იყო აგრეთვე დირექტორ ლ. ჯ-ძეზე, ისე, რომ პარტნიორთან შეთანხმებული არ იყო, რასაც მოითხოვდა სწორედ დებულება.

20. რესპუბლიკის საკუთრებიდან ქარხნის ქონების ავტონომიურ საკუთრებაში გადმოცემის დღიდან, პარტნიორის შესაბამისი ბრძანებითა და აუდიტორული დასკვნებით, 2012-2013 წლებში სანესდებო კაპიტალი შევსებული იყო (გადმოცემული) 1279770 ლარის ქონებით. ხოლო, ამავე პერიოდში გასული იყო (გამოტანილი) 1355384 ლარის ქონების ღირებულება და 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სანესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენდა 12846769 ლარს. აღსანიშნავი იყო, რომ ქონების არც მიღებისა და არც გადაცემის დოკუმენტაციას არ ახლავდა მიღება-ჩაბარების აქტები.

21. რიგ შემთხვევებში, იკვეთებოდა პარტნიორსა და საზოგადოების ხელმძღვანელს შორის შეუთანხმებლობის ფაქტები, კერძოდ, სამინისტრომ 2013 წლის 5 ივნისის ს-143 ბრძანებით

სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, თანხმობა მისცა ქარხნის ხელმძღვანელობას, რათა განეხორციელებინა ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემა საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარის, შპს „ს. ჯ. პ-ის“ წინადადები, კერძოდ 3 რეზერვუარის იჯარით წლიურად 200000 ლარის ღირებულებით სარგებლობაში გადაცემის მოთხოვნის საფუძველზე სამინისტრომ წერილით მიმართა ქარხნის დირექტორს ზემოაღნიშნული საკითხის დაინტერესების გამოსატყვის თაობაზე შემდგომი რეაგირების მიზნით აუქციონის გამოცხადებისათვის, რომლის საპასუხოდ 5 დამკვეთ სუბიექტებთან 2013 წლის ოქტომბერ-დეკემბრის თვეებში გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების შენარჩუნების მიზნით, დირექტორმა წარმოადგინა საკუთარი განსხვავებული მოსაზრებები და აუქციონის გამოცხადების სანაცვლოდ, მოითხოვა სამინისტროს შუამდგომლობა სსიპ „ქონების მართვის სააგენტოსა“ და სს „საქართველოს რ-ის“ წინაშე, სახელმწიფო საკუთრებასა ან სარგებლობაში გადმოცემის თაობაზე. აღნიშნული ქმედებით არ უზრუნველყო აუქციონის გამოცხადება.

22. 2013 წლის აგვისტოს თვეში, შპს „ჯ. ე-ზე“ ჩარიცხული იყო 1590,55 ლარი, რომელიც წარმოადგენდა პოლონეთის რესპუბლიკაში საანალიზოდ გაგზავნილი 38 კილოგრამი ბიტუმოვანი ნარევის ტრანსპორტირება-ექსპორტის თანხას და პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრებისათვის წარმომადგენლობითი ხარჯების სახით, 2013 წლის ოქტომბრის თვეში, შპს „ბ-ე“ ჩარიცხული რესტორნის ხარჯები – 419,50 ლარი. იმასთან დაკავშირებით, რომ ქარხნის ბალანსზე არ ირიცხებოდა 31 ჰექტარი ბიტუმოვანი ნარევებით გაჟღენთილი მიწის ფართობები, ზემოთაღნიშნული მიზეზებით ჩარიცხული თანხები 2010,05 ლარი უნდა მიჩნეულიყო უკანონოდ განეულ ხარჯად.

23. სანარმოში, ექსპლოატაციაში გადაცემული მასალების ჩამონერა ხორციელდება არასრულყოფილი პირველადი დოკუმენტაციებით ან უკვე გახარჯული მასალები შესაბამისი დოკუმენტების არ არსებობის გამო ისევ ირიცხებოდა მასალების ანგარიშზე. პირველყოვლისა, შესასრულებელ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე 1-2 შემთხვევის გარდა, არ იყო შედგენილი პროექტები და ხარჯთაღრიცხვები ცალკეულ ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების მიხედვით. ხოლო მცირე ღირებულების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე კი, დეფექტური აქტები; ასევე, არასრულყოფილადაა შედგენილი ობიექტების მიხედვით შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების აქ-

ტები, მათ აქვთ მასალების ჩამონერის აქტის სახე. სწორედ ამ ფაქტორების მიზეზითაა დარჩენილი მაღალი ძაბვის ელექტრო სადენების 61343 ღირებულება ისევე მასალების ექსპლოატაციის ანგარიშზე, ნაცვლად, უკვე აშენებული მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზის, როგორც ძირითადი საშუალების შემოსავალში აღებისა.

24. ქარხანაში წლის ბოლოსათვის დიდი ოდენობის დებიტორული დავალიანების 95-98% მოდის 1994-2010წწ.-ში წარმოშობილ დავალიანებებზე, რომლებიც ძირითადად ხანდაზმულობისა და სხვა ფაქტორების გამო უიმედოა, რადგანაც დავალიანების მქონე რიგი ორგანიზაციები და პირები დღეისათვის შეიძლება აღარ არსებობდნენ.

25. 2013 წელი საზოგადოებამ დაასრულა ფინანსური მოგებით, მაშინ როცა 2012 წელი საზოგადოებამ დაასრულა 152281 ლარის ზარალით. წლის დასაწყისთან შედარებით 191367 ლარის კრედიტორული დავალიანების შემცირება გამოწვეულია წინა პერიოდების ძველი ბიუჯეტის საგადასახადო ვალდებულებების 165000 ლარის დაფარვით, რომელიც განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 27 ნოემბრის №1781 განკარგულებით სსიპ შემოსავლების სამსახურსა და ქარხანას შორის 2013 წლის 6 დეკემბერს გაფორმებული 615-2ს საგადასახადო შეთანხმების აქტის საფუძველზე.

26. წესდების 5.2. მუხლის თანახმად, შპს „ბ. ნ. ქარხნის“ პარტნიორს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა საწარმოს სამეურნეო საქმიანობასა და მართვაში; მოითხოვოს საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, გააკეთოს დოკუმენტის პირები, თავისივე დადგენილი წესით და ფორმით მოითხოვოს ინფორმაცია დირექტორისაგან; მიიღოს მონაწილეობა საწარმოს მოგების ან სხვა საკუთრების განაწილებაში.

ამავე წესდების მე-6 და მე-7 მუხლის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოებია პარტნიორთა კრება და გენერალური დირექტორი. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად, ასევე დამატებით საწარმოს განვითარების ბიზნესგეგმის დამტკიცება, საწარმოს ქონების შექმნა, გასხვისება, განკარგვა (ჩვეულებრივი საქმიანობის გარდა); გენერალური დირექტორის ანგარიშების დამტკიცება; შრომის ანაზღაურება და მისთვის ხარჯების განსაზღვრა; გენერალური დირექტორის წინადადებების მიღება ან უარყოფა, მოგების გამოყენების შე-

სახებ შეუთანხმებლობის შემთხვევაში წმინდა მოგების გამოცენების შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 47.7 მუხლის საფუძველზე პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად ითვლება სსიპ „სანარმოთა მართვის სააგენტოს“ ბრძანება.

ამავე წესდების მე-10 და მე-11 მუხლების თანახმად, გენერალური დირექტორი ადგენს წლიური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიშს. ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას და წარუდგენს პარტნიორთა კრებას დასამტკიცებლად. სულ ცოტა, სამ თვეში ერთხელ გენერალური დირექტორი აკეთებს ანგარიშს პარტნიორთა კრების წინაშე, მათ შორის, სანარმოს ბიზნეს-გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

27. დადგენილია, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისადმი 2013 წლის 15 თებერვლის №19 წერილით შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორმა მოითხოვა ქარხნის საწესდებო კაპიტალში უძრავი და მოძრავი ქონების შეტანა, ასევე არ იქნა გამოყენებული დისკრიმინაციული პოლიტიკა რეგიონში არსებული მომხმარებლის მიმართ.

28. 2013 წლის 11 ივლისის №70 წერილით შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორმა მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, სადაც აღნიშნა, რომ შპს „ბ. ნ. ქარხანაში“ დირექტორად დანიშვნის დღიდან ქარხანაში ჩაატარა რიგი სამუშაოები, მოახდინა იმ რეზერვუარების განმენდა-აღდგენა, რომელიც სამინისტროს 2012 წლის 5 სექტემბრის №240 ბრძანებით აუქციონზე ჰქონდა გატანილი ქარხნისთვის პრაქტიკულად კაბალური პირობებით, კერძოდ, სარგებლობის 25-წლიანი ვადით, წლიური 22700 ლარის ღირებულებით, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ამ დროისათვის ქარხანას ჰყავდა პოტენციური მომხმარებელი, რომელიც გამოთქვამდა მზადყოფნას დარჩენილი რეზერვუარებით სარგებლობისათვის წლიურად გადაეხადა 220000 ლარი. სამწუხაროდ, აღნიშნულზე მინისტრთან შეთანხმებას ვერ მიაღწია.

ქარხანას გაუჩნდა რა შემოსავალი, მისი სახელფასო ფონდის 6000 ლარით განსაზღვრა არაგონივრულად იქნა მიჩნეული, რადგან რკინიგზის ხაზს ყოველთვიურად დამატებით 35000 ლარამდე შემოსავლის მოტანა შეეძლო, რაზედაც მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობდა. გარდა ამისა, არსებობდა ქარხნის შემოსავლების მნიშვნელოვანი გაზრდის პერსპექტივა ნავთობპროდუქტებით გააყენილი ქარხნის ყოფილი კუთვნილი ტე-

რიტორიის გასუფთავება გადამუშავებით. აღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო სანესდებო კაპიტალიდან ამოღებული მიწის ნაკვეთები და გამოცხადებულიყო აუქციონი ნავთობპროდუქტების ნარჩენების გასუფთავებასა და გადამუშავებაზე, რაც სავარაუდოდ სოლიდურ შემოსავალს მოუტანდა ქარხანას.

ქარხნის დირექტორის ინტერესს წარმოადგენდა ქარხნის პოტენციალის გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთა შრომის ღირსეული ანაზღაურება, არსებული საბიუჯეტო დავალიანების გასტუმრება, რომელზედაც შეთანხმება უკვე მიღწეულია, ამიტომ ამ დროისათვის ითხოვს:

- 1) სახელფასო ფონდი განისაზღვროს 30000 ლარით;
- 2) სანესდებო კაპიტალში დააბრუნონ 31 ჰა მიწის ნაკვეთი და 2012 წლის ბოლოს კაპიტალიდან გატანილი 3 ერთეული ანგარი;
- 3) დაბრუნდეს ქარხნის ბალანსზე რიცხული ორი სარკინიგზო ვაგონი;
- 4) ნება დაერთოს დირექტორს გამოაცხადოს ტენდერი ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ნავთობპროდუქტების ნარჩენების მალაღი ტექნოლოგიებით განმენდისა და გადამუშავების ერთობლივ საქმიანობაზე.

29. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 16 აგვისტოს წერილით №70 და №76 წერილების პასუხად შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორ ლ. ჯ-ძეს ეცნობა, რომ წერილში მითითებული საკითხების დიდი ნაწილი განხორციელდა უშუალოდ სამინისტროს ხელშეწყობით.

შპს „ბ. ნ. ქარხნის“ სტრუქტურა, საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდის/განაკვეთების საკითხი განხილული უნდა იქნეს სანარმოს ფინანსური საშუალებების ფარგლებში, ვალდებულებების გათვალისწინებით, ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მიზნობრივი პროექტების შესაბამისი დასაბუთებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი საშტატო განრიგი საჭიროებს დამატებით დასაბუთებულობას დასახული ბიზნეს-გეგმის და ეკონომიკური საქმიანობის წარმართვიდან გამომდინარე შემოსული თანხების რაციონალურად, მომჭირნეობის და მიზნობრივი ხარჯვის პრინციპით.

სანესდებო კაპიტალში აქტივების შეტანა განხორციელდება კონკრეტული საჭიროების დადგომის შემთხვევაში, იგივე წესით, როგორც განხორციელდა რეზერვუარების და მასთან დაკავშირებული აქტივების და სარკინიგზო ხაზის სანესდებო კაპიტალში დაბრუნება ამ აქტივების განკარგვაზე დაგეგმილი სხვა

პროექტების გათვალისწინებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, საწარმოს უზრუნველყოფის დამატებითი ხარჯები (ცვეთის და ქონების გადასახადის სახით). საზოგადოების ბალანსზე არსებული ორი ვაგონის დაბრუნების ხელშეწყობასთან დაკავშირებით სამინისტრო ჩართულია მოლაპარაკებებში, რაზედაც წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, მომზადებულია საექსპერტო დასკვნა.

ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე არსებული ნავთობპროდუქტების ნარჩენების განმედიტი ჩატარება საჭიროებს მნიშვნელოვან წინასწარ მოკვლევას, თუ ვის საკუთრებაშია აღნიშნული ნარჩენები, როგორი წესით მოხდება განმედიტი სამუშაოების ჩატარება, რა საგადასახდო ვალდებულებები და ეკოლოგიური პრობლემები წარმოიშობა და როგორი იქნება ეკონომიკური ეფექტი, რაზედაც ქარხნის მიერ მიმდინარეობდა წინასაპროექტო სამუშაოები და ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

30. საზოგადოებას მიმდინარე და დაგროვილი საბიუჯეტო დავალიანების ყოველთვიურ გადახდაზე შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (სამწლიანი გრაფიკის თანდართვით 314 185 ლარზე, ყოველთვიურად 10000 ლარამდე ფარგლებში). მისი დათქმულ ვადებში გადახდა აუცილებელი პირობაა იმისათვის რომ შენარჩუნებული იქნას საზოგადოების საბანკო ანგარიში.

31. 2013 წლის 01 სექტემბრის №89 წერილით შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორმა მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, სადაც აღნიშნა, რომ კერძო კომპანიებიდან ქარხანაში შესულია რამდენიმე კერძო კომპანიის მოთხოვნა ნავთობპროდუქტების შენახვა-გაცემის ტექნიკური ოპერაციების საწარმოებლად ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე რეზერვუარების ჩადგმის და სხვა საჭირო მონაცვობილობების მონტაჟზე, ტრანზიტული ტვირთების გადაზიდვისა და ბათუმისა და ფოთის პორტებში საექსპედიტორო მომსახურების საქმიანობის განსახორციელებლად. აღნიშნული შეთავაზებების გაზიარების შემთხვევაში, ქარხანას გაუზრუნველდება დამატებითი ფინანსური შემოსავალი, გაფართოვდება და დასაქმდება გაცილებით მეტი ადამიანი. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, ქარხნის სანესდებო კაპიტალში დაბრუნებული უნდა იქნეს სამინისტროს 2012 წლის 14 დეკემბრის №305-ე ბრძანებით გატანილი თაღური ანგარებისა და მინის ნაკვეთები.

32. 2013 წლის 01 სექტემბრის №90 წერილით შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორმა მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, სადაც აღნიშნა, რომ შპს „ბ. ნ. ქარხანას“ გააჩნია რკინიგზის ესტაკატის ჩიხი, რომელიც საჭიროებს საფუძვლიან

რემონტს, რათა განხორციელდეს ვაგონ-ცისტერნების უსაფრთხო მიწოდება-გაყვანა. აღნიშნული კი, აუცილებელია ტვირთბრუნვის გაზრდისა და დამატებითი შემოსავლის მიღებისათვის. რ-ის ჩიხის აღდგენა-რემონტი ქარხანას საკუთარი ძალებით არ შეუძლია, საჭირო რაოდენობის მუშა-სპეციალისტების არ ყოლის გამო და ეს სამუშაოები უნდა შეასრულოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მონვეულმა ორგანიზაციამ აღნიშნული მომსახურების სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 4600 ლარს შეადგენს, რაც შპს „ბ. ნ. ქარხანას“ გათვალისწინებული აქვს 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გამარტივებული შესყიდვის ფორმით.

33. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2013 წლის 17 სექტემბრის წერილით №89 და 90 წერილების პასუხად შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორს ეცნობა, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, რ-ის ჩიხთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნეს რემონტის წინასწარი და სრულყოფილი ხარჯთაღრიცხვა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო მომსახურების, რომელიც ზოგადი და სავარაუდო ღირებულებით არის წარმოდგენილი, არამედ სამშენებლო მასალების და სხვა ხარჯების კომპონენტები.

აჭარის ა/რ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და სამი ერთეული ანგარის საზოგადოების სანესდებო კაპიტალში შეტანასთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილი იქნას დასაბუთებული ბიზნეს-გეგმა, თუ რა კონკრეტულ შედეგებთანაა დაკავშირებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა. შესაბამისად, რა სარგებელს მოუტანს აღნიშნული პროცესები შპს „ბ. ნ. ქარხანას“, ვინაიდან ძირითადი საშუალებების სანესდებო კაპიტალში შეტანით საზოგადოებას გაეზრდება ხარჯები. ამდენად, საჭიროა შემოსავლების შესაძლო შემოსავლის და შესაბამისად მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის დეტალური ანალიზი. ამასთან, ერთად დასაზუსტებელია დახურული სასაწყობო მეურნეობის ექსპლოატაციის პირობები (ერთ-ერთი პირობა-ანგარის დემონტაჟი და მონტაჟი) და ფინანსური ეფექტი.

34. 2013 წლის 11 დეკემბერს №121 წერილით შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორმა მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს, სადაც აღნიშნა, რომ ამ დროისათვის ქარხანას შეუსრულებელი ფინანსური დავალიანება არ გააჩნია, ქარხნის ანგარიშზე ირიცხება 95778 ლარი და ყველა არსებული რესურსის გამოსავლენად საჭიროა კოლექტივის მატერიალური სტიმულირება, რისთვისაც უნდა გადაწყდეს მუშა-მოსამსახურე-

თა ხელფასის ზრდისა და მათი პრემიების საკითხი.

35. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 15 იანვრის წერილით №117, №120 და №121-ე წერილების პასუხად შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორს ეცნობა პარტნიორის მოსაზრებები სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, ეცნობა, რომ მიუხედავად სამინისტროს მხრიდან არაერთი მოთხოვნისა საზოგადოების მხრიდან კვლავ არ წარმოდგენილა საწარმოს განვითარების ბიზნეს გეგმა, რის გამოც, საზოგადოების ხელმძღვანელობის მხრიდან სამინისტროში წარმოდგენილი მოთხოვნები და მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელია ან არასრულყოფილია და საჭიროებს პერიოდულად მნიშვნელოვან კორექტირებებს.

36. ცალკეულ შემთხვევებში, თანამშრომლების დანიშვნის საკითხი წყდებოდა სათანადო გათვლების და სამინისტროს ინფორმირების გარეშე. გარდა ამისა, 22 საშტატო ერთეულზე თანამშრომლების დატვირთვა არ არის სათანადოდ დასაბუთებული, შესაბამისად, ამ ეტაპზე თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების გაზრდის ან პრემირების მოთხოვნის საკითხი დაუსაბუთებელია.

თანამშრომელთა პრემირების საკითხის დაყენების შემდეგ, კვლავ თვითნებურად იქნა გადაწყვეტილი მისი გაცემა, შესაბამისად, დარიცხვა-გაცემის პრინციპი სამინისტროსთვის უცნობია.

სამინისტროსთან შეუთანხმებლად, ქონების მართვის წესების უგულვებელყოფით არის გაკეთებული გამცემი წერტი (ე.წ. წერო) აჭარის ა/რ საკუთრებაში (და არა შპს „ბ. ნ. ქარხნის“) არსებული მიწის ნაკვეთზე. საწარმოს ხელმძღვანელობის ინფორმაციით აღნიშნულზე ხარჯები ფაქტიურად მათ არ გაუნევიათ, თუმცა ფულადი თანხების მოძრაობა ხორციელდებოდა საზოგადოების ანგარიშსწორების ანგარიშიდან.

37. ქარხნის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით სამინისტროს ნებართვის საფუძველზე, იჯარის წესით განკარგვას ექვემდებარებოდა 3 ერთეული რეზერვუარი და სხვა მასთან დაკავშირებული ქონება, რაზედაც მიმდინარეობდა აუქციონის წესით იჯარით გაცემის პროცესები. ამ ვითარებაში, საწარმოს მხრიდან სამინისტროსთან სათანადო შეთანხმების გარეშე გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები, სავარაუდოდ 6 კომპანიასთან ესტაკადიდან ახალი წეროს მეშვეობით ნავთობპროდუქტების გადატვირთვაზე. მათ შორის, წინასწარი ინფორმაციით სარგებლობაში მომსახურების პირობით გაცემულია რეზერვუარიც. აღნიშნული მიზეზების გამო, ფერხდება

ელექტრონული აუქციონის წესით ზემოაღნიშნული ობიექტის იჯარაზე გაცემის გამოცხადების საკითხი, რაც მოკლე ვადაში საჭიროებს შესრულებას. უფრო მეტიც, მიუხედავად მოთხოვნისა დირექტორის მიერ არ არის წარმოდგენილი სათანადო გათვლებით ამ საკითხთან დაკავშირებული დასაბუთებული პოზიცია.

38. შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორ ლ. ჯ-ძის 2013 წლის 26 დეკემბრის №80 ბრძანებით დადგენილი იქნა ქარხანაში დასაქმებულ პერსონალზე, სპეციალისტებზე, მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილ პირებზე, რომელთაც შესრულებული ჰქონდათ სამუშაოზე აყვანიდან 6 კალენდარული თვე. ასევე, დირექტორზე 100% პრემიის გაცემა, ხოლო ყველა დანარჩენზე 50%-ის ოდენობით.

39. შპს „ბ. ნ. ქარხანაში“ დასაქმებულ პირებზე 2013 წლის დეკემბერში პრემიების გაცემასთან დაკავშირებით პარტნიორის მიერ გადანყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

40. აჭარის ა/რ პროკურორისადმი ლ. ჯ-ძის მიერ გაგზავნილ იქნა მოთხოვნა ქარხნის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემასთან დაკავშირებით.

41. 2014 წლის 23 იანვარს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის №14 წერილით მიმართა შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორმა, სადაც სხვადასხვა საკითხებზე თავისი მოსაზრებები დააფიქსირა, მათ შორის, აღნიშნა შემდეგი:

„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩემი სპეციალობის, სხვადასხვა დროს ქარხანაში, სხვადასხვა სტატუსით მუშაობის გამოცდილებისა და (სავარაუდოდ) ყოფილი ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლისათვის ბრძოლაში შეტანილი გარკვეული წვლილისათვის, 2012 წლის 19 დეკემბერს დავინიშნე საზოგადოების დირექტორად, ჩავიბარე 137ტ. ჯართად შეფასებული საზოგადოება, რომლის ანგარიშზეც ირიცხებოდა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან ამოღებული 4200 ლარი. დღეისათვის, ძირითადი საშუალებების იჯარითა და ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვა-მინოდებაზე მომსახურებით, საზოგადოებას გაუჩნდა შემოსავალი. ამ დროისათვის, ანგარიშზეა 100 000 ლარზე მეტი. გასტუმრებული გვაქვს სოლიდური საბიუჯეტო და ყველა სახის სხვა დავალიანება (300 ათას ლარამდე). პერსპექტივაში კი, მოქმედი ხელშეკრულებებით საზოგადოებას აქვს 800 ათასი ლარის წლიური გარანტირებული შემოსავალი. დასაქმებულია 37 ადამიანი ანუ, შემოსავლის წყარო გაუჩნდა იმდენივე ოჯახს რომლებიც ახალ წელს შეხვდნენ მართალია მწირი შემოსავლით, მაგრამ გარკვეული იმედებით. მიუხედა-

ვად ყოველივე, აღნიშნულისა ვერ შეეცელი თქვენთან და თქვენს სამსახურებთან ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარება, მთელ ამ დროში, მოუცლელობის მიზეზით, ერთხელაც ვერ მოხერხდა თქვენთან შეხვედრა. სამინისტროს სანარმოთა მართვის სამსახურების თანამშრომლებისაგან კი, ვიმყოფები მუდმივი, უსაგნო კონტროლის ქვეშ. ასე მაგალითად, ორი თვის წინ, ერთ დღეში ორჯერ შემიმონმეს საზოგადოების თანამშრომელთა სამუშაოზე ყოფნის მდგომარეობა და ეს მაშინ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გადაუნყვეტელი საკითხები თავზე საყრელად გვაქვს. დირექტორად საქმიანობის პერიოდში ხშირად ვსაქმიანობ როგორც მუშა, უმეტესად არანორმირებულად – დღითა და ღამით. მიუხედავად ამისა, თქვენი ხელმოწერით, საზოგადოებაში მიღებულ წერილებში მუდმივად იგრძნობა საყვედურები, შეფარული მუქარები განთავისუფლებაზე, დაუსაბუთებელი შენიშვნები და მითითებები, რის გამოც, მიჩნდება ვარაუდი, რომ ეს არის ერთგვარი პოლიტიკური ანგარიშსწორების მცდელობა, რადგან გახლავართ მ.პ.გ. „ქ. ო-ოს“ თანადამფუძნებელი და აქტიური წევრი და 2012 წლამდე, როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრებთან და მხარდამჭერებთან, ღრმა კონფრონტაციაში ვიყავი თქვენთან და თქვენს სხვა თანამშრომლებთან, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მათ მდგომარეობას არავინ შეხებია, მაინც ვერ გამოდიან ერთგვარი „ბოროტი დაძაბულობის“ რეჟიმიდან. თქვენთვის თავდაპირველად გადმოგზავნილი ყველა წერილი თუ ხელშეკრულება, რომლის დაუსაბუთებლობაში და არასრულყოფილებაში მადანაშაულებთ, შედგენილია სამინისტროს თანამშრომლების მიერ, სადაც ერთი სიტყვის შეცვლის უფლებასაც არ მაძლევდნენ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, სანარმოთა მართვის სამსახური, თუ როგორ მიკრძალავდა ინიციატივების დაყენებას ასევე ხელშეკრულებებში ჩემი მოსაზრებების გაუთვალისწინებლობით მოგვიანებით შექმნილ პრობლემებზე ინფორმირებას და საჭირო დახმარების აღმოჩენაზე თქვენთვის თხოვნით მომართვას. საზოგადოების მენეჯმენტი შეიმუშავებს და მოგანოდებთ საზოგადოების განვითარების ბიზნეს გეგმას, თუკი გავანდობთ სანესდებო კაპიტალში ძირითადი საშუალებების დაბრუნებაზე თქვენეულ გეგმებსა და ხედვას. შეუთანხმებლობის მუდმივი თემაა საშტატო განრიგი, სახელფასო განაკვეთების ზრდისა და პრემიების საკითხები. თქვენი უფლებაა არდათანხმება, რაზედაც გთხოვთ წერილობით პასუხს. სხვა შემთხვევაში, პასუხის გაუცემლობა მიჩნეული იქნება დასმულ საკითხზე თანხმობად და რეალიზებული იქნება წარმოდგენილი სა-

კითხი. სრულიად უსაფუძვლოა ბრალდება იმის თაობაზე, რომ თითქოსდა გაურკვეველი იყო ე.წ. „წეროს“ დამონტაჟებაზე განეული ხარჯის 3 ათასი ლარის წარმომავლობის საკითხი. რაც შეეხება ქონების მართვის წესდების დაუცველად ნავთობის გამცემი წერტის „წეროს“ ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რიცხულ მინის ნაკვეთზე ჩადგმას, იგი ნებადართული იყო სამინისტროს სანარმოთა მართვის სამსახურის მიერ შპს „ს-სთან“ იგივე ფ-სთან მომსახურების განევის თაობაზე საკითხის შეთანხმების პარალელურად.

არ ვეთანხმები იმ არასწორ პრაქტიკას, როცა მეუბნებით, რომ ჯერ საქმე უნდა გაჩვენოთ, სანესდებო კაპიტალში ქონების გადმოცემის საკითხს კი შემდეგ გადაწყვეტთ. ასე იყო, როცა 7 თვის განმავლობაში იმ რეზერვუარებს ვანესრიგებდით, რომელიც არ ირიცხებოდა ჩვენს ბალანსზე, მაგრამ სანესდებო კაპიტალში დაგვიბრუნეთ აუქციონის წინ. ვიმედოვნებთ, რომ მომსახურებისათვის საჭირო ამ ტექნიკური დანადგარის მონყობისათვის 200 კვ. მეტრამდე გამოყენებულ მინის ნაკვეთსაც, სანესდებო კაპიტალში შეტანის გზით აუცილებლად გადმოგვცემთ და მასზე განთავსებული ტექნიკა დარჩება საზოგადოების შემოსავლის ზრდის საშუალებად. ბოლო ათი დღეა თქვენი სამსახურისგან განვიცდი მძიმე ზეწოლას, რათა მოვშალო მომსახურებაზე სხვა კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები და რეზერვუარებზე გამოვაცხადო აუქციონი. რეზერვუარები ორჯერ უკვე გასულია აუქციონზე, რომელშიც მონაწილეობის სურვილი არავის გამოუხატავს. აღნიშნულის შემდეგ კი თქვენს სამსახურებთან შეთანხმებით სამივე რეზერვუარი გაცემულია იმ კომპანიებზე, ვინც იგი მოინდომა და ვის მიერაც შემოთავაზებული პირობები საზოგადოებისთვის იყო ხელსაყრელი. რეზერვუარების სარგებლობისა და მომსახურების წლიური ღირებულება ჯამში იმაზე მეტია, რაც რეზერვუარის განკარგვისათვის აუქციონზე გამოსაცხადებელი სანყისი ღირებულება. 2013 წლის 2 სექტემბერს გადმოგზავნილი წერილით გატყობინებდით ჩემს მიერ მოაზრებული ბიზნეს-გეგმის ერთ ნაწილს, კერძოდ გთხოვდით რომ განგეხილათ და გადაგენწყვიტათ საზოგადოების მიმდებარე მე-17 ნაკვეთში ორი წლით, სამი რეზერვუარის ჩადგმის თაობაზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავალს მისცემდა საზოგადოებას. მოგვიანებით გავიგე, ნავთობშლამზე და მუავე გუდრონზე პოლონეთიდან მოლაპარაკების დასრულება იმ დროს არ შედიოდა თქვენს ინტერესებში, რადგან ერთი კვირით ადრე, ანუ 2013 წლის 29 ოქტომბერს სამინისტროში დარეგისტრირებული წერილით კონსულტაციებში იყავით შესული წარ-

სულში, ამ საკითხებთან მიმართებაში საეჭვო რეპუტაციის შპს „ი. ე“-სთან დამფუძნებლის გამო, იგივე შპს „ბ-სთან“. ბატონო მინისტრო ჩვენ სერიოზულ წინააღმდეგობაში ვართ ერთმანეთთან, თქვენ ცდილობთ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით და წვრილი კომპანიების ბაზრიდან განდევნით შპს „ს. ჯ. პ-ზე“ ხელშეწყობას, მე კი ვცდილობ ნავთობპროდუქტების რეალიზატორი იმ მცირე კომპანიების თანაბარ პირობებში ჩაყენებას, რომლებიც შემოსავალს უქმნიან საზოგადოებას, ახალი ხელისუფლების პირობებში ცდილობენ მონოპოლიური სქემის დაშლას და მანკიერი რეალობის დაძლევით ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას და რადგანაც თქვენი პოზიცია ამ მიმართებით საგანგაშოა, როგორც სახელისუფლებო პოლიტიკური გუნდის წევრი ვალდებული ვარ საქმის კურსში ჩავაყენო ყველა, ვის მოვალეობაშიც შედის აღნიშნულის შეფასება, ანუ მივიღო ადეკვატური გადაწყვეტილება რათა კვლავ არ მოხდეს ერთი კომპანიის ინტერესებში შესვლა ან ამ ინტერესების ახალ რეალობაზე მორგება და სახელისუფლებო გავლენებით მისი გარძელება. მეორე მხრივ, კი ამის შედეგად ბაზრიდან იმათი განდევნა რომელთა აქტივობამ და ბაზარზე დამკვიდრებამ უნდა შეცვალოს ქვეყანაში ბიზნეს გარემო და სოციალური და პოლიტიკური ვითარება“.

42. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

კანონის 44-ე მუხლის პირველი ნაწილი, 46-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით). დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.

ამავე კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება ამ კანონით ან/და საწარმოს წესდებით. მართვის ორგანოების სტრუქტურა, შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საწარმოს წეს-

დებით.

მე-9 მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

43. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შპს „ბ. ნ. ქარხნის“ წესდების საფუძველზე პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას, მათ უფლება ჰქონდათ ნებისმიერ დროს მოეთხოვათ დირექტორისათვის საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა სამუშაოდან.

44. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საზოგადოების დირექტორებიდან პირის გათავისუფლებისას შრომის კოდექსის ნორმები არ უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან ამ თანამდებობის პირთა გათავისუფლებაში დაყოვნებამ, მათი უფლებამოსილების ფარგლებიდან გამომდინარე, შეიძლება საზოგადოებას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. ასეთ ვითარებაში, შრომის სამართლის იმ ნორმების გამოყენება, რომლებიც შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს განსაზღვრავს (წინასწარი გაფრთხილება გათავისუფლების თაობაზე და სხვა) მიზანშეუწონელია. ამდენად, საზოგადოების დირექტორთა სპეციფიკური სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მათი მუშა-მოსამსახურებთან გათანაბრება გაუმართლებელია. საზოგადოებას და დირექტორს შორის შრომითი ურთიერთობა მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი ნორმებით უნდა მოწესრიგდეს.

შრომის კანონთა კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორისა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის ურთიერთობა,

ხოლო დირექტორი წარმოადგენს მენარმეს და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდებოდეს მენარმეთა შესახებ კანონით.

45. მხარეთა შორის სადავო იყო საზოგადოების დირექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა, ასევე სანარმოს დირექტორის გათავისუფლების თაობაზე პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

მოსარჩელე არ ეთანხმებოდა დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე პარტნიორის, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანებაში გათავისუფლების საფუძველად მითითებულ ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში, მოპასუხე იყო ვალდებული ემტკიცებინა ბრძანებაში დაფიქსირებული ფაქტებისა და გარემოებების ნამდვილობა.

საქმეზე წარმოდგენილი აუდიტის დასკვნისა და მხარეთა შორის არსებული მიმონერების (წერილების) შეფასების საფუძველზე დადასტურებულად იქნა მიჩნეული აუდიტის დასკვნაში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები (იხ., წინამდებარე განჩინების 13-25 პუნქტები).

46. აუდიტის დასკვნითა და მხარეთა წერილებში გამოხატული ნების განმარტების საფუძველზე დადასტურებულად იქნა მიჩნეული შემდეგი:

– დირექტორმა ლ. ჯ-ძემ 2013-2014 წლებში პარტნიორს (სამინისტროს) არ წარუდგინა ბიზნეს-გეგმა, რაც სანარმოს წესდების 5.2 მუხლისა და მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 და 47-ე მუხლების შესაბამისად, მის ვალდებულებას წარმოადგენდა.

– სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ბიტუმოვანი ნარევის კვლევისათვის განახორციელა არაეფექტური, არამიზნობრივი და უკანონო ხარჯების განევა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევის დაწყებამდე, აღნიშნულ საკითხზე პარტნიორის მიერ მითითებები ჰქონდა მიღებული.

– პარტნიორთან წინასწარი შეთანხმებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაამტკიცა შპს „ბ. ნ. ქარხნის“ გაზრდილი საშტატო განრიგი, მაშინ როდესაც პარტნიორის მოთხოვნით სახელფასო ფონდის/განაკვეთების საკითხი განხილული უნდა ყოფილიყო სანარმოს ფინანსური საშუალებების ფარგლებში, ვალდებულებების გათვალისწინებით, ეკონომიკური საქმიანობის შესახებ მიზნობრივი პროექტების შესაბამისი დასაბუთებიდან გამომდინარე, მომჭირნეობის და მიზნობრივი ხარჯვის პრინციპით.

– წინასწარ შემუშავებული დებულების გარეშე, ყოველგვა-

რი დასაბუთებისა და პარტნიორთან შეთანხმების გარეშე, რაც საზოგადოების წესდებით ევალეზობდა სანარმოს მუშაკებზე გასცა პრემიები.

– სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის ძირითად ნაწილზე არ იქნა შედგენილი პროექტები და ხარჯთაღრიცხვები.

– რ-ის ჩიხთან დაკავშირებით წარდგენილი არ იქნა რემონტის წინასწარი და სრულყოფილი ხარჯთაღრიცხვა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა არა მარტო მომსახურების ზოგადი და სავარაუდო ღირებულება, არამედ სამშენებლო მასალების და სხვა ხარჯების კომპონენტები.

– დამფუძნებელ პარტნიორთან შეთანხმებლად ქონების მართვის წესების უგულვებელყოფით განათავსა ნავთობ-პროდუქტების მიღება-გაცემისათვის საჭირო მოწყობილობა-ნაგებობება (ე.წ. წერო) სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშსწორება განახორციელა საზოგადოების ანგარიშსწორების ანგარიშის გამოყენებით.

მიუხედავად პარტნიორის მოთხოვნისა, კიდევ ერთხელ არ განახორციელა რეზერვუარების იჯარით გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარება და სანარმოს მხრიდან სამინისტროსთან სათანადო შეთანხმების გარეშე, რეზერვუარებთან დაკავშირებით გააფორმა მომსახურების ხელშეკრულებები.

მისი მოთხოვნების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, კერძოდ: სახელფასო ფონდი განისაზღვროს 30000 ლარით; საწესდებო კაპიტალში დააბრუნონ 31 ჰა მიწის ნაკვეთი და 2012 წლის ბოლოს კაპიტალიდან გატანილი 3 ერთეული ანგარი; დაბრუნდეს ქარხნის ბალანსზე რიცხული ორი სარკინიგზო ვაგონი და ნება დაერთოს დირექტორს გამოაცხადოს ტენდერი ქარხნის ტერიტორიაზე არსებული ნავთობპროდუქტების ნარჩენების მაღალი ტექნოლოგიებით განმენდისა და გადაამუშავების ერთობლივ საქმიანობაზე – არ შეასრულა პარტნიორის შემდეგი მითითებები:

ქარხნის ყოფილ ტერიტორიაზე არსებული ნავთობპროდუქტების ნარჩენების განმენდითი ჩატარების საკითხის გადაწყვეტის მიზნით ჩატარდეს მნიშვნელოვანი წინასწარი მოკვლევა, თუ ვის საკუთრებაშია აღნიშნული ნარჩენები, როგორი წესით მოხდება განმენდით სამუშაოების ჩატარება, რა საგადასახდო ვალდებულებები და ეკოლოგიური პრობლემები წარმოიშობა და როგორი იქნება ეკონომიკური ეფექტი; 2) თანამშრომლების დატვირთვის შესწავლის შედეგად, სახელფასო განაკვეთების გაზრდის ან პრემირების მოთხოვნასთან დაკავშირებით საკით-

ხი წარდგენილი ყოფილიყო დასაბუთებულად;

აჭარის ა/რ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და სამი ერთეული ანგარის საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანასთან დაკავშირებით არ წარდაგინა დასაბუთებული ბიზნეს-გეგმა, თუ რა კონკრეტულ შედეგებთან იქნებოდა დაკავშირებული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა, რა სარგებელს მოუტანსდა აღნიშნული პროცესები შპს „ბ. ნ. ქარხანას“ და როგორი იქნებოდა შესაძლო შემოსავლის და შესაბამისად მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის დეტალური ანალიზი.

ამ ფაქტების უარყოფა მოსარჩელემ ვერ შეძლო, რაც გამორიცხავს მისი მითითების გაზიარებას, რომ დირექტორის ფუნქციების განხორციელებისას მისი მხრიდან რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

პალატამ გაიზიარა მოპასუხე მხარის მითითება იმის თაობაზე, რომ ლ. ჯ-ძეს დამფუძნებელი პარტნიორის უფლებამოსილებების განმახორციელებელ ორგანოსთან არაკოორდინირებული და არაკომუნიკაბელური დამოკიდებულება გააჩნდა. აღნიშნულს ადასტურებდა 2014 წლის 23 იანვარს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისადმი შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის, ლ. ჯ-ძის №14 წერილი (იხ., წინამდებარე განჩინების 41 პუნქტი), რომელში გამოვლენილი ნების შეფასების შედეგად პალატამ მიიჩნია, რომ პარტნიორსა და დირექტორს შორის ადგილი ჰქონდა სერიოზულ უთანხმოებებს შპს „ბ. ნ. ქარხნის“ მართვის საკითხებში, ლ. ჯ-ძე არ იზიარებდა მმართველი საზოგადოების მიერ შემუშავებულ სტრატეგიას სამეურნეო პოლიტიკაში და არ ემორჩილებოდა მითითებებს.

პალატამ მიიჩნია, რომ საზოგადოების პარტნიორსა და დირექტორს შორის ურთიერთობა უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას. დირექტორსა და პარტნიორს შორის უთანხმოების შემთხვევაში სამენარმეო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი საზოგადოების ხელმძღვანელთანაც კი, შრომითი ურთიერთობის გაგრძელება გაუმართლებელია.

მენარმეთა შესახებ კანონის 47-ე მუხლისა და შპს „ბ. ნ. ქარხნის“ წესდების თანახმად, საზოგადოების პარტნიორი ახორციელებს მმართველობით უფლებამოსილებას, ადგენს შპს სამეურნეო პოლიტიკის ზოგად პრინციპებს, რამეთუ სწორედ პარტნიორია შპს-ის ქონების მესაკუთრე და მის ინტერესს წარმოადგენს საზოგადოების ეკონომიური განვითარება. დირექტორი კი არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული სამეურნეო პოლიტიკის განმახორციელებელი მთავარი ფიგურა, რომელიც ვალდებულია თავისი მოვალეობა შეასრულოს კომერსანტის გუ-

ლისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით.

კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, ლ. ჯ-ძეს, როგორც შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორს, უფლება არ ჰქონდა რაიმე სამენარმეო და მმართველობით დაპირისპირებაში ყოფილიყო საზოგადოების პარტნიორებთან. ვინაიდან, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46.4 მუხლის თანახმად, პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას, ისეთი მნიშვნელოვანი საფუძველი, როგორც ლ. ჯ-ძის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების ნაწილობრივ არაჯეროვანი შესრულება და დამფუძნებელ პარტნიორთან არაკორდინირებული და არაკომუნიკაბელური დამოკიდებულება იყო, საკმარისს წარმოადგენდა პარტნიორის მიერ დირექტორის სამუშაოდან განთავისუფლებისათვის.

47. პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა სათანადო მტკიცებულებები, რაც გააქარწყლებდა სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანებაში მითითებულ და სასამართლო სხდომაზე დამტკიცებულ ყველა ფაქტს, შესაბამისად არ არსებობდა აღნიშნული ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძველები

48. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება აპელანტმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

49. კასატორი მივიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394. „ე“ მუხლების მოთხოვნები, სახელდობრ, კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად, განმარტა კანონი. ასევე, განჩინება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ ლ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარს არ მისცა სამართლებრივი შეფასება მასში მითითებული სამართლებრივი საფუძვლის მიხედვით.

50. კასატორის მოსაზრებით, შესაფასებელია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ჩამოყალიბებულ წარმოში პარტნიორის ექსკლუზიური უფლება გაათავისუფლოს დირექტორი გულისხმობს, თუ არა მის უფლებას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გამოიწვიოს იგი.

51. სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილების 4.27 პუნ-

ქტით დადგენილად მიიჩნია, რომ: 1. ლ. ჯ-ძის მხრიდან ადგილი ჰქონდა 2013 წლის წლიური შედეგების დაგვიანებით წარმოდგენას; 3. სრულიად გაუმართლებლად 2013 წლის იანვარ-თებერვლის თვეში დირექტორის მიერ 33 საშტატო ერთეულის დამატება. 4. 2013 წლის 1 ივლისიდან მომსახურების ხელშეკრულების სახით აყვანილია, სახელმწიფო შესყიდვების მენეჯერი თვეში 625 ლარის ანაზღაურებით, მაშინ როცა დირექტორის ხელფასი 500 ლარია. 5. მუშა-მოსამსახურეთა ისე აყვანა (მაგალითად ლაბორანტი), რომ არ ხდებოდა მათი სრულყოფილად დატვირთვა და საქიროებას არ წარმოადგენდა. 6. თანამშრომელთა და მომუშავეთა დასაქმების სწორი მენეჯმენტით და ეფექტური გამოყენების გზით შესაძლებელი იყო დანახარჯების ხელფასის მუხლში 45 259 ლარის განხორციელება, რაც არაეფექტურ და არამიზნობრივ ხარჯს წარმოადგენდა. 7. საწარმოს დებულების საწინააღმდეგოდ, პრემიის გაცემა თანამშრომელებისათვის. 8. მიღება ჩაბარების აქტის გარეშე 2012-2013 წლებში სანესდებო კაპიტალში ქონების შევსება გადაცემა. 9. პარტნიორისა და საზოგადოების ხელმძღვანელის შეუთანხმებლობის ფაქტები, რაც გამოიხატა ლ. ჯ-ძის მიერ აუქციონის გამოცხადებლობაში. 10. არაკანონიერად განეული ხარჯები, კერძოდ შპს „ჯ. ე-ზე“ ჩარიცხულია, 1590,55 ლარი და შპს „ხ-ზე“ 419.50 ლარი, სარესტორნო მომსახურების ხარჯი. 11. საწარმოში ექსპლოატაციაში გადაცემული მასალების ჩამონერა ხორციელდებოდა არასრულყოფილი პირველადი დოკუმენტაციით ან უკვე გახარჯული მასალები შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის გამო ისევ არ ირიცხება მასალების ანგარიშზე.

52. კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ ისე გაიზიარა გათავისუფლების საფუძვლად არსებული აუდიტის დასკვნაში მითითებული ფაქტები და იგი მიიჩნია დადგენილად, რომ არ მისცა სამართლებრივი შეფასება მათ, არ მიუთითა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლითაც დასტურდებოდა შემდეგი: 1. თანამშრომელთა დანიშვნა და გათავისუფლება წარმოადგენს დირექტორის პრეროგატივას. აუდიტი აღნიშნავს, რომ კომპანია დაკავებული იყო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებით. მოსამზადებელ სამუშაოთა მიმდინარეობას ადგენს დირექტორი და თავად იღებს გადაწყვეტილებას რა თანმიმდევრობით განახორციელოს იგი. ხარჯების მიზნობრიობასთან დაკავშირებით კასატორმა მიუთითა, რომ სამინისტრო ვალდებული იყო დაემტკიცებინა კომპანიის წლიური ბიუჯეტი – რაც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების დამტკიცებას. ხარჯების ნაწილი შედგება – ხელფასის, მასალების,

ელ.ენერჯის, ამორტიზაციის, 1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებების, კომუნიკაციის, საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯებისგან. სამინისტროს 2013 წლისათვის, რომ დაემტკიცებინა ასეთი ხარჯები, მაშინ ამ ხარჯებიდან გადახდა შეიძლებოდა ჩათვლილიყო არამიზნობრივ ხარჯად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამინისტროს არ ჰქონდა დამტკიცებული კომპანიის ბიუჯეტი, მაშინ კომპანიის მიერ განეული ყველა ხარჯი, გარდა დირექტორის ხელფასისა უნდა ჩაითვალოს არა მიზნობრივ ხარჯად. აუდიტორი თვლის, რომ კომპანიის მიერ 2013 წელში განეული დანარჩენი ხარჯები მიზნობრივად არის განეული, მაშინ 45 259, ლარის ხელფასის ხარჯიც უნდა ჩაითვალოს მიზნობრივ ხარჯად, რადგანაც ისიც დირექტორის მიერ არის განსაზღვრული, ისე როგორც 2013 წელში განეული ყველა სხვა ხარჯი. ამ გარემოების გამო დირექტორის მიერ განეული 45 259 ლარის სახელფასო ხარჯი არ შეიძლება ჩაითვალოს არა მიზნობრივ ხარჯად.

53. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ ისე ჩათვალა, თანამშრომელთათვის გაცემული ხარჯი არაეფექტურად და არამიზნობრივად, რომ საერთოდ არ უმსჯელია და არ შეუფასებია ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, მუშა-მოსამსახურეთა მიერ შესასრულებელი სამუშაოები, მათი ფუნქცია მოვალეობები.

54. პალატას, საერთოდ არ უმსჯელია, რომელი მუშა-მოსამსახურის გამოკლებით ან მიმატებით იყო შესაძლებელი, უფრო ეფექტური შედეგის მიღება და შესაბამისად ეკონომიის გაკეთება. მაგალითად, იურისტს უნდა შეესრულებინა ლაბორანტის ფუნქცია-მოვალეობები, თუ პირიქით. ან/და რომელი თანამშრომლისთვის ხელფასის დაკლების გზით იქნებოდა შესაძლებელი ეკონომიის გაკეთება სანარმოში. სასამართლოს არ უმსჯელია და არ შეუფასებია, მოცემული მომენტისათვის რომელი თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები იყო შეუსაბამო ან არასაჭირო სანარმოსთვის. გადაწყვეტილების 4.27.5 ნაწილში სასამართლო მიუთითებს, რომ ლაბორანტი და არქივარიუსი ვერ იტვირთებოდა სრულყოფილად.

55. სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია, სამსახურში მათი გამოცხადების გრაფიკი, მათი მუშაობის სპეციფიკა, მხოლოდ ის გარემოება, რომ ქარხანას არ ჰქონდა შემოსავალი, მიიჩნია საკმარის საფუძვლად მათი არასრულყოფილი დატვირთვისათვის, ასევე სასამართლოს მიერ შეფასებული და გამოკვლეული არ იქნა მონმის დ. დ-ის ჩვენება და ახსნა-განმარტება მის სამსახურებრივ ფუნქციებთან დაკავშირებით, ის,

რომ უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო საწარმოს მუშაობა ლაბორანტის გარეშე. ამდენად, სააკვე-
ლაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ
მუშა-მოსამსახურეები – თანამშრომლები სრულყოფილად ვერ
იტვირთებოდნენ დაუსაბუთებელია.

56. დაუსაბუთებელია სასამართლოს მიერ აუდიტის დას-
კენის გაზიარება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო შეს-
ყიდვების მენეჯერს ჰქონდა 625 ლარი, ხოლო დირექტორს 500
ლარი. არც შინაგანანესში, არც საწარმოს წესდებაში არც სხვა
სახის აქტში მითითებული და განსაზღვრული არ არის საწარ-
მოს დირექტორისა და სხვა თანამშრომელს შორის პროცენტუ-
ლი ზღვარი ხელფასის ოდენობისა, ან ის, რომ სხვა თანამშრო-
მელს არ შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი ხელფასი, ვიდრე
დირექტორს.

57. სასამართლოს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, უნ-
და შეეფასებინა შესყიდვების მენეჯერის, ფუნქცია მოვალეო-
ბები, მათი დატვირთვა, მისი უნარ-ჩვევები და ემსჯელა იმ სა-
კითხთან დაკავშირებით, რომ მოცემულ პერიოდში, შესყიდვე-
ბის მენეჯერის პოზიცია არ იყო საჭირო, მიზანშეწონილი და მას-
თან ხელშეკრულების გაფორმებით საწარმოს მიაღვა ზიანი, აღ-
ნიშნული სახის მსჯელობას არც აუდიტის დასკვნა შეიცავს
და არც სასამართლო გადაწყვეტილება.

ხარჯის ეფექტურობა – 45 259 ლარის ხელფასის ხარჯის არა
ეფექტურობა აუდიტორის მოსაზრებაა და არ არის წარმოდგე-
ნილი მონაცემები, საიდანაც შეიძლება გაიანგარიშო ხარჯების
ეფექტურობა. ასეთი მიდგომით შეიძლება ჩათვალოს, რომ არა
ეფექტურია 55000 ლარის ან მეტი ან ნაკლები ხარჯი. აუდიტო-
რის მიერ 45 259 ლარის ხელფასის ხარჯის არა ეფექტურობის
განსაზღვრა უფრო პირობითია, ვიდრე რეალობიდან გამომდი-
ნარე, მას არ გააჩნია ეკონომიკური დასაბუთება, ისევე როგორც
სასამართლოს მსჯელობაა ამ ნაწილში დაუსაბუთებელი.

58. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საწარმოს დი-
რექტორმა, ყოველგვარი დასაბუთებისა და წინასწარი დებუ-
ლების გარეშე გასცა პრემიები, რაც მას უნდა შეეთანხმებინა
პარტნიორთან, რაც წესდებით ევალებოდა.

საწარმოს წესდების მე-7 მუხლის „ი“ ნაწილის თანახმად პარ-
ტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს დირექტორის ხელ-
ფასის „შრომის ანაზღაურების“ და ხარჯების განსაზღვრის თა-
ობაზე. ხოლო მითითება იმის თაობაზე, რომ საწარმოს დირექ-
ტორს წინასწარ უნდა შეემუშავებინა დებულება პრემიის გა-
ცემის თაობაზე დაუსაბუთებელია, რადგან საწარმოს წესდება

ამგვარ მითითებას არ შეიცავს. ხოლო რაც შეეხება დასაბუთებას, იგი პრემიის გაცემის შესახებ ბრძანებაში მითითებული იყო.

59. სასამართლოს მიერ ასევე დადგენილი იქნა, რომ პარტნიორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე დადგენილი იქნა საშტატო განრიგი. ისე, რომ გათვალისწინებული არ იქნა საწარმოს ფინანსური საშუალებები, ვალდებულებები, მომჭირნეობისა და მიზნობრივი ხარჯის პრინციპი.

60. გაურკვეველია, საიდან მივიდა სააპელაციო სასამართლო იმ დასკვნამდე, რას წარმოადგენს თანამშრომელთა აყვანის დროს დადგენილი მომჭირნეობის პრინციპი.

61. სასამართლო გადაწყვეტილების 4.32 პუნქტში უთითებს, რომ დირექტორი ვალდებულია, თავისი მოვალეობა შეასრულოს კომერსანტის გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებულია კაპიტალური საზოგადოებების მმართველობის ორგანოების ფორმირების წესი, რომელზეც არ ვრცელდება შრომის კოდექსის მოთხოვნები, საზოგადოების დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის თანამდებობაზე დანიშვნა/არჩევა, ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წესი და პირობები არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულებით მოსაწესრიგებელ საკითხებს.

საზოგადოების ხელმძღვანელი პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა არის სამენარმეო და მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან წესრიგდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე. „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით, მხოლოდ ის საკითხები, რაც არ არის მოწესრიგებული „მენარმეთა შესახებ“ კანონით, საზოგადოების წესდებით, ან თავად დირექტორთან/სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან გაფორმებული ხელშეკრულებით, შეიძლება გახდეს შრომის კანონმდებლობით მოწესრიგების საგანი (მაგ. სოციალური გარანტიები, ანაზღაურებადი შვებულება და ა.შ.).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის მიერ თავისი უფლება-მოვალეობის ჯეროვანი შესრულების საკითხი და საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანთან მი-

მართებით დირექტორის ბრალეულობა უნდა შემომდგეს არა დელიქტიდან წარმოშობილი ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმებით, არამედ სამეწარმეო საზოგადოებაში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმებით.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოების დირექტორს, როგორც ხელმძღვანელ ორგანოს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქცია აკისრია საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით, თუმცა, ამავდროულად, საზოგადოების ინტერესები და უფლებები დაცულია არა მხოლოდ დირექტორის, არამედ სააქციო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ორგანოების (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო) კანონშესაბამისი ხელმძღვანელობითი და მაკონტროლირებელი საქმიანობით, უდავოა, რომ შპს-ს დირექტორს თავისი მოვალეობათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება, მაგრამ, ამავდროულად, დავის შემთხვევაში ზუსტად

უნდა გაირკვეს პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რასაც მოჰყვა უშუალოდ ზიანი. დირექტორის არამართლზომიერი ქმედება ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველს განეკუთვნება ე.წ. კანონისმიერი მოვალეობების დარღვევა (მოვალეობები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული), ხოლო მეორეს – მოვალეობები, რომლებიც დირექტორის გადანყვეტილების თავისუფლების სფეროდან მომდინარეობს (გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა, ერთგულების მოვალეობა).

საზოგადოების დირექტორის ვალდებულებაა, კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, აანაზღაუროს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერად ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი იმ მხარეზეა, ვინც ეჭვქვეშ აყენებს სხვის კეთილსინდისიერებას, რადგან ივარაუდება, რომ ყველა ქცევა კეთილსინდისიერია (კეთილსინდისიერების პრეზუმფცია).

დირექტორის მიერ, სანარმოს საქმიანობასთან მიმართებით არაკეთილსინდისიერად მოქცევის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი მოპასუხე მხარის მიერ ვერ იქნა, შესაბამისად ბუნებრივია ასახვა სასამართლო გადანყვეტილებაში იმისა, რომ სანარმოს დირექტორის მხრიდან ადგილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერი ქცევის ფაქტს წარმოდგენილი არ არის.

62. კასატორის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ ლ. ჯ-ძეს, არ ჰქონდა წარმატებული კომუნიკაცია, საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ პირებთან საქმის გარემოებებით არ დასტურდება. კანონი მოთხოვნის უფლების მქონე პირებს ანიჭებს სრულ თავისუფლებას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოითხოვონ მოქმედების შესრულება ან თავის შეკავება. ან კიდევ შეასრულონ რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავონ ამ მოქმედების შესრულებისაგან. მოთხოვნის უფლების მქონე პირი უფლებით უნდა სარგებლობდეს კეთილსინდისიერად. მისი გამოყენება არაკეთილსინდისიერად წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. უფლების ბოროტად გამოყენება არის მოქმედება ან უმოქმედება, რომელიც მხოლოდ სხვებს აყენებს ზიანს ისე, რომ არ არის გამოკვეთილი ამ უფლების მოსარგებლე პირის ინტერესების უპირატესობა. უფლების ბოროტად გამოყენებას კრძალავს სკ-ის 115-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზ-

ნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“. აღნიშნული ნორმა საერთო ჯამში ემსახურება სსკ-ის მერვე მუხლის მესამე ნაწილის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ეკისრებათ ვალდებულება კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით უფლება გულისხმობს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას გარკვეული ფაქტისადმი. მას უნდა სწამდეს, რომ მისი ქმედება სამართლიანია, არაა კანონსაწინააღმდეგო. იგი გარკვეულ ფაქტებს უნდა აფასებდეს ისე, როგორც ამას შეაფასებდა გარკვეული ურთიერთობის გარეთ მდგომი მესამე პირი, რომლის ინტერესებიც არაა ამ ურთიერთობაში გამოკვეთილი და, რომელიც ობიექტურად აფასებს შექმნილ ვითარებას. საწარმოს დამფუძნებელს აქვს უფლება საკუთარი სურვილისამებრ აწარმოოს საწარმოს მართვა და ამ მიზნით დანიშნოს ან გაათავისუფლოს საწარმოს ხელმძღვანელი პირი ან დადოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, მაგრამ ეს არ უნდა ემსახურებოდეს სხვებისათვის ზიანის მიყენებას, მას უნდა ამოძრავებდეს საკუთარი ლეგიტიმური მიზნების მიღწევის სურვილი და კეთილსინდისიერად უნდა სწამდეს, რომ ამას არ აკეთებს სხვებისათვის მარტოოდენ ზიანის მიყენებისათვის. ცხადია, შეუძლებელია დამფუძნებელმა საკუთარი საწარმოს ხელმძღვანელი დანიშნოს ან გაათავისუფლოს ისე, რომ მხოლოდ სხვისთვის სარგებლის მოტანა ამოძრავებდეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია მის მიერ დასახული მიზანი აღემატებოდეს სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ხარისხს. უფლების ბოროტად გამოყენება გამოდის უფლების ფარგლებიდან და წარმოადგენს უფლების გარეშე მოქმედებას. დამფუძნებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციისათვის მთავარია ის, რომ არ ჩანს საწარმოს ხელმძღვანელის გათავისუფლების ინტერესი და მისი მოქმედებები მხოლოდ დასაქმებულისათვის ზიანის მიყენების მიზანს ემსახურება. არაა გამორიცხული, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გამოყენებისას, დამფუძნებლის ინტერესიც გვექნდეს სახეზე, მაგრამ იგი არათანაზომიერია იმ ზიანისა, რომელიც სხვებს ადგებათ, ასეთ დროს უფლების გამოყენებას ექნება ბოროტად გამოყენების კვალიფიკაცია. ბოროტად გამოყენების შემთხვევა სახეზე გვექნება, თუკი მიყენებულ ზიანთან შედარებით არაა დამფუძნებლის ინტერესები უპირატესი და სხვაგვარად საწარმოს მართვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია. უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტი უნდა დადგინდეს დამ-

ფუძნების ინტერესებისა და მიყენებული ზიანის პროპორციულობის გათვალისწინებით.

63. საქმის გარემოებებიდან და ანალიზიდან გამომდინარე, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მისი დირექტორად ყოფნის პერიოდში საწარმოს მიაღდა ზიანი არ დასტურდება და ასეთი სახის მტკიცებულება არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო წარმოების დროს არ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე საწარმოს მხრიდან მისი გამოწვევა, ისე რომ არ ჰქონია სამართლებრივი საფუძველი, რაც დადგენილი იქნა კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენების კლასიკურ შემთხვევას.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:

64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 09 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

65. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

66. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2014 წლის 26 აგვისტოს №ს-504 ბრძანების მართლზომიერება და მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, როგორცაა სამუშაო ადგილზე აღდგენა და იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება და სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანა.

67. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული დავის სამართლებრივი რეგულირებისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. შრომის კოდექსზე კი, როგორც მოცემული დავის მარეგულირებელ ნორმებზე კასატორის მითითებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, გამომდინარე იქიდან, რომ განსახილველ საქმეში, შესაფასებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის (შპს-ს) დირექტორის, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საქმიანობის სამარ-

თლებრივი ასპექტები საწარმოს ინტერესებთან მიმართებით. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის თანახმად, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრება განსაზღვრავს საწარმოს ძირითად მიმართულებებსა და ზოგადად, საქმიანობის პოლიტიკას. ხოლო დირექტორი კი, არის პარტნიორთა მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებებისა და პოლიტიკის განმახორციელებელი. დირექტორის კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

აქედან გამომდინარე, დირექტორის მიერ საწარმოს პარტნიორებთან შეუსაბამობასა და დაპირისპირებაში ყოფნა კანონთან და ბუნებრივია, პარტნიორებთან შეუსაბამოდ მიიჩნევა. სწორედ დირექტორის უნარ-ჩვევებსა და კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული საწარმოს განვითარება. ამ რისკის საკომპენსაციოდ კი, პარტნიორებს უფლება აქვთ გაათავისუფლონ დირექტორი დაკავებული თანამდებობიდან და ამ შემთხვევაზე, შრომის კოდექსის მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს. შრომის კოდექსით მონესრიგებულია ურთიერთობა საწარმოს დირექტორსა და მის დაქირავებულ მუშაკს შორის, რომელიც ჩვეულებრივი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის საქმიანობა არის სამეწარმეო, მისი ურთიერთობა საზოგადოების პარტნიორებთან უნდა რეგულირდე-

ბოდეს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით.

შესაბამისად, საზოგადოების დირექტორის ფუნქციათა თავისებურებებიდან გამომდინარე, დავის გადასაწყვეტად საქართველოს შრომის კოდექსით ხელმძღვანელობა კანონმდებლობით ნაკარნახევი არ არის.

68. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დირექტორსა და საზოგადოებას შორის დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ არის ტიპიური შრომითსამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის, ეს არის სპეციფიკური კორპორაციული ურთიერთობა, რომლის მიმართაც შრომის კოდექსის გავრცელება არ შეესაბამება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შრომის კოდექსით მოწესრიგებულია საწარმოს დირექტორსა და მის მიერ დაქირავებულ მუშაკს შორის შრომითი ურთიერთობა, რომელიც, ჩვეულებრივ, შრომითსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა, ხოლო დირექტორის თანამდებობის დაკავებასთან და ამ თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. (სუსგ 2001 წლის 30 მარტის განჩინება საქმეზე №3კ/259-01, სუსგ 2003 წლის 26 ივნისის განჩინება საქმეზე №ას-68-767-03;)

69. მხარეთა შორის სადავო საზოგადოების დირექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა საწარმოს ინტერესებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

– 2012 წლის 19 დეკემბრის №521 ბრძანებით მოსარჩელე დაინიშნა შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის თანამდებობაზე და იმავე წლის 20 დეკემბერს, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც პარტნიორსა და ლ. ჯ-ძეს, როგორც შპს „ნ. ქარხნის“ დირექტორს, შორის გაფორმდა სასამსახურო ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით. ამ ხელშეკრულებით პარტნიორი იღებდა ვალდებულებას უზრუნველყო დირექტორი სათანადო სამუშაო პირობებით, ხოლო დირექტორი – ვალდებულებას გაძლოდა საწარმოს კეთილსინდისიერად.

– ხელშეკრულების მე-7 მუხლით მხარეები შეთანხმდნენ, რომ პარტნიორი უფლებამოსილი იქნებოდა წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეენწყვიტა ხელშეკრულება და გაეთავისუფლებინა დირექტორი თანამდებობიდან.

– 2014 წლის 26 აგვისტოს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომი-

მიკის მინისტრის მიერ მიღებულ იქნა ბრძანება №18-504 შპს „ბ. ნ. ქარხნის“ 2013 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების, წესდების ახალი რედაქციით დამტკიცებისა და დირექტორის ცვლილების შესახებ. ბრძანებას საფუძვლად დაედო შპს „ბ. ნ. ქარხნაში“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის მიერ ჩატარებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული ანგარიში (2010 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდზე). ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული შპს „ბ. ნ. ქარხნის“ 2013 წლის 01 იანვრიდან – 2014 წლის 01 იანვრამდე პერიოდის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ლ. ჯ-ქეს შორის, 2012 წლის 20 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, შპს „ბ. ნ. ქარხნის“ დირექტორის მიერ 2013 სამეურნეო წელს განეული საქმიანობა ჩაითვალა არადამაკმაყოფილებლად საფინანსო და საანგარიშო დისციპლინის დაცვისა და სამეურნეო საქმიანობაში არსებული დარღვევა – ნაკლოვანებისათვის.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით თითქოს საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ უალტერნატივოდ გაიზიარა აუდიტის დასკვნაში მითითებული გარემოებები და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპრცესო კოდექსის შეჯიბრებითობის ფუძემდებლური პრინციპითა და ამავე კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასების წესიდან გამომდინარე, აუდიტის დასკვნა შეფასებულ იქნა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, რომლის საწინააღმდეგოდ კასატორმა სასამართლოს ვერ წარმოუდგინა სათანადო მტკიცებულებები, რაც გააქარწყლებდა სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებულ და სასამართლო სხდომაზე დამტკიცებული ყველა ფაქტს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თავად კასატორისადმი გაგზავნილი მიწერილობაც ადასტურებდა დირექტორსა და პარტნიორებს შორის არსებულ შეუთანხმებლობას (იხ., წინამდებარე განჩინების პ.35).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელს სადავო ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სწორად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

70. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზოგადოების დი-

რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება გამოიცემა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას შესაბამისი სახელმწიფო ორგანო გამოსცემს არა როგორც ადმინისტრაციული ორგანო მისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, არამედ, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი – სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი. შესაბამისად, სანარმოს დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტი (ბრძანება) თავისი არსით განეკუთვნება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიღებულ პარტნიორის გადაწყვეტილებას სასამსახურო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, შესაბამისად, სახეზეა კერძოსამართლებრივი და არა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

71. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინე-

ბა არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

72. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საწარმოს დირექტორის გათავისუფლების საფუძვლების შემოწმების სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, იხ., სუსგ №3კ/259-01, 30 მარტი, 2001 წელი.

73. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ლ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ლ. ჯ-ძეს უკან დაუბრუნდეს 2016 წლის 25 იანვარს №9150071 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (300 ლარი) 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ღირაქტორის კეთილსინდისიერება

განჩინება

№ას-306-291-2016

18 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა:

1. შპს „ო. პ-მა“ (შემდეგში: „მოსარჩელე“ ან „აპელანტი“ ან „კომპანია“) სარჩელი აღძრა ვ. ც-ის (შემდეგში: „თავდაპირველი მოპასუხე“ ან კასატორი) მიმართ 9 177.98 ლარის გადახდის მოთხოვნით.

II. მოპასუხის პოზიცია:

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება:

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4 610.63 ლარი.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:

4. გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ, ხოლო დაკმაყოფილების ნაწილში – თავდაპირველმა მოპასუხემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება.

6. მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე,

რომ 2010 წლის 26 ნოემბერს ა. ტ-მ, ე. ყ-მა და მოპასუხემ დააფუძნეს კომპანია, რომლის დირექტორად დაინიშნა მოპასუხე. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო მოპასუხის საცხოვრებელ უძრავი ქონების მისამართზე. კომპანიის დირექტორის ხელმოწერით 14.01.2012წ.-ს გამოცემულია ბრძანება №2 (ხელნაწერი) 2012 წლის 31 იანვრიდან კომპანიის რეგისტრაციის და ფაქტობრივ იურიდიული მისამართზე საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. ამავე ბრძანების თანახმად, 31 იანვრამდე უნდა მოხდეს საწარმოს ქონების სრულად გატანა შენობიდან და, ასევე, სარეალიზაციო ქსელიდან (მაღაზიებიდან) მოზრუნებული და საწყობში (მაცივრებში) არსებული ვადაგასული პროდუქციის აღწერა და ლიკვიდაცია.

7. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საწარმოს მისამართის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა ორგანიზაციის პარტნიორი და ამჟამინდელი დირექტორი ა. ტ-ძე.

8. დადგენილია, რომ 2012 წლის 5 აპრილს მოპასუხე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და უარი თქვა საწარმოში მის წილზე, ხოლო საწარმოს ბეჭდის გადაბარება მოხდა 2012 წლის 23 მარტს.

9. გადაწყვეტილებით დადგენილია და სადავო არ არის, რომ ორგანიზაციისათვის შეძენილი გაზეურა და ნამწვი აირების გამწვანოვი კონსტრუქცია ორგანიზაციის მისამართის შეცვლის შემდგომ წაიღო ორგანიზაციის პარტნიორმა და ამჟამინდელი დირექტორმა ა. ტ-მ.

10. დადგენილია, რომ ლაბორატორიულ ანალიზებში, სტანდარტებში, შესაბამისობის სერტიფიკატებში გადახდილია 2130 ლარი.

11. დადგენილია, რომ მზა პროდუქციის რეალიზაციის მიზნით საწარმომ დაამზადებინა 2 025.34 ლარის ღირებულების ეტიკეტები და სტიკერები.

12. მოპასუხემ 2011 წლის 12 სექტემბერს საზოგადოების სალაროდან გაიტანა 350 ლარი მაგიდების და პლასტმასების შესაძენად, ხოლო 2011 წლის 18 სექტემბერს გაიტანა 1630 ლარი მაცივრების შესაძენად. ამ ნივთების შეძენის დოკუმენტაცია მოპასუხეს საწარმოში არ წარუდგენია.

13. დადგენილია, რომ მოპასუხეს საწარმოდან რეკლამის მიზნით გატანილი აქვს 387.21 ლარის პროდუქცია, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები მას საწარმოში არ წარუდგენია.

14. დადგენილია, რომ მოპასუხის დირექტორობის პერიოდ-

ში სანარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ნაწილი ვადის გასვლისა და სხვა გარემოებების გამო განადგურდა.

15. საქმეში წარმოდგენილია ნოემბერ-დეკემბრის თვეში გამონერილი სასაქონლო ზედნადებები პროდუქციის მიწოდების შესახებ, რომელთა თანახმად, სარეალიზაციოდ გატანილია – 19.11.11 წლის №96 სასაქონლო ზედნადებით – 128.90 ლარის პროდუქცია; 20.11.11 წლის №97 სასაქონლო ზედნადებით – 169.70 ლარის პროდუქცია; 21.11.11 წლის №98 და №101 სასაქონლო ზედნადებებით შესაბამისად – ლარის და 101.95 ლარის პროდუქცია; 24.11.11 წლის №102 და №103 სასაქონლო ზედნადებებით შესაბამისად 63.65 ლარის და 138.22 ლარის პროდუქცია; 26.11.11 წლის №104 სასაქონლო ზედნადებით 112.45 ლარის პროდუქცია; 29.11.11 წლის №105 სასაქონლო ზედნადებით 84.10 ლარის და 01.12.11 წლის სასაქონლო ზედნადებით ლარის პროდუქცია. წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებში მითითებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ შეადგინა 989.47 ლარი.

16. არ იქნა გაზიარებული აპელანტის მითითება მასზე, რომ ფასწარმოქმნის შესახებ კომპანიის დირექტორის 25.11.2011წ. განკარგულების მე-5 პუნქტში საუბარია სანარმოს მიერ წარმოებულ 1968 ლარის პროდუქციაზე, რომელიც მითითებულია ამავე განკარგულების მე-4 პუნქტში და საერთო არ აქვს ისეთ პროდუქციასთან, როგორიცაა ხაში, სოკო, ჩაქაფული და ა.შ., რომელთა რაოდენობაც სასამართლომ მექანიკურად მიამატა პროდუქციის ღირებულებას, პალატამ მიუთითა, რომ ფასწარმოქმნის შესახებ კომპანიის დირექტორის 25.11.2011წ. განკარგულების მე-5 პუნქტით განსაზღვრულია არა მარტო ამავე განკარგულების მე-4 პუნქტში მოცემული პროდუქციის ღირებულება, არამედ სანარმოს მიერ სადავო პერიოდში წარმოებული პროდუქციის ჯამური ღირებულება, რაც ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, შეადგენს 1968 ლარს.

17. საქმეში წარმოდგენილია 2012 წლის 10 იანვრით დათარიღებული ხელწერილი ვალის შესახებ, სადაც მოპასუხე ადასტურებს, რომ სანარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის გარკვეული რაოდენობა გატანილი აქვს პირადი მოხმარებისთვის და სანარმოს მიმართ აქვს ვალი. აქვე მითითებულია, რომ რაოდენობის დათვლა მოხდებოდა მოგვიანებით. ვალის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებით მოსარჩელემ წარმოადგინა მოპასუხის მიერ ხელმოწერილი განკარგულება ფასწარმოქმნის შესახებ და სასაქონლო ზედნადებები. მოპასუხეს კი, აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოდ რაიმე მტკიცებულება,

რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მის მიერ საწარმოდან პირადი მოხმარების მიზნით გატანილი პროდუქციის ოდენობა და ღირებულება ნაკლებია, ვიდრე სარჩელში მითითებული, არ წარმოუდგენია. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს წარმოდგენილი ჰქონდა წერილობითი მტკიცებულებები წარმოებული პროდუქციის ოდენობისა და სარეალიზაციოდ გატანილი პროდუქციის ოდენობის შესახებ, მოპასუხის მხოლოდ ახსნა-განმარტება, რომელიც არ დასტურდებოდა სხვა რაიმე მტკიცებულებით, არასაკმარისად იქნა მიჩნეული მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობის გასაქარწყლებლად.

18. ამდენად, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში დამზადებული 1968 ლარის პროდუქციიდან სარეალიზაციოდ გავიდა 989.47 ლარის პროდუქცია, ხოლო 978.53 ლარის პროდუქცია მოპასუხემ გაიტანა პირადი მოხმარებისათვის.

19. 2012 წლის 24 იანვრის თარიღით შედგენილი ხელწერილით, რომლის თანახმად, მოპასუხემ აღიარა, რომ ფირმის საწყობიდან გაიტანა სხვადასხვა დასახელების პროდუქტები ჯერ 227 ლარის, ხოლო მოგვიანებით, 336.70 ლარის ღირებულების. აღნიშნული ხელწერილით მოპასუხე ადასტურებდა, რომ საწარმოს მიმართ გააჩნდა დავალიანება 563.70 ლარის ოდენობით. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მოპასუხის განმარტება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით უკვე მიღებული იყო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/12852-12, ასევე, ამ საქმეზე განხილული სარჩელით დადგენილ იქნა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ მოიცავს 2012 წლის 24 იანვრით დათარიღებული ხელწერილით აღიარებული 563.70 ლარის დავალიანების ნაწილს.

20. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1. მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე კანონის 9.6. მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: დირექტორები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ

მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმომოპილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

21. დადგენილია, რომ 1968 ლარის პროდუქციიდან სარეალიზაციოდ გატანილია 989.45 ლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო დარჩენილი 978.53 ლარის ღირებულების პროდუქცია მოპასუხეს პირადი მოხმარების მიზნით აქვს გატანილი. შესაბამისად, თავდაპირველ მოპასუხეს წარმოეშვა პირადი მოხმარების მიზნით გატანილი პროდუქციის ღირებულების გადახდის ვალდებულება, ვინაიდან შესაბამისი ანაზღაურების გადახდის გარეშე პროდუქციის გატანით მან მიიღო ქონებრივი სარგებელი.

22. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხეს არ დაუბრუნებია მის მიერ 2012 წლის 10 იანვარს გატანილი 227 ლარი და 24 იანვარს გატანილი 336.70 ლარი. ჯამში მოპასუხეს გატანილი აქვს 563.70 ლარი. ამ შემთხვევაშიც სახეზეა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება ვინაიდან სანარმოოდან გატანილი თანხით მან უსაფუძვლოდ მიიღო ქონებრივი სარგებელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნა 563.70 ლარის და 978.43 ლარის დაკისრების ნაწილში საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

23. გაზქურისა და აირების გამწვავი კონსტრუქციის 1 620 ლარის ოდენობით ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება დასაბუთებულად იქნა მიჩნეული, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ იყო რომ აღნიშნული მოწყობილობა ორგანიზაციის მისამართის შეცვლის შემდგომ წაიღო საზოგადოების პარტნიორმა და ამჟამინდელმა დირექტორმა ა. ტ-მ.

24. ვინაიდან დადგენილ იქნა, რომ ა. ტ-მ და მოპასუხემ ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება სანარმოს ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ, ლაბორატორიულ ანალიზებში, სერტიფიკატებში, ეტიკეტებსა და სტიკერებში გადახდილი თანხა საერთო ჯამში $2130 + 2025.34 = 4155.34$ ლარის ოდენობით, სანარმოს აუცილებელი ფუნქციონირებისათვის განუვალ ხარჯად იქნა მიჩნეული, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა ზიანი ანგარიშში. და იგი ვერ ჩაითვლება მოპასუხის მიერ სანარმოსათვის მიყენებულ ზიანად. მითითებული თანხა სანარმოს მისამართის შეცვლის გამო მიჩნეულ იქნა სამეწარმეო პროცესში სანარმოსათვის დამდგარ ზარალად და განაწილდა ა. ტ-სა და მოპასუხეს შორის.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“

ექვეპუნქტით, რომლის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი. ეს არ ეხება იმ სარეკლამო საქონლის უსასყიდლოდ გავრცელებას, მათ შორის, საცალო რეალიზატორის მეშვეობით, რომელსაც დამოუკიდებელი სამომხმარებლო მახასიათებლები არ გააჩნია და ძირითადი საქონლის/მომსახურების მიწოდების განუყოფელი ნაწილია. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვეითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვეითვას არ ექვემდებარება. მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა ხარჯი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.

ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეზიდენტი სანარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვეითების თანხებს შორის. ამავე კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით, სანარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

25. დადგენილია ის გარემოება, რომ მოპასუხემ, საზოგადოების დორექტორობის პერიოდში, საზოგადოების სალაროდან გაიტანა 350 ლარი მაგიდების და 1630 ლარი მაცივრების შესაძენად. ამ ნივთების შეძენის დოკუმენტაცია კი სანარმოში არ წარუდგენია. ვინაიდან სანარმოს არ გააჩნდა დოკუმენტალური დადასტურება ინვენტარის (მაგიდების და მაცივრების) შესაძენად განუღებ ხარჯზე, სანარმომ ამ თანხების მხოლოდ 75%-ის ჩვენება შეძლო ხარჯში, ხოლო 25%, რაც შეადგენს 495 ლარს, დაემატა სანარმოს მოგებას და დაიბეგრა მოგების გადასახადით ანუ, 74.25 ლარით. შესაბამისად აღნიშნული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნა საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

26. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხეს სანარმოდან გატანილი აქვს 387.21 ლარის პროდუქცია, მისი განმარტებით რეკლამის მიზნით, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები მას არ წარუდგენია. შესაბამისად, აღნიშნული თანხა

ჩაითვალა მიწოდებად და დაიბეგრა მოგების გადასახადით. ამდენად, საწარმოს მოთხოვნა მოპასუხისათვის 387.21 ლარისა და 34.37 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანად იქნა მიჩნეული, ვინაიდან დოკუმენტაციის არ არსებობის გამო, ორგანიზაციამ გაცემული პროდუქტის ხარჯში ჩვენება ვერ შეძლო. მოპასუხე ვალდებულია საწარმოს აუნაზღაუროს აღნიშნული ზიანი, რადგან იგი წარმოადგენდა რა საწარმოს დირექტორს ვალდებული იყო ეზრუნა სათანადო დოკუმენტაციის შედგენაზე, რათა აერიდებინა საწარმო დამატებითი გადასახადების გადახდისაგან.

სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის დირექტორობის პერიოდში გაწეული 1 848 ლარის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის გამო გადახდილი მოგების 277.20 ლარი დაკისრების ნაწილში, დაუსაბუთებელად იქნა მიჩნეული.

ამასთან, ვინაიდან მოპასუხე დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2012 წლის 5 აპრილს, მიჩნეული იქნა, რომ არ არსებობდა გათავისუფლების შემდგომ პერიოდში, 2013 წლის პირველი აპრილიდან 2014 წლის 4 ივნისამდე დარიცხული საურავის 202.96 ლარის გადახდის დაკისრების საფუძველიც.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

17. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა თავდაპირველმა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება თავდაპირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საჩივლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

18. კასატორის მოსაზრებით, საკასაციო ინსტანციამ დასაბუთებულ პრეტენზიად უნდა მიიჩნიოს პრეტენზია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ:

მოპასუხეს საწარმოში არ წარუდგენია რეკლამის მიზნით პროდუქციის გატანის დამადასტურებელი დოკუმენტები – განჩინების 4.8 პუნქტი;

2012 წლის 10 იანვრით დათარიღებული ვალის შესახებ ხელწერილის თანახმად მოპასუხემ აღიარა ვალი და რომ ამ დოკუმენტით დადასტურებულია მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა – განჩინების 4.10 პუნქტი;

საწარმოს მოპასუხის კუთვნილ ფართში საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში მოპასუხესთან ერთად მონაწილეობდა აგრეთვე ორგანიზაციის პარტნიორი და ამჟამინდელი დირექტორი განჩინების 4.2 პუნქტი.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები არასწორად არის დადგენილი და ასეთ არასწორ ფაქტობრივ მონაცემს არ შეიძლება არ ემოქმედა სააპელაციო პალატის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე.

ამასთანავე, სააპელაციო პალატა სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში, გადაწყვეტილების 4.12-ე პუნქტში სწორად მიუთითებს რა, რომ „ლაბორატორიულ ანალიზებში, სერტიფიკატებში, ეტიკეტებსა და სტიკერებში გადახდილი თანხა საერთო ჯამში $2130+2025.34=4155.34$ ლარის ოდენობით განეულია საწარმოს აუცილებელი ფუნქციონირებისათვის და იგი ვერ ჩაითვლება მოპასუხის მიერ საწარმოსათვის მიყენებულ ზიანად“ – იხ. გადაწყვეტილების მე-20 გვერდის მეორე აბზაცი, მითითებულ თანხას ანაწილებს 2 პარტნიორზე – მოპასუხესა და ა. ტ-ზე, მაშინ როდესაც, როგორც სააპელაციო საჩივარში იყო აღნიშნული და სააპელაციო პალატამ მოპასუხის არგუმენტის არ უპასუხა, რომ გადაწყვეტილება საწარმოს ჩემი მარწმუნებლის კუთვნილ ფართში ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ მოპასუხეს არ მიუღია და ასეთი გადაწყვეტილება უშუალოდ ა. ტ-მ მიიღო, რომლის მითითებით, ბრძანების ტექსტი დაწერილი იქნა მისი შვილის მიერ და მოპასუხე ფაქტის წინაშე იქნა დაყენებული. სააპელაციო საჩივარში აღნიშნული იყო ისიც, რომ საქმის მასალების თანახმად, ა. ტ-ს ასეთი განზრახვა 2012 წლის 14 იანვრამდე, ანუ ბრძანების წერილობითი სახით გაფორმებამდე გააჩნდა, გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ არც იმ პრეტენზიას გასცა პასუხი, რომ მოპასუხე 2012 წლიდან აღარ წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორს, მისი წილი მთლიანად გადაფორმდა ა. ტ-ზე. ამასთან, მისი უშუალო ინიციატივის შედეგად (საწარმოს მიერ ბიზნეს-საქმიანობის მეტ-ნაკლებად აწყობის შემდეგ მას გაუჩნდა სურვილი ეს ბიზნესი ეწარმოებინა მოპასუხისაგან დამოუკიდებლად). აღნიშნულიდან გამომდინარე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, საზოგადოების ზარალი წარმოადგენს პარტნიორების გადასახდელს მათი წილის შესაბამისად მოპასუხის წილი ამ საზოგადოებაში 2012 წლიდან აღარ აქვს და საზოგადოების ზარალზე მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება ძირეულად ეწინააღმდეგება მითითებულ სამართლებრივ ნორმას, როდესაც აღიარებს, რომ ეს თანხა არ არის ზიანი). თუ სააპელაციო პალატის მიერ მითითებული თანხა არ წარმოადგენს ზიანის მიყენების შედეგად წარმოქმნილ თანხას და განხილული უნდა იქნეს ზარალის მიმართებით, მაშინ, საერთოდ გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს ლოგიკა ამ თანხის 1/2 ნაწილის მო-

პასუხზე დაკისრების შესახებ მაშინ როდესაც მისი წილი გარეშე პირზე არ ყოფილა გასხვისებული, მისი წილი უდიდესი სიამოვნებით და წინასწარ დაგეგმილი სცენარის შედეგად უშუალოდ ა. ტ-მ გადაიფორმა 2012 წელსვე და არც ლოგიკიდან და არც ჩემს მიერ მითითებული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ზარალი არარსებულ პარტნიორზე მიექცეს, თანაც ისეთი არითმეტიკული მოქმედებით, რაც არ შეესაბამება სამენარმეო რეესტრში დაფიქსირებულ ფაქტობრივ მონაცემს პარტნიორთა რაოდენობრივი მონაცემის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ თუ პარტნიორ ვ. ც-ეს საზოგადოების ზარალზე კანონით დადგენილი დანაწესის მიხედვით უნდა ეგო პასუხი, ეს პასუხისმგებლობა გადავიდა მის ჩამნაცვლებელ პარტნიორზე, რომელსაც ცხადია არანაირი საფუძველი არ გააჩნია ბრძანოს, რომ მისთვის უცხო იყო ასეთი თანხის არსებობის თაობაზე, რადგანაც თუნდაც ის, რომ მას გარკვეული მონაწილეობა აქვს მიღებული (თუ მთლიანი არა) საწარმოს მოპასუხის კუთვნილ ფართში ფუნქციონირების შეწყვეტაში, საწარმოს სხვა მისამართზე გადანაცვლების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ 2012 წლის 14 იანვრიდანვე გააჩნია და მან, საკუთარი ნებით მიიღო ის წილობრივი პასუხისმგებლობა, რაც მოდიოდა მოპასუხის კუთვნილ წილზე.

ასევე, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატა საერთოდ არ მსჯელობს მოპასუხის სააპელაციო საჩივრის იმ პრეტენზიაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხეს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია საწარმოს მის კუთვნილ ფართში ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატის განჩინება ამ ნაწილში, ისევე როგორც დანარჩენი სააპელაციო პრეტენზიების ნაწილში პასუხგაუცემელია, რაც სწორედაც ასეთი გადანაცვლების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. სააპელაციო სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლა მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ „ეს ფაქტობრივი გარემოება კომპანიის სააპელაციო საჩივრით შედავებული არ არის“ იხ. გადანაცვლების 4.2 პუნქტის ბოლო აზნაცი (ასეთი შედავება მოპასუხეს გააჩნდა, რაც სააპელაციო პალატის მიერ პასუხგაუცემელია).

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის განჩინებით საკასაციო

საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შეესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

20. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი სადავოდ ხდის მისთვის 4,610.63 ლარის დაკისრების მართლზომიერებას. სადავო თანხის დაკისრების ფაქტობრივ საფუძველს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით წარმოადგენს დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ 2011 წლის ნოემბერ-დეკემბერში დამზადებული 1968 ლარის პროდუქციიდან სარეალიზაციოდ გავიდა 989.47 ლარის პროდუქცია, ხოლო 978.53 ლარის პროდუქცია მოპასუხემ გაიტანა პირადი მოხმარებისათვის. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს წარმოდგენილი აქვს წერილობითი მტკიცებულებები წარმოებული პროდუქციის ოდენობისა და სარეალიზაციოდ გატანილი პროდუქციის ოდენობის შესახებ, კასატორის მხოლოდ ახსნა-განმარტება ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ საკმარის და უტყუარ მტკიცებულებად ვერ შეფასდება.

ასევე, საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 24 იანვრის თარიღით შედგენილი ხელწერილით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ კასატორს მოსარჩელის მიმართ აღიარებული აქვს ფირმის საწყობიდან თავდაპირველად, 227 ლარის, მოგვიანებით, 336.70 ლარის ღირებულების სსხვადასხვა დასახელების პროდუქტების გატანა. ამ ხელწერილით საწარმოს მიმართ დავალიანების არსებობა 563.70 ლარის ოდენობით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომლის საწინააღმდეგოდ, დასაბუთებულ არგუმენტს კასატორი ვერ მიუთითებს.

დადგენილია, რომ მოპასუხეს საწარმოდან გატანილი აქვს 387.21 ლარის პროდუქცია, აღნიშნული თანხა ჩაითვალა მიწოდებად და დაიბეგრა მოგების გადასახადით. ამდენად, კასატორისათვის 387.21 ლარისა და 34.37 ლარის დაკისრების თაობაზე საფუძველიანია, ვინაიდან დოკუმენტაციის არ არსებობის გამო ორგანიზაციამ გაცემული პროდუქტის ხარჯში ჩვენება ვერ შეძლო.

ასევე დადგენილია ის გარემოება, რომ მოპასუხემ, საზოგადოების დორექტორობის პერიოდში, საზოგადოების სალაროდან გაიტანა 350 ლარი მაგიდების და 1630 ლარი მაცივრების შესაძენად. ამ ნივთების შეძენის დოკუმენტაცია კი საწარმოში არ წარუდგენია. ვინაიდან საწარმოს არ გააჩნდა დოკუმენტა-

ლური დადასტურება ინვენტარის (მაგიდების და მაცივრების) შესაძენედ განუულ ხარჯზე, საწარმომ ამ თანხების მხოლოდ 75%-ის ჩვენება შეძლო ხარჯში, ხოლო 25%, რაც შეადგენს 495 ლარს, დაემატა საწარმოს მოგებას და დაიბეგრა მოგების გადასახადით ანუ 74.25 ლარით. შესაბამისად აღნიშნული თანხის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნა საფუძვლიანად იქნა მიჩნეული.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად მოპასუხეს სწორად დაეკისრა სადავო თანხის გადახდა.

26. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

42. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ

არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ფულადი ვალდებულების წარმოშობის საკითხებთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა.

43. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ც-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორს – ვ. ც-ეს დაუბრუნდეს (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სახელმწიფო ბაჟის სახით 2016 წლის 07 აპრილის №... საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. პარტნიორთა საერთო კრება პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა

განცხადება

№ას-819-770-2015

4 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

II. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები:

1. პ. ნ.-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე, შპს „ი-ის“ მიმართ და მოითხოვა შპს „ი-ის“ პარტნიორთა 2014 წლის 15 თებერვლის №2 კრების ოქმის ბათილად ცნობა.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ პ. ნ.-ე წარმოადგენს შპს „ი-ის“ დამფუძნებელ და სანარმოს კაპიტალის 49%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. 2014 წლის ივლისის თვეში მისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს პარტნიორთა 2014 წლის 15 თებერვლის კრებაზე, რომელსაც იგი არ დასწრებია და მისთვის არც კრების ჩატარების თაობაზე ყოფილა ცნობილი, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც პ. ნ.-ეს დაევალა ახალი სანარმოს დაფუძნება და მასზე 2014 წლის 10 მარტამდე 49%-ის შესაბამისი „ს-ს“ აქტივებისა და არსებული უძრავ-მოძრავი ქონების მატერიალური ფასეულობების გადატანა იმავე წლის 15 თებერვლის საბალანსო მდგომარეობით. კრების გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრა სრული მატერიალური და ფინანსური პასუხისმგებლობა.

III. მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

4. მოპასუხის განმარტებით, ვინაიდან პარტნიორები ვერ თანხმდებოდნენ სამომავლო ბიზნეს სტრატეგიაზე და გეგმებზე 2013 წლის დეკემბერში შეთანხმდნენ, რომ 2014 წლის 15 თებერვლიდან გაეყოთ საზოგადოების ქონება და საქმიანობა. მოპასუხის მითითებით, პ. ნ.-ე „ს-ს“ ბრენდის მიმართულების ბიზნესს მართავდა შეუზღუდავად. პ. ნ.-ე 2014 წლის 15 თებერ-

ვლის კრებას არ დასწრებია, მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა სადავო კრების ოქმი, სახეზეა მხარეთა მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მიმართული იყო კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

IV. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება:

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით პ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი შპს „ი-ის“ პარტნიორთა 2014 წლის 15 თებერვლის კრების №2 ოქმი.

6. მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ი-ი“ რეგისტრირებული იყო სამენარმეო რეესტრში 2003 წლის 02 სექტემბერს, საიდენტიფიკაციო კოდით ...

2014 წლის 25 აპრილს მომზადებული ამონაწერის მიხედვით, საზოგადოების პარტნიორები იყვნენ: პ. ნ-ე – 49%, თ. ჭ-ა – 49% და ი. ო-ე – 2%. 2014 წლის 13 მაისს მომზადებული ამონაწერის მიხედვით პარტნიორები იყვნენ: პ. ნ-ე – 49%, თ. ჭ-ა – 49%, ქ. რ-ე – 2%.

ამჟამად, საზოგადოების პარტნიორებს წარმოადგენდნენ: პ. ნ-ე – 49% და თ. ჭ-ა – 51%. წარმომადგენლობის უფლებამოსილება ჰქონდა დირექტორს – თ. ჭ-ს.

7. შპს „ი-ის“ პარტნიორთა 2014 წლის 15 თებერვლის კრების ოქმის მიხედვით, პარტნიორების – თ. ჭ-ს, პ. ნ-ის და ი. ო-ის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების „ს-ს“ მიმართულების მართვის უფლებამოსილების პ. ნ-ისათვის მინიჭების და მასთან დაკავშირებული იურიდიული და ფინანსური ღონისძიებების გატარების შესახებ. პ. ნ-ეს დაევალა ახალი კომპანიის დაფუძნება და 49%-ის შესაბამისი „ს-ს“ აქტივების და უძრავ-მოძრავი მატერიალური ფასეულობის ახალ კომპანიაზე გადატანა 2014 წლის 15 თებერვლის საბალანსო მდგომარეობის მიხედვით. აღნიშნული საკითხების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სრული მატერიალური და ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრა პ. ნ-ეს.

8. მონმე თ. მ-ს ჩვენებით, რომელიც მუშაობს შპს „ი-ში“, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საზოგადოება იურიდიულად გაცოფილი არ ყოფილა, მაგრამ, რეალურად მიმდინარეობდა მუშაობა საწარმოში ორი მიმართულებით. 2014 წლის 15 თებერვლამდე, ორი სამი დღით ადრე, ზუსტი რიცხვი არ ახსოვს, საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ თანამშრომლები თათბირ-

ზე, იყო ორი პარტნიორი – თ. ჭ-ა და პ. ნ-ე და საუბარი იყო გაყოფის კონკრეტულ დეტალებთან დაკავშირებით. ყველა თანამშრომელმა იცოდა, რომ საზოგადოება იყო გაყოფილი და „ს-ს“ მიმართულებას ხელმძღვანელობდა პ. ნ-ე. ითქვა, რომ უნდა ჩატარებულიყო პარტნიორთა კრება და საწარმოს გაყოფას მისცემოდა ოფიციალური სახე. თათბირზე გაცხადებული არ ყოფილა პარტნიორთა კრების ჩატარების თარიღი და ჩატარდა თუ არა კრება მისთვის უცნობია (იხ. სასამართლო სხდომის 18.02.2015წ. ოქმი).

9. მონმე ზ. მ-ს ჩვენებით, რომელიც მუშაობს შპს „ი-ში“, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2014 წლის 11 თებერვალს თანამშრომელთა თათბირზე, რომელსაც ესწრებოდა თ. ჭ-ა და პ. ნ-ე, გაცხადდა, რომ საწარმო უნდა გაყოფილიყო და იყო მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით. გაიყო საწარმოს საწყობებიც, თანამშრომლებიც, თანამშრომელთა ნაწილს ხელფასი ერიცხებოდა „ს-ს“ ანგარიშიდან, ნაწილს – „ტ-ის“ ანგარიშიდან, ხოლო თანამშრომელთა ნაწილს, რომელიც არ იყო გამიჯნული, ერიცხებოდა ორივე ანგარიშიდან. თათბირზე გაცხადდა, რომ პარტნიორთა კრება უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ კონკრეტული თარიღი არ იყო ნათქვამი. მონმის მითითებით მან თანამშრომლისგან გაიგო, რომ 2014 წლის 15 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო კრება. შედგა თუ არა პარტნიორთა კრება და ვინ ესწრებოდა, მისთვის უცნობია, ვინაიდან არ არის საწარმოს პარტნიორი და კრებას არ დასწრებია (იხ. სასამართლო სხდომის 18.02.2015წ. ოქმი).

10. მხარეთა განმარტებით, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ პ. ნ-ე შპს „ი-ის“ 2014 წლის 15 თებერვლის კრებას არ დასწრებია. მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ პ. ნ-ე გაფრთხილებული იყო კრების მოწვევის შესახებ და დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ არც კრების ოქმი გადასცემია პ. ნ-ეს. თავად მოსარჩელის განმარტებით, კრების ოქმის შესახებ ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე სხვა დავის განხილვის დროს. შპს „ი-ის“ დირექტორის განმარტებით კრების ოქმი იყო საწარმოს კანცელარიაში, სადაც პ. ნ-ეს შეეძლო მისი გაცნობა.

V. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

11. გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში, სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს „ი-მა“ და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

VI. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება.

13. მოცემული საქმის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ამჟამად, შპს „ი-ის“ პარტნიორები არიან: პ. ნ-ე – 49% და თ. ჭ-ა – 51%. საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება აქვს დირექტორს – თ. ჭ-ს.

14. 2014 წლის 15 თებერვლის დამფუძნებელ-პარტნიორთა №2 კრების ოქმით დირექტორის მოადგილე პ. ნ-ეს 2014 წლის 15 თებერვლიდან მიენიჭა შპს „ი-ის“ „ს-ს“ მიმართულების მართვის სრული უფლებამოსილება. მოხდა „ს-ს“ მიმართულების საბანკო ანგარიშებზე ცალკე საბანკო კოდის მინიჭება. მიენიჭა უფლებამოსილება პ. ნ-ეს „ს-ს“ მიმართულების ანგარიშებზე არსებულ აქტივებზე სრული წვდომისა და საჭიროებისამებრ მათი განკარგვის. მოხდა „ს-ს“ მიმართულების სალაროს შექმნა. დაეველა პ. ნ-ეს უზრუნველყო 2014 წლის 5 მარტამდე ახალი კომპანიის დაფუძნება, ასევე, 2014 წლის 10 მარტამდე მოეხდინა 49%-ის შესაბამისი „ს-ს“ აქტივებისა და არსებული უძრავ-მოძრავი მატერიალური ფასეულობების ახალ კომპანიაზე გადატანა მ/წლის 15 თებერვლის საბალანსო მდგომარეობის მიხედვით (ყველა შემოსავალი თუ ხარჯი დაანგარიშებული იქნებოდა 15 თებერვლის მდგომარეობით). ამ პუნქტში (მე-5 პუნქტი) აღნიშნული საკითხების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სრული მატერიალური და ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრა პ. ნ-ეს. განხორციელდა საკადრო ცვლილებები, გაუფორმდა „ს-ს“ მიმართულების თანამშრომლებს ახალი შრომითი ხელშეკრულებები და მათზე ხელმოწერის უფლება მიენიჭა პ. ნ-ეს. 15 თებერვლამდე კომპანიის მუშაობის შედეგად დამდგარ შედეგებზე სამართალმემკვიდრედ ითვლება ორივე კომპანია. ამასთანავე, საგარანტიო (მომხმარებელზე და კლიენტებზე გაცემული საგარანტიო პირობების გამო წარმოქმნილ ვალდებულებებზე) პასუხისმგებლობა თანაბარწილად დაეკისრა ორივე კომპანიას. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე კომპანიებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გასანევი ხარჯებისა და სხვა

მემკვიდრეობის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ კრებაზე მიღებულ იქნა იურიდიული შედეგის მქონე გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პარტნიორ პ. ნ-ეს ჰქონდა აღნიშნული კრების ოქმის გასაჩივრების იურიდიული ინტერესი. შესაბამისად, უნდა გამოკვლეულიყო 15.02.2014წ. კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურის დაცვის საკითხები.

15. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის პირველი პუნქტით, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში, დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებათა შეტანა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი კრების მოწვევის ჩატარების პროცედურის განსაზღვრისას უთითებდა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების აუცილებლობაზე, ანუ მოწვევის ნება უნდა მისვლოდა პარტნიორს და კრების ორგანიზატორი უნდა დარწმუნდებულიყო ამაში. შპს „ი-ის“ 15.02.2014წ.-ის პარტნიორთა კრებაზე 49%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი – პ. ნ-ე არ იყო მიწვეული კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ისეთ პირობებში, როცა პარტნიორი უარყოფდა იმ გარემოებას, რომ მისთვის ცნობილი იყო კრების ჩატარების თარიღის შესახებ; საქმეში კი არ მოიპოვებოდა გზავნილის მისთვის ჩაბარების დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება, მხოლოდ მოპასუხის განმარტებები მასზედ, რომ 2014 წლის 15 თებერვლამდე მხარეებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საწარმოს გაყოფასთან დაკავშირებით და რეალურად პ. ნ-ე მართავდა „ს-ს“ ბრენდის მიმართულების ბიზნესს, ამასთან, პ. ნ-ისათვის ზეპირი ფორმით ცნობილი იყო კრების ჩატარების თარიღის შესახებ, არ წარმოადგენდა საკმარისი გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა პ. ნ-ის მოწვევის ფაქტი ანუ, არ დგინდებოდა კრების ჩატარება კანონით დადგენილი წესით.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე აღძრული სარჩელი წარმოადგენს აღიარებითი ხასიათის სარჩელს, რომლის განხილვა-გადაწყვეტისათვის აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული იურიდიული ინტერესის არსებობა სასამართლო გადაწყვეტილებით ასეთ აღიარებასთან მიმართებაში. სახელდობრ, ზემოხსენებული ნორმის დანაწესის შესაბამისად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა – არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი, ამასთან, იგი აუცილებლად მიღწევადი უნდა იყოს.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის აუცილებელი წინაპირობებია: მხარეთა შორის დავა უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე; მოპასუხე უნდა ეცილებოდეს მოსარჩელეს უფლებაში, ასეთი დავა უნდა ქმნიდეს უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ამ გადანყვეტილებას გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის; მართალია, ზემოხსენებულ გარემოებებზე კანონში უშუალოდ არ არის მითითებული, მაგრამ სასამართლო განმარტავს, რომ ასეთი გამომდინარეობს აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ პ. ნ-ეს სადავო კრების გადანყვეტილებით დაეკისრა კრების მიერ განსაზღვრულ ვადაში გარკვეული ვალდებულებების შესრულება, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი დაეკისრა სრული მატერიალური და ფინანსური პა-

სუხისმგებლობა. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ პ. ნ-ეს გააჩნდა შპს „ი-ის“ 15.02.2014წ.-ის დამფუძნებელ-პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის იურიდიული ინტერესი.

17. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პარტნიორთა კრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა. შესაბამისად, კანონი დეტალურად არეგულირებს მისი მოწვევის წესსა და ვადას.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის პირველი პუნქტით, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებათა შეტანა. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება (გამოცხადდებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პარტნიორთა კრების მოწვევის პროცედურის მოწესრიგება ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რომ მოხდეს პარტნიორთა მიერ თავიანთი უფლების კრებაზე რეალიზების უზრუნველყოფა და იმდაგვარად იქნეს განხორციელებული პარტნიორთა კრების მოწვევის ორგანიზაცია, რომ პარტნიორს არ წაერთვას კრების მუშაობაში

მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. პარტნიორებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მოემზადონ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „ი-ის“ 15.02.2014წ.-ის დამფუძნებელ-პარტნიორთა კრებაზე 49%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი პ. ნ-ე არ ყოფილა მოწვეული კანონით დადგენილი წესით, რის გამოც შპს „ი-ის“ მხრიდან დაირღვა პარტნიორთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ პარტნიორის უფლება. ზემოაღნიშნულმა პროცედურულმა დარღვევამ და პ. ნ-ის გარეშე პარტნიორთა კრების ჩატარებამ, თავის მხრივ, განაპირობა პ. ნ-ის როგორც საზოგადოების პარტნიორის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, რაც გულისხმობს საწარმოს პარტნიორების მიერ მმართველობით უფლებამოსილებას განხორციელებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო შპს „ი-ის“ 15.02.2014წ.-ის დამფუძნებელ-პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის საფუძველი, რის გამოც, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველები.

VII. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძველები

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ი-მა“ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

19. კასატორი სადავოდ ხდის მოცემულ საქმეში მოპასუხის სათანადოობის საკითხს და აღნიშნავს, რომ კრების ოქმი მიღებულია შპს-ს პარტნიორების მიერ და არა კომპანიის სახელით. საერთო კრების გადაწყვეტილების მიღება არ წარმოადგენს კომპანიის კომპეტენციასა და საქმიანობას.

20. კასატორი ეჭვქვეშ აყენებს იურიდიული ინტერესის არსებობასაც და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული კრების ოქმით არ მომხდარა პარტნიორისათვის ვალდებულების დაკისრება, ხოლო სასამართლოს მიერ ბათილად ცნობის მიზნები ბუნდოვანია და სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს მოსარჩელის, მოპასუხის ან და სხვა პარტნიორთა მიმართ.

21. კასატორს კრების ოქმის ბათილობა მიზანშეუწონლად მიაჩნია მისი შინაარსის გამო. მისი მოსაზრებით, კრების ოქმი არ მიეკუთვნება კლასიკური ტიპის ოქმს, რომლითაც წყდება სავალდებულოდ შესასრულებელი ქმედება ან შედეგი; ოქმით არ გადაწყვეტილა საკითხი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, რედომიცილების, კაპიტალის შემცირების, წილების/მოგების გა-

დანაწილებაზე და ა.შ..

კასატორის აღნიშნავს, რომ პარტნიორებს შორის მიმდინარეობდა შეთანხმება გაყოფასთან დაკავშირებით, რასაც არ უარყოფს მონინალმდეგე მხარეც. კრების ოქმით კი გაფორმდა მათი შემდგომი ურთიერთობის დარეგულირებაზე თანხმობა.

პარტნიორები შეთანხმდნენ გაყოფასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გზებზე, რომლის დასტურია პ. ნ-ის საკუთარი ხელით შედგენილი გაყოფის გეგმა (რაც წარმოდგენილია საქმეში), რომელიც არათუ განსხვავდება კრების ოქმისაგან, არამედ შინაარსობრივად, სტრუქტურულად ემთხვევა და წარმოადგენს კრების ოქმს/პარტნიორის გადაწყვეტილებას, რომელსაც თავადვე ასაჩივრებს.

კრების ოქმის ბათილობის ერთ-ერთი საფუძველია პ. ნ-ის ზეპირი განცხადება კრებაზე დაუსწრებლობის, კრების ოქმის არ გადაცემის, 2014 წლის 15 თებერვლის კრების მოწვევის ინფორმაციის შეუტყობინებლობა დადგენილი წესის შესახებ, რაც არცერთი ნივთიერი მტკიცებულებით არ არის გამყარებული. კასატორის მოსაზრებით, არასწორია რომ თ. ჭ-ს მითითებით კრების ოქმი ინახებოდა კანცელარიაში და ნ-ეს შეეძლო მისი ნახვა – ინტერტექნიკოსი თ. ჭ- უთითებდა, რომ ნ-ემ (როგორც კრების მოწვევამდე, ისე მას შემდეგ) იცოდა კრების თაობაზე, იცნობდა კრების ოქმს. აღნიშნულს ამტკიცებს ფაქტი, რომ მონმეთა განცხადებითა და თავად პ. ნ-ის დადასტურებით მიმდინარეობდა პარტნიორთა მოლაპარაკებები გაყოფის თაობაზე; ნ-ე ამავდროულად იყო დირექტორის მოადგილე ტექნიკურ დარგში და ყოველდღიურად იმყოფებოდა ოფისში, და თუ სხვა თანამშრომლება იცოდნენ კრების თაობაზე, ნ-ე არ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი.

კასატორის მითითებით, პარტნიორებმა განუცხადეს თანამშრომლებს, რომ კომპანია იყოფოდა მიღწეული გადაწყვეტილების საფუძველზე. თანამშრომელთათვის 15 თებერვლის კრების შესახებ ინფორმაცია ცნობილი იყო, რადგან აღნიშნული საჯაროდ ვაცხადდა, კრების ოქმი კანცელარიაში იყო სადაც ნახვა თავისუფლად შეეძლო.

22. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს არ გაუთვალისწინებია შემდეგი:

– კომპანიის 2014 წლის 14 თებერვლის ბრძანება და მინდობილობა, რომლითაც პ. ნ-ეს მიენიჭა სრული უფლებამოსილება ს-ს მიმართულების დამოუკიდებელ მართვაზე, მათ შორის, ახალ სალარო და განცალკევებულ ანგარიშებზე;

– პ. ნ-ის მიერ საკუთარი ხელფასის გაზრდის გადაწყვეტი-

ლება, ს-ს ბრენის შრომითი ურთიერთობების დამოუკიდებლად რეგულირება;

– საწყობის გაყოფა ს-ს და ტ-ის მიმართულებით;
– ს-ს ანგარიშზე იმ თანხის – 107 000 ლარის (ევროს ექვივალენტი. დანართის შესაბამისად) გადარიცხვა, რომლითაც გასწორდა სხვაობა ტ-ისა და ს-ს ანგარიშის ნაშთებს შორის.

– მენარმეთა შესახებ კანონის მე-9¹ მუხლის თანახმად, პარტნიორთა კრების მოწვევა შესაძლებელია როგორც ზეპირი განცხადებით, ისე მოწვევის პირადად გადაცემით; კანონი არ ავალდებულებს პირს კრების მოწვევის წერილობით გადაცემას. ფაქტი, რომ ნ-ემ იცოდა კრების შესახებ დასტურდება როგორც წერილობითი დოკუმენტების ლოგიკური ანალიზის, ასევე სხდომაზე მოწმეთა ჩვენების შედეგად. მე-8 ნაწილის შესაბამისად კი, კრების მოწვევა სავალდებულო არაა, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს, რაც კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადწყვეტილებად.

საზოგადოების წესდების 10.11 მუხლის მიხედვით, გადწყვეტილების მიღება შესაძლებელია კრების მოწვევის გარეშეც, თუ მას მხარს დაუჭერს ხმების უმრავლესობა.

23. კასატორის მოსაზრებით, სასამართლო გადწყვეტილება სცდება მოსარჩელისა და მოპასუხის სადაოდ ქცეულ გარემოებებს – სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, შესაბამისად სადაო კრების ოქმი სრულად იქნა ბათილად ცნობილი მაშინ, როდესაც მოსარჩელე თავად არ ხდიდა კრების ოქმის სხვა საკითხებს ასეთად (კერძოდ 1, 2, 3, 4, 6 და 7). გაუგებარია საფუძველი, რითაც მოსარჩელისა და მოპასუხის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მოხდა ოქმის სრულად ბათილობა და განხორციელდა შესაბამისი ქმედებები: ბრძანების გაცემა ფაქტობრივად მოხდა 14 თებერვალს, მინდობილობის გაცემა 15 თებერვალს, სალაროს განცალკევება, ანგარიშის ს-სათვის გახსნა (რომელსაც მხოლოდ ნ-ე მართავდა), ს-ს მიმართულებით შრომითი ურთიერთობების ნ-ის მიერ დამოუკიდებლად რეგულირება, საწყობის გაყოფა.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესაბამისად.

25. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო

საჩივრის დასაშვებობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

26. მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის პრეტენზიის დასაბუთებულობის შემონმების მიზნებისათვის, უნდა გაირკვეს შპს „ი-ის“ 2014 წლის 15 თებერვლის პარტნიორთა კრება იყო თუ არა გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების მონვევის პროცედურული წესების დაცულობის თვალსაზრისით.

სადავო საკითხის კვლევისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმებით, რომლითაც დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურული წესები.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით, საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პარტნიორთა კრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა. შესაბამისად, კანონი დეტალურად არეგულირებს მისი მონვევის წესსა და ვადას.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის პირველი პუნქტით, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მონვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მონვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებათა შეტანა. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრე-

ბის მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება (გამოცხადდებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ შპს „ი-ის“ 15.02.2014წ.ის დამფუძნებელ-პარტნიორთა კრებაზე 49%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი პ. ნ-ე არ ყოფილა მოწვეული კანონით დადგენილი წესით, რის გამოც, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს „ი-ის“ მხრიდან დაირღვა პარტნიორთა კრების თაობაზე ინფორმირების შესახებ პარტნიორის უფლება (კრების მოწვევის პროცედურული წესები). პროცედურულმა დარღვევამ და პ. ნ-ის გარეშე პარტნიორთა კრების ჩატარებამ, თავის მხრივ, განაპირობა პ. ნ-ის როგორც საზოგადოების პარტნიორის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, რაც გულისხმობს საწარმოს პარტნიორების მიერ მმართველობით უფლებამოსილებას განხორციელებას პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

32. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელა-

ციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა, რომელიც შეეხება პარტნიორთა კრების მონვევის პროცედურული საკითხების დაუცველობის სამართლებრივ შედეგებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

33. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ შპს „ი-ს“ დაუბრუნდეს თ. გ.-ის მიერ 2015 წლის 06 აგვისტოს №... საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი თლEშჩE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. გენერალური სავაჭრო მინდობილობა

იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უზღუბამოსილება

განჩინება

№ას-93-87-2015

15 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუური,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ჯ. ხ-ს, ს. მ-სა და შპს „ქ. მ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობა.

სარჩელის იურიდიულ ინტერესად მითითებულია, რომ სადავოდ გამხდარი პარტნიორთა კრების ოქმების ბათილობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება მათ საფუძველზე დადებული გარიგებების ბათილად ცნობა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ამასთან, აღდგება სამეთვალყურეო საბჭო, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას მეთვალყურეობა გაუწიოს დირექტორის საქმიანობას. დადგინდება, რომ საზოგადოებას არ სჭირდება ათ მილიონიანი საკრედიტო ხაზის გახსნა და დიდი რაოდენობის კრედიტის აღება, რითაც თავიდან იქნება აცილებული როგორც მოსარჩელის კუთვნილი წილის დაკარგვის ისე, კუთვნილი წილიდან გამომდინარე მოგების მიუღებლობის საფრთხე. მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული პარტნიორთა კრების ოქმების ბათილობა სამომავლოდ გამოირიცხავს პარტნიორთა კრების მოწვევას იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს საზოგადოების პარტნიორებისაგან მინიჭებული წარმომადგენლობის უფლებამოსილება და სამენარმეო რეესტრში არ არის რეგისტრირებული პარტნიორის წილის მმართველად. ასევე დადგინდება, რომ იმ საკითხების გადაწყვეტა, რომელიც სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე ყველა

პარტნიორის ხელმოწერას.

სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებულია, რომ შპს „ქ. მ-ი“ წარმოდგენს შპს „გ-ის“ სამართალმემკვიდრეს, რომლის პარტნიორები არიან მ. ა-ა 39,5%-იანი წილობრივი მონაწილეობით და ჯ. ხ-ა 60,5%-იანი წილობრივი მონაწილეობით.

2013 წლის სექტემბერში მოსარჩელეს ჩაბარდა მოწვევა პარტნიორთა კრებაზე, რომელსაც ხელს აწერდა ს. მ-ი, როგორც ჯ. ხ-ს წარმომადგენელი. კრებაზე განსახილველ საკითხად დღის წესრიგით დასახელებული იყო შპს „ქ. მ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურის გაუქმება და საბჭოს წევრების განთავისუფლება.

2013 წლის 16 სექტემბრის ოქმის მიხედვით ირკვევა, რომ პარტნიორთა კრებას ესწრებოდა შპს „ქ. მ-ის“ პარტნიორის, სანეს-დებო კაპიტალის 60,5%-ის მფლობელი პარტნიორის (ჯ. ხ-ს) წარმომადგენელი ს. მ-ი, რომელიც მოქმედებდა სანოტარო წესით გაცემული მინდობილობის საფუძველზე და რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურის გაუქმებისა და საბჭოს ხუთივე წევრის განთავისუფლების თაობაზე.

2013 წლის 16 სექტემბერს მოსარჩელეს ჩაბარდა მეორე მოწვევა პარტნიორთა კრებაზე, რომელსაც ხელს აწერდა ს. მ-ი, როგორც ჯ. ხ-ს წარმომადგენელი, ხოლო კრებაზე განსახილველ საკითხებად დღის წესრიგით განსაზღვრული იყო: 1. შპს „ქ. მ-სა“ და სს „ვ. ბ. ჯ-ას“ შორის 2009 წლის 02 სექტემბერს დადებული საკრედიტო მომსახურების ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და საკრედიტო ლიმიტის 3 000 000 აშშ დოლარიდან 10 000 000 აშშ დოლარამდე გაზრდა; 2. გაზრდილი საკრედიტო ლიმიტის უზრუნველსაყოფად საზოგადოების საკუთრებაში არსებული და მომავალში შექმნილი ქონების გირავნობა/იპოთეკით დატვირთვა; 3. სხვადასხვა საკითხები (კონკრეტუზაციის გარეშე).

მოსარჩელის განმარტებით, ს. მ-ი არაუფლებამოსილი პირი იყო მოწვევა და ერთპიროვნულად ჩაეტარებინა კრება.

სარჩელზე წარმოდგენილი შესაგებლებით, შპს „ქ. მ-ის“ დირექტორმა – ი. ტ-ემ, ჯ. ხ-ამ და ს. მ-მა სარჩელი არ ცნეს. მოპასუხეთა მოსაზრებით, 2013 წლის 16 და 23 სექტემბერს პარტნიორთა კრება მოწვეულ იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, საზოგადოების პარტნიორ – მ. ა-ს დადგენილი წესით ეცნობა პარტნიორთა კრების დღის თარიღი და კრებაზე დღის წესრიგით განსახილველი საკითხები. 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრე-

ბის ჩატარებაზე ს. მ-ს, როგორც შპს „ქ. მ-ს“ პარტნიორ ჯ. ხ-ს წარმომადგენლობით უფლებამოსილების თაობაზე კი, მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ 2013 წლის 02 აგვისტოს გაცემული მინდობილობისა და სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის საფუძველზე ს. მ-ი უფლებამოსილი იყო მოეწვია და ჩაეტარებინა პარტნიორთა კრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით მ. ა-ს სარჩელი ჯ. ხ-ს, ს. მ-ს, შპს „ქ. მ-ს“ მიმართ პარტნიორთა კრების ოქმების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ა-ს მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 03 დეკემბრის განჩინებით მ. ა-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად, შპს „ქ. მ-ი“ (ს/ნ: ...) სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2010 წლის 27 იანვარს. საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა წილობრივი მონაცემები განსაზღვრულია შემდეგნაირად: მ. ა-ა – 39,5%, ჯ. ხ-ა – 60,5%.

შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 16 სექტემბრის პარტნიორთა კრებაზე, რომელიც 2013 წლის 02 აგვისტოს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, მოიწვია და ჩატარა ჯ. ხ-ს წარმომადგენელმა – ს. მ-მა, გაუქმდა შპს „ქ. მ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები: ჯ. ხ-ა, მ. ა-ა, თ. ჩ-ე, დ. გ-ე და კ. ბ-ე განთავისუფლდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან და შეუწყდათ უფლებამოსილება. პარტნიორთა კრების დღე და კრებაზე დღის წესრიგით განსახილველი საკითხები ეცნობა შპს „ქ. მ-ის“ 39,5%-იანი წილის მფლობელ პარტნიორ მ. ა-ს.

შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 23 სექტემბერს პარტნიორთა კრებაზე სანესაბეო კაპიტალის 60,5% წილის მესაკუთრე ჯ. ხ-ს წარმომადგენელის – ს. მ-ის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება შპს „ქ. მ-სა“ და სს „გ. ბ. ჯ-ას“ შორის დადებულ საკრედიტო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის და საკრედიტო ლიმიტის გაზრდის თაობაზე, ასევე, გაზრდილი საკრედიტო ლიმიტის უზრუნველსაყოფად მომავალში შეძენი-

ლი ქონების ვალდებულებით დატვირთვის თაობაზე.

2013 წლის 02 აგვისტოს ჯ. ხ-მ ს. მ-ს მინდობილობით მინიჭა უფლებამოსილება, მისი სახელით მიეღო მონაწილეობა ნების-მიერი ორგანიზაციის კრებებზე ხმის მიცემისა და გადაწყვეტი-ლებების მიღების უფლებით, ხელი მოეწერა მინდობილობის გამ-ცემის სახელით კრების ოქმებზე და წესდების თანახმად შეეს-რულებინა პარტნიორთა წევრისთვის მინიჭებული ყველა უფ-ლება, რომელიც მოიცავდა საკუთარი შეხედულებისამებრ გა-დაწყვეტილების მიღებას წესდებით განსაზღვრულ ყველა სა-კითხზე.

მ. ა-ს ეცნობა 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრების დღისა და კრებაზე განსახილველი საკითხების თაობა-ზე. ვინაიდან, მ. ა-ა არ ეთანხმებოდა ს. მ-ის მიერ შპს „ქ. მ-ის“ პარტნიორთა კრების მოწვევასა და ჩატარებას, ასევე, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს და ითხოვდა დამატე-ბით დასაბუთებას, არ გამოცხადდა პარტნიორთა არცერთ კრე-ბაზე.

მოცემულ შემთხვევაში, მ. ა-ს სასარჩელო განცხადებით მო-ითხოვდა შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნი-ორთა კრების ოქმების ბათილად ცნობას იმ საფუძველით, რომ ს. მ-ი არ წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს მოენვია და ჩაეტა-რებინა შპს „ქ. მ-ის“ პარტნიორთა კრება და მიეღო გადაწყვე-ტილება.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სა-ჩივრის საფუძველად მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ კრება მოიწვია არაუფლებამოსილმა პირმა და მიუთითა სა-მოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშ-ვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილო-ბის) საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი არ გამოიყენება მაშინ როცა, გარიგების ხასიათიდან გა-მომდინარე, იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანო-ნით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვე-ობით. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა სამოქალაქო კო-დექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ რომე-ლიმე საგამონაკლისო შემთხვევა. შესაბამისად, დადგენილ იქ-ნა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ს. მ-ი მოქმე-დებდა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე და იგი უფ-ლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილებები ჯ. ხ-ს სახელით.

აპელანტის (მოსარჩელე) პრეტენზია, რომ ს. მ-ი, როგორც

ჯ. ხ-ს წილის მმართველი, არ ყოფილა სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებული, რის გამოც მისი უფლებამოსილება სადავო იყო, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“¹ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს: ე¹) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მუხლი მიუთითებდა წილის მმართველის დანიშვნის შესაძლებლობაზე და მისი სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც პარტნიორთა შეთანხმებით მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება პარტნიორთა წილის მმართველის არჩევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, ჯ. ხ-ს ს. მ-ი წილის მმართველად არ დაუნიშნავს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობდა ს. მ-ის, როგორც წილის მმართველის, სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ აპელანტის არც ის პრეტენზია გაიზიარა, რომ ს. მ-ის მიერ საქმეში წარმოდგენილი მინდობილობა, რომელიც წარმოადგენდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას და საჭიროებდა პარტნიორის, ანუ აპელანტის თანხმობას, წარმოადგენდა ს. მ-ის მიერ პარტნიორთა კრების მოწვევის არაკანონიერების დამატებით საფუძველს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად. 725-ე მუხლის მიხედვით, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმდობის რისკითა და ხარჯით. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. თუ მინდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი

ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი. ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 728-ე მუხლის თანახმად, მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლების შესაბამისად, მინდობილი მესაკუთრე გადაცემულ ქონებას მართავს არა საკუთრების მიმდობის, არამედ, თავისი სახელით. იგი ხელშეკრულების შესაბამისად, თავისი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად ახორციელებს იურიდიულ და ფაქტობრივ მოქმედებებს ქონების ეფექტიანად გამოყენების მიზნით. მართალია, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების განაწილების ხასიათით ახლოს დგას დავალების ხელშეკრულებასთან, თუმცა აქ მნიშვნელოვანია, რომ დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც რწმუნებული ასრულებს მისთვის დავალებულ (მინდობილ) ერთ ან რამოდენიმე მოქმედებას მარწმუნებლის სახელით, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებაში მინდობილი მესაკუთრე მოქმედებს საკუთარი სახელით და მართავს მინდობილ ქონებას.

მოცმულ შემთხვევაში, ჯ. ხ-ს მიერ ს. მ-სათვის 2013 წლის 02 აგვისტოს გაცემული მინდობილობის მე-3 პუნქტში მითითებული იყო: „ჩემი სახელით მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ორგანიზაციის კრებაზე, ხმის მიცემისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებით, ხელი მოაწეროს ჩემი სახელით კრების ოქმებს და შეასრულოს წესდების თანახმად პარტნიორთა წევრისათვის მინიჭებული ყველა უფლება“. „ამასთან, ს. მ-ი უფლებამოსილია ჩემი სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც არ არის მითითებული აღნიშნულ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმდობის ინტერესების დასაცავად“. მინდობილობის მითითებული ჩანაწერების მიხედვით ს. მ-ი მოქმედებდა ჯ. ხ-ს სახელით. შესაბამისად, იგი არ გვევლინებოდა მესამე პირების წინაშე პასუხისმგებელ პირად და ამდენად, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა შპს „ქ. მ-ის“ წესდების 4.8, 4.9, 4.10 პუნქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. მ-ი მოქმედებდა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე და იგი უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილებები ჯ. ხ-ს სახელით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის და-

ვალეზული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარ-
ნმუნებლის სახელით და ხარჯზე და განმარტა, რომ დავალეზის
ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რო-
მელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალე-
ზის ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის
მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იუ-
რიდიული მომსახურების განევა, პარტნიორთა კრებაზე მონა-
ნილეობის მიღება, ფასიან ქალაღებთან დაკავშირებული ოპე-
რაციების განხორციელება და ა.შ. ამ ხელშეკრულების საგანია
რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრუ-
ლება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს რო-
გორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება,
ვინაიდან, თავად დავალეზის ხელშეკრულების მომწესრიგებელ
მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესას-
რულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულე-
ბის საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება,
რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის
თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახე-
ლებულ პირებსა და ინდივიდუალურ მენარმეს შეუძლიათ წე-
რილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა
შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და გა-
ნისაზღვროს, რომ ისინი – ორივე ან ყველა ერთად წარმოადგე-
ნენ სანარმოს (საერთო მინდობილობა). წარმომადგენლობითი
უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელები-
სას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს. მინდობი-
ლობის შეწყვეტისათვის აუცილებელია მისი გაუქმება ან ძალა-
დაკარგულად აღიარება. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გა-
მოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭ-
დვით ორგანოში.

ამდენად, ჯ. ხ-ს მიერ ს. მ-სათვის რიგი უფლებამოსილებე-
ბის მინიჭება განხორციელდა, როგორც სამოქალაქო კოდექსის,
ასევე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვ-
ნათა დაცვით.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სა-
ჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოება იმის თაობაზე,
რომ დასაბუთებული არ იყო კრებაზე განსახილველი საკითხე-
ბი და აღნიშნა, რომ კრების მოწვევის პროცედურა მოწესრიგე-
ბული იყო შპს „ქ. მ-ის“ წესდების 6.7, 6.8 და 6.9 მუხლებით, რომ-
ლებიც „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხ-
ლის იდენტურად არეგულირებდა ამ საკითხს. ამ ნორმის თა-

ნახმად, თუ ამ კანონით ან საწარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოინვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელი არ აკისრებდა პარტნიორს ვალდებულებას, მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დაესაბუთებინა კრებაზე განსახილველი საკითხები. ამასთან, უდავო გარემოება იყო, რომ მ. ა-ს გაეგზავნა შეტყობინებები, რომლებშიც განერილი იყო დღის წესრიგის პროექტი.

ამასთან, სამოქალაქო საქმეთა პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-9 პუნქტის არასწორად გამოყენების შესახებ, თუმცა, მიიჩნია, რომ ამ დარღვევას არ გამოუწვევია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ა-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის დასაბუთება აგებულია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ შპს „ქ. მ-ის“ წესდება დაუშვებლად მიიჩნევს პარტნიორთა კრების მოწვევას, მის ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებას საზოგადოების პარტნიორის წარმომადგენლის მიერ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლი შპს „ქ. მ-ის“ წესდების მსგავსად არეგულირებს სადაო ურთიერთობებს, რომელშიც მითითებულია, რომ პარტნიორთა კრებას იწვევენ (გარდა დირექტორისა), მასში მონაწილეობენ და გადაწყვეტილებებს იღებენ საზოგადოების პარტნიორები და არა საზოგადოების პარტნიორთა წარმომადგენლები.

კასატორის განმარტებით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, 46-ე და 47-ე მუხლების, ასევე, შპს „ქ. მ-ის“ წესდების შესაბამისად, პარტნიორთა კრების ოქმი მხარეთა შორის დადებული გარიგებაა და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი, რომლის თანახმად, გარიგება წარმოადგენს მასში მონაწილე მხარეთა ნე-

ბის გამოვლენას. ამ შემთხვევაშიც პარტნიორთა კრების მონ-
ვევა, მისი ჩატარება და გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია
შპს „ქ. მ-ის“ პარტნიორების მიერ და არა სხვა პირის მიერ.

კასატორი დაუშვებლად მიიჩნევს პარტნიორების სახელით
სხვამ მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან ამგვარ ჩანაწერს არ
ითვალისწინებს შპს „ქ. მ-ის“ წესდება და ადგენს ქცევის იმ-
გვარ წესს, რომლის თანახმად, ყველა საკითხი, რომელიც არ
არის გათვალისწინებული წესდებით, წესრიგდება და გადაწყდე-
ბა პარტნიორთა კრებაზე.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქმის განმხილველ
სასამართლოს ერთმანეთში აქვს არეული სადავო და უდავო ფაქ-
ტობრივი გარემოებები. ამასთან, მითითებულია, რომ შპს „ქ. მ-
ი“ სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2010 წლის 27 იან-
ვარს, მაშინ როდესაც საქმეში წარმოდგენილი მენარმეთა და
არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონა-
წერით ირკვევა, რომ შპს „ქ. მ-ის“ რეგისტრაციის თარიღია 2001
წლის 18 დეკემბერი.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითი-
თებას იმის თაობაზე, რომ მ. ა-ა სადავოდ ხდიდა 2013 წლის 16
და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმების კანონიერე-
ბას იმ საფუძველზე, რომ კრება მოინვია, ჩაატარა და გადაწყვე-
ტილება მიიღო არაუფლებამოსილმა პირმა და აღნიშნავს, რომ
აპელანტი არა მხოლოდ მითითებული საფუძველზე ხდიდა სა-
დავოდ პარტნიორთა დასახელებულ კრების გადაწყვეტილე-
ბებს, არამედ, ასევე მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილებების
მიღება დაუსაბუთებელი იყო არსებითად, კერძოდ, არ იყო საკ-
რედიტო ლიმიტის გაზრდისა და საზოგადოების ქონების უზ-
რუნველყოფის მიზნით გამოყენების აუცილებლობა და სხვა.

კასატორის პრეტენზია იმ გარემოებას ეფუძნება, რომ გა-
საჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სააპელაციო საჩივ-
რის საფუძველზე მითითებას. ასევე არ არის დადგენილი ფაქ-
ტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ქ. მ-ი“ წარმოად-
გენს შპს „გ-ის“ სამართალმემკვიდრეს და სამენარმეო რეეს-
ტრში რეგისტრირებულია 2010 წლის 27 იანვარს, რომლის პარ-
ტნიორები არიან მ. ა-ა 39,5%-იანი წილობრივი მონაწილეობით
და ჯ. ხ-ა 60,5%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ს. მ-ი არ არის
რეგისტრირებული ჯ. ხ-ს წილის მმართველად და სარჩელში მი-
თითებული სხვა ფაქტობრივი გარემოებები.

კასატორი სადავოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამარ-
თლოს 2014 წლის 17 სექტემბრის საოქმო განჩინებას, რომლი-
თაც არ დაკმაყოფილდა მ. ა-ს შუამდგომლობა საქმეზე მტკი-

ცებულების სახით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების დართვის თაობაზე, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 31 ივლისი პარტნიორთა კრების ოქმი. კასატორის განმარტებით ამ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ჯ. ხ-ა მ. ა-საგან ფარულად ცდილობდა გადაეცა წილი ს. მ-სათვის და ამგვარად, შემოეყვანა იგი საზოგადოების პარტნიორად.

კასატორი მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 სექტემბრის საოქმო განჩინების გაუქმებასაც, იმ საფუძველზე, რომ ამ განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. ა-ს შუამდგომლობა საჯარო რეესტრიდან მოპოვებული მტკიცებულებების საქმისათვის დართვის თაობაზე. ამ დოკუმენტით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ ჯ. ხ-ს წარმომადგენელი ს. მ-ი ცდილობდა სამენარმეო რეესტრში იმგვარი ცვლილებები განეხორციელებინა, რომლითაც გაუქმდებოდა სამენარმეო საზოგადოებაში მ. ა-ს რეგისტრირებული უფლებები.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემული დავის განხილვა მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, სახელდობრ, საინტერესოა როგორ ჩამოყალიბდება სასამართლო პრაქტიკა პარტნიორის წილის მმართველთან დაკავშირებით, წილის მინდობილობით მართვასთან დაკავშირებით, იმ პირობებში როდესაც „მენარმეთა შესახებ“ საქართველო კანონი წილთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას უკავშირებს სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციას. საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ რასაც ადგილი აქვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უთანაბრდება წილის გასხვისებას, ხოლო წილის გასხვისებისათვის კი, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დანესებულია გარკვეული შეზღუდვები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 02 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის ძირითადი პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) იმ გარემოებას ეფუძნება, რომ ს. მ-ი, რომელიც არ იყო მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული ჯ. ხ-ს წილის მმართველად, არაუფლებამოსილი იყო მოენვია და ჩაეტარებინა 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრება, მით უფრო, პარტნიორთა სახელით მიეღო გადაწყვეტილება; დაუსაბუთებელი იყო შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრებაზე დღის წესრიგით განსახილველი საკითხები, კერძოდ, არ არსებობდა საკრედიტო ლიმიტის გაზრდისა და საზოგადოების ქონების უზრუნველსაყოფად გამოყენების აუცილებლობა, სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმებისა და ნევრთა დათხოვნის აუცილებლობა და სხვ.; შპს „ქ. მ-ის“ პარტნიორ ჯ. ხ-ს მიერ ს. მ-ზე გაცემული მინდობილობა, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებას საჭიროებდა და ყველა პარტნიორის თანხმობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პრაქტიკულად წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი იმავე საფუძვლებს ეფუძნება, რომლებსაც – სააპელაციო საჩივარი და მათ პასუხი გაეცათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს: ე1) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. ნორმის დანაწესით, წილის მმართველის დანიშვნის შემთხვევაში, აუცილებელია მისი რეგისტრაცია სამენარმეო რეესტრში, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. მ-ი არ წარმოადგენდა ჯ. ხ-ს წილის მმართველს და შესაბამისად, არ არსებობდა ამ ფაქტის სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ს. მ-ი მოქმედებდა დავალების ხელშეკრულების საფუძველზე და იგი უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილებები ჯ. ხ-ს სახელით.

პალატის ზემოაღნიშნული მსჯელობის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი, რომლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ასევე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად, ამ კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებსა და ინდივიდუალურ მენარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს. მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი – ორივე ან ყველა ერთად წარმოადგენენ სანარმოს (საერთო მინდობილობა). წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს.

ამდენად, ჯ. ხ-მ ს. მ-ს სადავო უფლებამოსილება, რომელიც დაკავშირებული იყო მისი სახელით გადაწყვეტილებების მიღებასთან, მიაჩნდა, როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რის გამოც კასატორის იმგვარი პრეტენზია, როგორცაა წილის გადაცემის (გასხვისება) შეზღუდვა, წილის მმართველის სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობა, საკუთრების მინდობისათვის პარტნიორთა თანხმობის აუცილებლობა, მოცემულ შემთხვევაში უსაფუძვლოა, რამდენადაც არც ერთი მათგანის საჭიროება ამ კონკრეტულ საქმეზე არ არსებობდა.

შპს „ქ. მ-ის“ 2013 წლის 16 და 23 სექტემბრის პარტნიორთა კრებაზე დღის წესრიგით განსახილველი საკითხების დასაბუთებულობას რაც შეეხება, აღნიშნულის საკითხი რეგულირებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლით, რომლის თანახმად, თუ ამ კანონით ან სანარმოს წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის, ჩატარების წესი და მისი კომპეტენცია განისაზღვრება ამ მუხლით დადგენილი წესების მიხედვით. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. სანარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა

პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. დადგენილია, რომ შპს „ქ. მ-ის“ წესდების 6.7, 6.8 და 6.9 მუხლები რაიმე გამოწვევის შემთხვევაში არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, კასატორის პრეტენზია მონვევის შესახებ შეტყობინებაში დაესაბუთებინა კრებაზე განსახილველი საკითხები უსაფუძვლოა.

რაც შეეხება კასატორის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ შპს „ქ. მ-ის“ რეგისტრაციის თარიღია 2001 წლის 18 დეკემბერი, ნაცვლად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 03 დეკემბრის განჩინებაში მითითებული 2010 წლის 27 იანვრისა, სწორია, თუმცა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ დარღვევას არ გამოუწვევია მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამ კატეგორიის საქმეებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი და მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მ. ა-ს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორს – მ. ა-ს (პ/ნ: ...) დაუბრუნდეს 2015 წლის 20 იანვარს №1 საგადასახდო დავალებით გ. ჭ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. სანარმოთა სამართალმემკვიდრეობა

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების ხანდაზმულობა

განჩინება

№ას-1244-1167-2015

10 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: კრების ოქმის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

I. სასარჩელო მოთხოვნა:

1. რ. ჯ-ემ, ზ. მ-ემ, ტ. მ-ვილმა, შ. ხ-მა, მ. მ-მ სარჩელი აღ-
ძრეს სასამართლოში შპს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „მ.
კ-ის“, ა. ტ-ის, ბ. ბ-ის, ჯ. გ-ის, დ. ბ-ის მიმართ შპს ... უნივერსი-
ტეტი „მ. კ-ის“ 1996 წლის 12 ივნისის დამფუძნებელ პარტნიორ-
თა საერთო კრების №1-ის ოქმის ბათილად ცნობის მოთხოვ-
ნით.

II. მოპასუხის პოზიცია

2. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და ამავდროულად, მიუ-
თითეს მის ხანდაზმულობაზე.

III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მი- თითება

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ
დაკმაყოფილდა.

IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

4. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მო-
სარჩელებმა და მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 მაისის გადაწყ-
ვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით სააპელა-
ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გა-
დაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1992 წლის ოქ-

ტომბერში ბათუმის აგროეკონომიკური კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს ... უნივერსიტეტი „მ. კ-ი“, რომლის წესდებაც დამტკიცდა აჭარის მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლობაში 1992 წლის 2 ოქტომბერს. საზოგადოების დამფუძნებელი იყო 18 პარტნიორი, რომელთა შორის იყვნენ მოსარჩელებიც. თითოეულმა პარტნიორმა საზოგადოებაში შეიტანა 5000 ლარი, რითაც საზოგადოების 1/18 ნილზე შეიძინა უფლება.

6. 1996 წლის 12 ივნისს საზოგადოების დამფუძნებელმა პარტნიორებმა ჩაატარეს საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ დამფუძნებელი პარტნიორები ა. ტ-ე, რ. ქ-ე, ბ. ბ-ე, ჯ. გ-ე, დ. ბ-ე და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ცენტრი „მ-ას“ დამფუძნებელი დ. ბ-ე. კრებაზე შედგა ოქმი №1, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მ. კ-ი“ და დამტკიცდა წარდგენილი წესდების პროექტი. ამავე ოქმით უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე დაინიშნა დ. ბ-ე.

7. 1996 წლის 05 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა დადგენილება შპს დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „მ. კ-ის“ რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნული დადგენილებით საზოგადოების სანესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1260 ლარით, საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორებად კი მითითებული იქნენ: ა. ტ-ე, რ. ქ-ე, ბ. ბ-ე, ჯ. გ-ე, დ. ბ-ე და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ცენტრი „მ-ა“.

8. ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიუთითა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებზე, კერძოდ, გაიზიარა დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ შპს ... დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „მ. კ-ი“ შპს ... უნივერსიტეტი „მ. კ-ის“ უფლებამონაცვლე არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იურიდიული პირის უნივერსალური უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა, მხოლოდ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი რეორგანიზაციის, შერწყმის ან გაყოფის დროს, რაც არ განხორციელებულა. პალატის მოსაზრებით, საზოგადოების წესდებაში არსებული დათქმა უფლებამონაცვლეობის შესახებ დეკლარაციული ხასიათისაა და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. უფლებამონაცვლეობას არ წარმოშობს არც აპელანტის მონინაალმდეგე მხარის პრეტენზიები იმ უძრავ ქონე-

ბაზე, რომელზედაც, სავარაუდო უფლებები 1992 წელს დაფუძნებულ საწარმოს ჰქონდა.

9. პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ „მენარმეთა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის №578-1ს დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებამდე კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად ექვემდებარებოდნენ ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 21 დეკემბრის №80-1ს დადგენილებით ეს ვადა გაგრძელდა 1996 წლის 1 სექტემბრამდე, თუმცა შპს ... უნივერსიტეტი „მ. კ-ს“ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონისა და ამ დადგენილებების შესაბამისად ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია. ამის ნაცვლად, საწარმოს დამფუძნებელთა ნაწილმა შექმნა, პრაქტიკულად, იმავე სახელწოდების ახალი საწარმო. ამ საწარმოს პარტნიორები კი, აპელანტები არასდროს ყოფილან. პალატამ მიიჩნია, რომ ხელახალი რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ შპს ... უნივერსიტეტი „მ. კ-ი“ ჩაითვალა ლიკვიდირებულად და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 1996 წლის 1 სექტემბრის შემდეგ მისი უფლებსუწარმიანობა შეწყდა. ამის გამო, აპელანტებს სხვა საწარმოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არა აქვთ, რადგან ეს გადაწყვეტილება მათ უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს არ შეეხება.

10. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლობასთან ერთად ხანდაზმულადაც მიიჩნია და აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. 248-ე მუხლის თანახმად, კი სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის ზოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი და-

უშვებელია პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრება (სხდომა) მონვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით; ამ შემთხვევაში, გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია. სადავო კრების ოქმი შედგენილია 1996 წლის 12 ივნისს, აპელანტებმა კი სარჩელი აღძრეს 2015 წლის 11 თებერვალს. ამის შესაბამისად, აპელანტების მოთხოვნა საფუძვლიანი რომც ყოფილიყო, მათი მოთხოვნა მაინც ხანდაზმული იქნებოდა.

VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტებმა გააჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და მოცემულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

12. საკასაციო საჩივარი იმ გარემოებას ეფუძნება, რომ შპს ... უნივერსიტეტი „მ. კ-ის“ სამართალმემკვიდრეა. სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარემოება თუ რატომ მიატოვეს დამფუძნებლებმა დღეისათვის მოქმედი უნივერსიტეტი, არ მოახდინეს ლიკვიდაცია და ვის გადაეცა იურიდიული პირის ქონება – 1143მ² მქონე ფართი ან როგორ გახდა მისი მეპატრონე შპს ... დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „მ. კ-ი“. კასატორის მოსაზრებით, მოპასუხებმა ვერ უარყვეს სამართალმემკვიდრეობის არსებობა, თუმცა მიუხედავად ამისა სააპელაციო სასამართლო მაინც პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს დაეყრდნო.

კასატორთა მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინებით არასწორად განიმარტა სამოქალაქო კოდექსის 25.4-ე მუხლი. გარდა ამისა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 44-ე და 46-ე მუხლების გამოყენება უმართებულოა, რადგან ისინი ინფორმაციული ხასიათისაა.

კასატორთა მითითებით, მოპასუხეებს რაიმე მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარმოუდგენიათ და სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მათი წარმომადგენლის ურთიერთსაპირისპირო განმარტებებს.

სასამართლომ არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ მხარეს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

კასატორები სადავოდ ხდიან სამართლებრივ შეფასებას ხანდაზმულობასთან მიმართებითაც და მიუთითებენ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომელიც ადგენს ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხს.

სამოტივაციო ნაწილი:

VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

14. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

15. საკასაციო საჩივრით სადავოა იურიდიული პირის უფლებამონაცვლეობა, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს და განმარტავს, რომ იურიდიული პირის უფლებამონაცვლეობა წარმოიშობა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და მისი საფუძველი შესაძლოა იყოს საწარმოს რეორგანიზაცია, შერწყმა ან გაყოფა. მოცემულ საქმეზე კი, შპს ... დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „მ. კ-სა“ და შპს ... უნივერსიტეტი „მ. კ-ს“ შორის სამართალმემკვიდრეობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებები არ დგინდება.

16. აღსანიშნავია ისიც, რომ საკასაციო პრეტენზია ემყარება იმავე გარემოებებს, რასაც ემყარებოდა სააპელაციო საჩივარი, რომელთან დაკავშირებითაც დადგენილ იქნა იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც არ წარმოშვა სადავო კრების ოქმის ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველები.

17. რაც შეეხება კასატორის პოზიციას ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და იმაზე მითითებას, რომ სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის ათვლისას უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ გამომდინარე იქიდან, რომ სადავო პარტნიორთა კრების ოქმის კანონიერება და მისი გასაჩივრების ვადასა და წესს ადგენს სპეციალური კანონის – მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი და ამ მიმართებით, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის, როგორც გასაჩივრების ვადის ათვლის მარეგულირებელი ნორმის გამოყენება ნაკარნახევი არ არის.

18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-

მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან მოცემული ტიპის დავებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (სუს 06.03.2015წ.-ის განჩინება, საქმე №ას-1310-1249-2014)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუმეას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორებს უნდა დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ჯ-ის, ზ. მ-ის, ტ. მ-ვილის, შ. ხ-ვილის, მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორებს: რ. ჯ-ეს, ზ. მ-ეს, ტ. მ-ვილს, შ. ხ-ვილს, მ. მ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბაჟის სახით ზ. მ-ის მიერ 2015 წლის 02 დეკემბერს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ს ა ნ ა რ მ ო თ ა ს ა მ ა რ თ ა ლ მ ე მ ა კ ვ ი დ რ ო მ ბ ა რ ო რ ბ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა ს

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1179-1109-2015

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: სს „ს-ის“ სს „გ-ის“ უფლებამონაცვლედ ცნობა, სს „ს-ის“ მიერ დივიდენდების გადაანგარიშება და გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

1. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის (შემდეგში სამენარმეო რეესტრი) მიხედვით, სს „გ-ი“ (შემდეგში: დამფუძნებელი საწარმო, პირველი საწარმო ან მოპასუხე) რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 04 ივლისის გადაწყვეტილებით, საიდენტიფიკაციო კოდი 2.... .

2. სამენარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, განჩინების პირველ პუნქტში მითითებულმა სს-ამ, როგორც 100%-ის

მფლობელმა პარტნიორმა, დააფუძნა შპს „ს-ი“, რაც დარეგისტრირდა 2009 წლის 02 აპრილს (ს/კ 2...). შპს-ს ერთადერთი პარტნიორის 2010 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის ცვლილებით, შპს გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად და ეწოდა სს „ს-ი“ (შემდეგში: მეორე მოპასუხე ან სანარმო); ამავე გადაწყვეტილებით მიღებულია სს-ს ახალი წესდება.

3. სს „ფ-ის“ რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მ. კ-ე (შემდეგში: მოსარჩელე, აქციონერი, აპელანტი, კასატორი), 2015 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით, ფლობს პირველი სანარმოს 1150 ცალ აქციას (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი).

4. აქციონერმა 2015 წლის 17 თებერვალს სარჩელი აღძრა პირველი და მეორე სანარმოების წინააღმდეგ და მოითხოვა პირველი სანარმოს სამართალმემკვიდრედ მეორე სანარმოს ცნობა და ამ უკანასკნელის დავალდებულება, დაიანგარიშოს და გასცეს მოსარჩელეზე 2000 წლიდან გასაცემი დივიდენდი.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით აქციონერის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტორის 2014 წლის 30 დეკემბრის დასკვნა (შემდეგში აუდიტორის დასკვნა) პირველი სანარმოს უფლებამონაცვლედ მეორე სანარმოს ცნობასთან დაკავშირებით, ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდეგში: მენარმეთა კანონი) ადგენს სანარმოთა რეორგანიზაციის სახეებს, ასევე, იმას, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სანარმო სხვა სანარმოს სამართალმემკვიდრედ, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

7. სასამართლომ, მენარმეთა კანონის 14⁴ მუხლის მე-4 პუნქტზე მითითებით განმარტა, რომ სანარმო, რომელმაც მიიერთა სანარმო, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სანარმო არის თავდაპირველი სანარმოს/სანარმოების სამართალმემკვიდრე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სანარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ სანარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა სანარმოებმა, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი სანარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი სანარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის, ხოლო თავდაპირველი სანარმოს უფლებამონაცვლე სანარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით.

8. სასამართლოს მსჯელობით, მოცემულ შემთხვევაში დად-

გენილია, რომ პირველი საწარმო, რომლის აქციონერიც არის მოსარჩელე, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში, არ მომხდარა საწარმოს რეორგანიზაცია, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი საწარმოს მეორის სამართალმემკვიდრედ ცნობის კანონით დადგენილი საფუძველი, ხოლო ის გარემოება, რომ მეორე საწარმო დაფუძნებულია პირველი საწარმოს მიერ, არ არის ამ უკანასკნელის პირველი მოპასუხის (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) სამართალმემკვიდრედ ცნობის საფუძველი. სამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე არის პირველი საწარმოს აქციონერი და მისი მოთხოვნა პირველი საწარმოს სამართალმემკვიდრედ მეორე საწარმოს ცნობისა და ამ უკანასკნელის მიერ, 2000 წლიდან გასაცემი დივიდენდის დაანგარიშებისა და გაცემის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

9. აქციონერმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

10. სააპელაციო საჩივრის საფუძველები შემდეგ არგუმენტებს მოიცავს:

10.1. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტორის დასკვნა;

10.2. სასამართლომ არ შეაფასა მეორე საწარმოს დაარსება და ფუნქციონირების დაწყება საკუთარი ქონების გარეშე და პირველი საწარმოს, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსების ექსპლუატაციის ფაქტი; პირველი საწარმოს სანესდებო კაპიტალის, აქციონერის ნების გარეშე უცხოურ კომპანიებზე გასხვისება, რამაც გამოიწვია აქციების გაუფასურება; ორივე საწარმოს წესდებების იდენტურობა, ანუ მეორე საწარმო, დაარსებიდან, იდენტური წესდებით, იგივე წარმოების საშუალებებს (მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს) უწევდა ექსპლუატაციას, რისი მფლობელიც იმ პერიოდში პირველი საწარმო იყო; სასამართლომ არ შეაფასა მეორე საწარმოს სამართალმემკვიდრეობისა და უფლებამონაცვლეობის აღიარება, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის განჩინებით, რომლის თანახმადაც პირველი საწარმოს მევალე და სს „ს-ის“ პარტნიორი კომპანია სს „ბ-ი“, აქციების სავალდებულო გამოსყიდვის მიზნით სამართალწარმოებას ეწეოდა მოსარჩელის წინააღმდეგ.

10.3. სასამართლომ არასწორად გამოიყენა მენარმეთა კანონის 2010 წლის პერიოდისათვის მოქმედი მე-14 მუხლის მე-

12 და მე-13 პუნქტები, დღეისათვის მოქმედი კანონის 14^ა მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

12. სასამართლომ მიიჩნია, რომ აუდიტორის დასკვნა ვერ გახდებოდა პირველი საწარმოს სამართალმემკვიდრედ მეორე საწარმოს ცნობის საფუძველი.

13. სააპელაციო სასამართლომ მენარმეთა კანონის მე-14^ა მუხლზე მიუთითა, რომლის თანახმად, საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე.

14. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი საწარმოს რეორგანიზაცია არ მომხდარა, ვინაიდან იგი დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია სამენარმეო რეესტრში. უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტისას არსებითია იმის გააზრება, რომ სამართალურ-თიერთობაში მონაწილის ადგილი უნდა დაიკავოს სხვა პირმა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს წინამორბედის უფლებებსა და მოვალეობებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

15. სასამართლომ, ასევე არ დააკმაყოფილა აქციონერის მოთხოვნა გადაწყვეტილების წინმსწრები 2015 წლის 20 მაისის საოქმო განჩინების გაუქმების შესახებ, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა დოკუმენტების გამოთხოვისა და მონმეთა დაკითხვის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი. იგი ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული და კანონიერი იყო, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ, გაუქმების პროცესულურ-სამართლებრივ საფუძველებს.

16. აქციონერმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში.

17. საკასაციო საჩივრის საფუძველები ძირითადად სააპელაციო საჩივრის საფუძველების იდენტურია (წინამდებარე განჩინების 10.1-10.3. პუნქტები), კერძოდ:

17.1. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, რომ პირველი სა-
წარმოს რეორგანიზაცია არ მომხდარა, რადგან ამ საზოგადოე-
ბაში ფაქტიურად განხორციელებული რეორგანიზაციის (შერ-
წყმა, გაერთიანება, მიერთება) შედეგად, საწარმოს შეერწყა შპს
„ვი“ და შპს „ა-ი“, ხოლო მათი მატერიალური და ადამიანური
რესურსები კი, პირველი საწარმოს 100% წილობრივი მონაწი-
ლეობით დაფუძნებულმა მეორე საწარმომ, მენარმეთა კანო-
ნით გათვალისწინებული პროცედურების შეგნებულად გვერ-
დის ავლით, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებულ კომპანი-
ებთან გაფორმებული თაღლითური ხელშეკრულებების მეშვე-
ობით, მიითვისა (მიიერთა), რაც დანვრილებით და დასაბუთე-
ბულადაა აღწერილი აუდიტის დასკვნაში, რომლის შესწავლა და
შეფასება, მოსამართლეებმა ზედმეტად მიიჩნიეს, ხოლო ის სა-
კითხები კი, რომელთა გარკვევაც აუდიტმა, სათანადო დოკუ-
მენტებისადმი წვდომის შეუძლებლობის გამო, ვერ მოახერხა
მათი მოთხოვნისა და მონმეების დაკითხვის შუამდგომლობა,
სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

17.2. სასამართლომ არ შეაფასა აქციონერის მოსაზრება, რო-
ცა ის თავისი პოზიციის სამართლებრივ საფუძვლად საქართვე-
ლოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 197-ე მუხლზე მი-
უთითებდა.

17.3. მეორე საწარმოს სამართალმემკვიდრეობასა და უფ-
ლებამონაცვლეობას ადასტურებს ისეთი უტყუარი მტკიცებუ-
ლება, როგორცაა პირველი საწარმოს მატერიალური და ადამი-
ანური რესურსების გამოყენება და ექსპლუატაცია. ასევე მეო-
რე საწარმოს წესდებაც, სადაც სიტყვა-სიტყვითაა გადმონე-
რილი საზოგადოების საქმიანობის ის სახეობა და საშუალებე-
ბი, რომლებიც გააჩნია პირველ საწარმოს. სასამართლომ არ შე-
აფასა ქონების არმქონე მეორე საწარმოს დაფუძნება, პირვე-
ლი საწარმოს 168 მილიონიანი ქონების ბაზაზე ანალოგიური საქ-
მიანობის განსახორციელებლად დამფუძნებლის (პირველი სა-
წარმო) მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენე-
ბით.

17.4. სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა პირველი
საწარმოს ქონების, აქციონერის ნების გარეშე, გასხვისებით
კუთვნილი აქციების გაუფასურებისა და ამ აქციების სავალდე-
ბულო გამოსყიდვის თაობაზე 2013 წლის სამართალწარმოება,
რომლითაც დასტურდება მოპასუხის უფლებამონაცვლეობისა
და სამართალმემკვიდრეობის ფაქტი. აღნიშნულის დამადასტუ-
რებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივლისის განჩინება (საქმე №2/

15235-11), რომლის თანახმადაც, დამფუძნებლის მოვალისა და მოპასუხის პარტნიორი კომპანიის სს „ბ“-ს მიერ აქციების სავალდებულო გამოსყიდვის მიზნით სამართალწარმოება მიმდინარეობდა აქციონერების წინააღმდეგ (იხ. სარჩელის მე-3, მე-4, მე-5, და მე-6 გვერდები).

17.5. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად აარიდა თავი დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვისა და მოწმეების გამოკითხვის თაობაზე დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, ხოლო საქმეში არსებული მტკიცებულებები საერთოდ შეუსწავლელი დატოვა, მენარმეთა კანონის იმ ნორმებზე აპელირებით, რომლებიც კასატორმაც მიუთითა, მაგრამ სხვა კონტექსტით.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით დასაშვებად ცნო სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

19. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

20. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს პირველი საწარმოს სა-

მართალმემკვიდრედ მეორე საწარმოს ცნობა და ამ უკანასკნელისათვის მოსარჩელეზე 2000 წლიდან გასაცემი დივიდენდის დაანგარიშება და დაკისრება.

21. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი საწარმო, სამენარმეო რეესტრში არსებობს, როგორც უფლებაუნარიანი იურიდიული პირი, არ მომხდარა მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. პირველი საწარმო მეორე საწარმოს 100%-იანი წილით დამფუძნებელი და ერთადერთი პარტნიორია. მენარმეთა კანონის მე-14 მუხლის (2010 წლის რედაქცია) საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან ახალშექმნილი საწარმო, არის ადრინდელი საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლე (მითითებული მუხლის მე-12 ნაწილი), გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის (მითითებული მუხლის მე-13 ნაწილი).

22. საკასაციო სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შეამოწმა საკასაციო საჩივრის პრეტენზიები და ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნას, რომ მენარმეთა კანონის 14⁴ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საწარმო, რომელმაც მიიერთა საწარმო, ან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი საწარმო არის თავდაპირველი საწარმოს/საწარმოების სამართალმემკვიდრე. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა, საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის, ხოლო თავდაპირველი საწარმოს უფლებამონაცვლე საწარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით.

23. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომელიც წინამდებარე განჩინების მე-14 პუნქტშია ასახული და აღნიშნავს, რომ მენარმეთა კანონით (როგორც 2010 წელს, ისე ამჟამად მოქმედი რედაქციით), განსაზღვრულია საწარმოთა სამართალმემკვიდრეობის საფუძველი. საწარმოთა უფლებამონაცვლეობას ადგილი აქვს საწარმოს რეორგანიზაციის დროს, რაც მოიცავს საწარმოთა რეორგანიზაციის შემდეგ სახეებს: გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და გაყოფა (და-

ყოფა, გამოყოფა) – (იხ. მენარმეთა კანონის 14⁴ მუხლის პირველი ნაწილი).

24. სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და აღნიშნავს, რომ აუდიტორის დასკვნა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საწარმოთა უფლებამონაცვლეობის საკითხის დადგენას.

25. სასამართლოს, კასატორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, კანონიერად მიაჩნია 2015 წლის 20 მაისის წინარე განჩინებები დოკუმენტების გამოთხოვისა და მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან მითითებული მტკიცებულებები არ არის დასაშვები და განკუთვნილი მტკიცებულებები განსახილველ დავის საგანთან მიმართებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საწარმოთა უფლებამონაცვლეობა არის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობა და იგი გამომდინარეობს კანონიდან. განსახილველ შემთხვევაში მეორე საწარმო არ არის პირველი საწარმოს რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილი სუბიექტი. ეს უკანასკნელი მეორე საწარმოს დამფუძნებელია, რაც გამოირიცხავს მეორე საწარმოს მისი დამფუძნებელი საწარმოს სამართალმემკვიდრედ ცნობის სამართლებრივ შესაძლებლობას. თითოეული საწარმო დამოუკიდებელი სუბიექტის სახით ირიცხება სამეწარმეო რეესტრში.

26. დასახელებული ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრების გათვალისწინებით, კასატორის სასარჩელო მოთხოვნა წარმატებული ვერ იქნება, ამასთან, შესაბამისი სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება შესაძლებელია ჰქონდეს პირველი საწარმოსადმი, რაც დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოებისა და მტკიცების საგანია.

27. ზემოხსენებული დასაბუთებით, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასებები გააკეთა საქმისათვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, ხოლო კასატორმა ვერ შეძლო დასაბუთებული შედავების წარმოდგენა, რის გამოც, საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა მოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 410-ე მუხლებით და

დაადგინა:

1. მ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინება;
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბელო

1. წესდების ცვლილება	
საწარმოს წესდების ცვლილება	3; 10
2. საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება	
შპს-ს რეგისტრაციის გაუქმება	
ხელახალი რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში	
დაურეგისტრირებლობისათვის	31
3. მოგების განაწილება	68
მოგების განაწილება	80
4. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	
სამეწარმეო ურთიერთობებში დირექტორის	
უფლება-მოვალეობების საფუძვლები	93
დირექტორის ანაზღაურება	107
საწარმოს დირექტორის გათავისუფლება	118
დირექტორის კეთილსინდისიერება	153
5. პარტნიორთა საერთო კრება	
პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა	165
6. გენერალური სავაჭრო მინდობილობა	
იურიდიულ მოქმედებათა	
განხორციელების უფლებამოსილება	178
7. საწარმოთა სამართალმემკვიდრეობა	
პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების	
გასაჩივრების ხანდაზმულობა	192
საწარმოთა სამართალმემკვიდრეობა რეორგანიზაციისას	198

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 2982103
www.supremecourt.ge